

ქართული ტრადიციული

სამოსი

TRADITIONAL GEORGIAN

Attire



პროექტი განხორციელდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის და კომპანია „სამოსელი პირველის“ მიერ, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

THE PROJECT WAS CARRIED OUT BY THE GEORGIAN NATIONAL MUSEUM AND THE COMPANY "SAMOSELI PIRVELI" WITH THE SUPPORT OF THE SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION.



ქართული ტრადიციული

სამოსი

TRADITIONAL GEORGIAN

Attire

XVIII - XX საუკუნეები

18<sup>th</sup> - 20<sup>th</sup> CENTURIES

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი:  
იზოლდა მელიქიშვილი

ქართული ტექსტის რედაქტორი:  
ნინო ნადარაია

პროექტის მენეჯერი:  
ლუარსაბ ტოგონიძე

მთარგმნელები:  
ცისანა გაბუნია  
სოფიო ხუციშვილი

ავტორ-შემდგენლები:  
იზოლდა მელიქიშვილი  
ელდარ ნადირაძე  
ლუარსაბ ტოგონიძე

ინგლისური ტექსტის რედაქტორები:  
კელი ლ. სპანგლერი  
ცირა ბასილაძე

პროექტის მონაწილეობდნენ:  
გულნაზ ბარათაშვილი  
ეკა ბერელაშვილი  
მზისთვალა კეცხოველი  
გულნარა კვანტიძე  
ეთერ სულხანიშვილი  
მამუკა ქაფიანიძე

ფოტოგრაფი:  
მირიან კილაძე

მხატვარ-დიზაინერი:  
ნინო ანდრიაშვილი

#### კატალოგში წარმოდგენილი ექსპონატები დაცულია:

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის საგანძურის და ნაქარგობისა და ქსოვილების ფონდები  
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ისტორიის კოლექციების ეთნოგრაფიული ფონდები  
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის საინფორმაციო კოლექციების ფოტო-არქივი  
სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი  
ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი  
ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი  
აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი  
ლაგოდეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი  
თელავის ისტორიული მუზეუმი  
გრემი-ნეკრესის მუზეუმ-ნაკრძალი  
სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი  
ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი  
სვანეთის მუზეუმი  
სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი  
კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი  
ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

#### ბანსაკუთრებული მადლობა:

ნანა ლომსაძეს, ნინო ქოროლიშვილს, ელენე კავლელაშვილს, ეკატერინე ბუთლიაშვილს, სოფიო იმერლიშვილს, მაია ჯგუბურიას, ეკატერინე მამულაშვილს, რამაზ ობოლაძეს, ბუბა კუდავას, სტენლი მიუზიკს, ელენე ლუდუშაურს, მაია მაკარიძეს, სოფიო ებრალიძეს, ირინე აბესაძეს, ნათელა ლომიძეს, ნუგზარ იდოიძეს, იოსებ ბაბულაიძეს, ვაჟა კარტილიძეს, ეკატერინე აბალოიძეს, გიორგი ქართველიშვილს, თამარ გურგენიძეს.

ISBN 978-9941-0-5698-7

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი  
© სამოსელი პირველი  
© შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

PROJECT RESEARCH MANAGER:  
Izolda Melikishvili

GEORGIAN TEXT EDITOR:  
Nino Nadaraia

PROJECT MANAGER:  
Luarsab Togonidze

TRANSLATORS:  
Tsisana Gabunia  
Sophio Khutsishvili

AUTHORS-COMPILERS:  
Izolda Melikishvili  
Eldar Nadiradze  
Luarsab Togonidze

ENGLISH TEXT EDITORS:  
Kelly L. Spangler-Devdariani  
Tsira Basiladze

PROJECT PARTICIPANTS:  
Gulnaz Baratashvili  
Eka Berelashvili  
Mzistvala Ketskhoveli  
Gulnara Kvantidze  
Eter Sulkhaniashvili  
Mamuka Kapianidze

PHOTOGRAPHER:  
Mirian Kiladze

ARTIST-DESIGNER:  
Nino Andriashvili

THE EXHIBITS PRESENTED IN THIS CATALOG ARE HOUSED IN:

The Funds of Treasures, Embroidery and Fabrics of the Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts  
The Ethnographic Funds of Historical Collections of the Simon Janashia Museum of Georgia  
Photo Archive of Information Collections of the Simon Janashia Museum of Georgia  
Sergi Makalatia Gori Historical-Ethnographic Museum  
Niko Berdzenishvili Kutaisi State History Museum  
I. Grishashvili Library - Museum  
State Silk Museum  
Lagodekhi Local History Museum  
Telavi Historical Museum  
Grem-Nekresi Museum-Reserve  
Sighnaghi Historical-Ethnographic Museum  
Kvareli Ilia Chavchavadze State House Museum  
Svaneti Museum  
Stephantsminda Museum of History  
Kaspi Local History Museum  
Oni Local History Museum

SPECIAL THANKS TO:

Nana Lomsadze, Nino Koroghlishvili, Elene Kavlelashvili, Ekaterine Butliashvili, Sophia Imerlishvili, Maya Dzhguburia, Ekaterine Mamulashvili, Ramaz Oboladze, Buba Kudava, Stanley Musics, Elene Ghudushauri, Maya Makaridze, Sophio Ebralidze, Irine Abesadze, Natela Lomidze, Nugzar Idoidze, Ioseb Babulaidze, Vazha Kartlidze, Ekaterine Abaloidze, George Kartvelishvili, Tamar Gurgenidze.

შავი ზღვა  
BLACK SEA



# საქართველო GEORGIA



-  თბილისი  
TBILISI
-  შიდა ქართლი  
SHIDA KARTLI
-  ქვემო ქართლი  
QVEMO KARTLI
-  კახეთი  
KAKHETI
-  იმერეთი  
IMERETI
-  სამეგრელო  
SAMEGRELO
-  გურია  
GURIA
-  აჭარა  
AJARA
-  სამცხე-ჯავახეთი  
SAMTSKE-JAVAKHETI
-  რაჭა-ლეჩხუმი  
RACHA-LECHKHUMI
-  სვანეთი  
SVANETI
-  აფხაზეთი  
APKHAZETI
-  მთიულეთი  
MTIULETI
-  ხევი  
KHEVI
-  თუშეთი  
TUSHETI
-  ფშავ-ხევსურეთი  
PSHAV-KHEVSURETI

საქართველოს ამა თუ იმ კუთხისათვის დამახასიათებელი ტრადიციული სამოსი აღფრთოვანებას იწვევს თანამედროვე საზოგადოებაში. უცხოელე-ბისთვის ის საინტერესოა როგორც ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე მდებარე ეგზოტიკური ქვეყნის კულტურის ნაწილი, ქართველებისთვის კი საკუთარი იდენტიფიკაციის, ისტორიისა და ტრადიციის გააზრების ერთ-ერთი საშუალება.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში სხვა ეთნოლოგიურ მასალასთან და საეკლესიო სამოსთან ერთად უხვად არის დაცული ქართული ტრადიციული საერო სამოსის იშვიათი ნიმუშები, რომლებიც XVIII საუკუნითა და XX საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება.

იმდენად, რამდენადაც საქართველოს ეროვნული მუზეუმის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს სწორედ ქართული ტრადიციისა და კულტურის ნამოჩენა წარმოადგენს, გადაწყდა მოგვემზადებინა ალბომი, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა ქართული ტრადიციული საერო სამოსის საინტერესო ნიმუშები, აქსესუარები, ნაქარგობა. კატალოგში შევიდა სხვადასხვა მუზეუმებში და საოჯახო თუ კოლექციონერთა არქივებში დაცული XIX საუკუნის ფოტოსურათებიც, რომლებზეც აღბეჭდილნი არიან ქართულ სამოსში გამონყობილი სხვადასხვა სოციალური ფენისა თუ კუთხის წარმომადგენლები.

საერო სამოსის საინფორმაციო-შემეცნებითი ხასიათის ეს ქართულ-ინგლისური გამოცემა პირველი მონუმენტური პუბლიკაციაა, რომლის დაბეჭდვაც შესაძლებელი გახდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და კომპანია „სამოსელი პირველის“ მხარდაჭერით, რისთვისაც მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო მათ საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ჩემი სახელით.

ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო, პროექტის ყველა მონაწილეს და ეროვნული მუზეუმის ყველა იმ თანამშრომელს, რომლებმაც დიდი ენთუზიაზმითა და სიყვარულით მოამზადეს ეს კატალოგი.

იმედს გამოვთქვამ, რომ ეს ალბომი ბევრი ამ სფეროში მომუშავე მეცნიერთათვის სამაგიდო წიგნად იქცევა და ასევე, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქართული ტრადიციისა და კულტურის პოპულარიზაციის საქმეში.

**პროფ. დავით ლორთქიფანიძე**  
საქართველოს ეროვნული მუზეუმის  
გენერალური დირექტორი



Georgian traditional clothing has fascinated modern society for many generations. This clothing is interesting for both Georgians and visitors from abroad as a part of the culture of this exotic country located at the crossroad of Europe and Asia. This book is also significant for Georgians, as well, because it gives us an opportunity to understand our own, Georgian identity, history and traditions.

The collections at the National Museum of Georgia include; ethnological materials, religious garments and a large collection of rare specimens of traditional Georgian clothing which are from the 18<sup>th</sup> to the first part of the 20<sup>th</sup> century B.C.

One of the top priorities of the National Museum of Georgia is to display Georgian traditional artifacts, history, and culture and as a part of this mission, the album was created in order to showcase Georgian traditional clothing, accessories and embroidery. This catalog also contains photos from the 19<sup>th</sup> century that are housed in different museums and archives throughout Georgia and from private family collections. The photos presented in this book, show people from different class backgrounds and parts of Georgia dressed in traditional clothing.

This Georgian and English informational, introductory edition about the national clothing is the first monumental publication of its kind which was prepared with the support of the Shota Rustaveli National Science Foundation and the company, "Samoseli Pirveli" for which I would like to heartily thank on behalf of the National Museum of Georgia.

Also, I would like to thank all of the participants who worked on this project and all the employees at the National Museum who prepared this catalog with great enthusiasm and love.

I hope that this album will be a reference book for anthropologists and sociologists working in this field and will play a significant role in popularising Georgian traditions and culture.

**Prof. David Lortkipanidze**  
General Director  
The National Museum of Georgia

მღელვარე XX საუკუნემ რადიკალურად შეცვალა ქართველთა ცხოვრების წესი და ეს ჩაცმულობაზეც მნიშვნელოვნად აისახა. ბევრი რამ დავიწყებას მიეცა. ახალგაზრდა ქართველების უმეტესობა უკვე ვეღარ ცნობს იმ სამოსს რომელსაც მათი წინაპარი საუკუნეების მანძილზე ატარებდა. ბევრ მათგანს აღარ ესმის შესამოსელთან დაკავშირებული დასახელებისა თუ ტერმინების მნიშვნელობა. ამავდროულად ტრადიციული სამოსით დაინტერესება დიდია, როგორც ქართველ საზოგადოებაში ასევე ჩვენი ქვეყნის სტუმრების მხრიდან.

უკვე რამოდენიმე წელია კომპანია „სამოსელი პირველი“ აქტიურად მუშაობს ქართული ტრადიციული სამოსის შესწავლისა და მისი თანამედროვე ყოფაში დაბრუნების მიმართულებით. უმნიშვნელოვანესია ის თანადგომა რომელსაც მუზეუმის ხელმძღვანელობა და მეცნიერ-თანამშრომლები გვინვევენ ამ საქმეში. ერთობლივი მუშაობის დროს დაიგეგმა კატალოგის გამოცემა, რომელშიც შევიდოდა საქართველოს საქართველოს მუზეუმების საცავებში დაცული, XVIII-XX საუკუნეების ქართული ეროვნული სამოსისა და მისი აქსესუარების ნიმუშები. ეს ძალზედ შრომატევადი საქმე შესაძლებელი გახდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დახმარებით.

კატალოგში წარმოდგენილია მხოლოდ საუკეთესო, თუმცა, მცირე ნაწილი იმ მრავალფეროვანი კოლექციებისა, რომლებიც დაუნჯებულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ნაქარგობისა და ქსოვილების, ასევე სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ეთნოგრაფიულ ფონდებსა და რეგიონების მუზეუმებში. ეს გამოცემა არის პირველი ცდა ქართული ეროვნული სამოსის ასეთი მასშტაბური სახით წარმოჩენისა, რაც განაპირობა ამ უნიკალურ ექსპონატებთან ერთად ჩვენი წინაპრების ყოფის ამსახველი ფოტოდოკუმენტების თანდართვამ. ამან კი ვიზუალური თვალსაზრისით ნაშრომი უფრო საინტერესო და სახალისოც გახადა.

კატალოგი ნათლად წარმოუდგენს მკითხველს ქართული ეროვნული სამოსის მრავალფეროვნებას. ასახავს მათ შემქმნელთა მაღალ გემოვნებას, შესრულების ტექნიკის სრულყოფილებასა და ტრადიციებისადმი ერთგულებას.

ექსპონატების გაცნობის შემდეგ რწმუნდები, რომ, მიუხედავად საქართველოს ძნელბედობისა, ქართველმა ხალხმა დღემდე მოიტანა ერის სახისა და სულის მაჩვენებელი თვითმყოფადი კულტურა.

**ლუარსაბ ტოგონიძე**  
კომპანია „სამოსელი პირველის“ დამფუძნებელი

The stormy history of the 20<sup>th</sup> century radically changed the Georgian way of life and significantly impacted clothing tastes and styles. Many aspects of traditional Georgian culture were forgotten when traditional clothing was discarded for new, modern European attire. The majority of young people can no longer recognize the clothing their ancestors had worn for centuries. Many of them do not understand the meanings of words or terms related to national garments. For several years, the company, "Samoseli Pirveli," has been actively engaged in the study and popularisation of Georgian traditional clothing. As a result of these efforts, interest in traditional clothing has increased and become more evident among both the Georgian public and the foreign guests that visit our country.

The support provided by the management and staff of the National Museum of Georgia has made our progeny cause possible. This catalog is the result of the joint efforts of our company and the National Museum of Georgia. This catalog includes photographs and garments that are stored in the Museum's depository of Georgian national costumes and accessories dated from the 18<sup>th</sup> -20<sup>th</sup> centuries. The completion of this laborious task was possible with the support of the Shota Rustaveli National Science Foundation.

The catalog features only the best, but not a complete view of the diverse collections of traditional clothing that are stored in the National Museum of Georgia, the ethnographic funds of the Simon Janashia Museum and regional museums of Georgia, as well as, the collections of embroidery stored in the Shalva Amiranashvili Museum of Art. This publication is the first attempt of such a large-scale presentation of Georgian national costumes which was possible by including, in the album, unique displays of the documentary photographs that represent the lives of our ancestors. This, from a visual point of view, makes the catalog more interesting and fun.

The catalog clearly shows the diversity of Georgian national costumes, the high-taste of their creators, the perfectism of the craftsmanship techniques and an adherence to traditions.

The face and spirit of our nation are represented by the photographs and exhibition items displayed in this catalog. I hope, the efforts to reintroduce this information, will give the youth of Georgia a new-found pride in our culture and heritage.

**Luarsab Togonidze**  
Founder of "Samoseli Pirveli"



ქართული ეთნოკულტურა შეუძლებელია წარმოვიდგინოთ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული და განვითარებული ეროვნული კოსტიუმის გარეშე. ის წარმოაჩენს შინა-რენვის მასშტაბებს, ესთეტიკური აზროვნების თავისებურებასა და, ზოგადად, ქართველი ერის კულტურულ დონეს.

ქართული კოსტიუმის განვითარებისათვის აუცილებელი იყო ადგილობრივი საფეიქრო ნაწარმი, რომლის არსებობა საქართველოში დასტურდება როგორც მატერიალური კულტურის მასალით, ისე ისტორიული წყაროებით.

არქეოლოგიური მასალის მიხედვით, საქართველო მიჩნეულია სელის ქსოვილის წარმოების ერთ-ერთ ძველ ცენტრად. ეს დაადასტურა ზემო იმერეთში მიკვლეულმა სელის ბოჭკოს ქსოვილის ნაშთმა, რომელიც ზედა პალეოლითის ხანის, ანუ 34 000 წლის წინანდელ არტეფაქტად იქნა მიჩნეული. პრეისტორიული ხანის საქსოვ მასალად სელის გამოყენება უშუალოდ უსწრებდა მატყლის ძაფის ათვისებას, რამაც, შეიძლება ითქვას, გადატრიალება მოახდინა სამოსის განვითარებაში.

ქართული კოსტიუმის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეთნოგრაფიულ მასალასაც, „რომელიც ყველა სხვა წყაროსთან შედარებით შეიცავს რეალურად მოცემულ: ფაქტურას, თარგებს, დამზადების პროცესებს, ჩაცმა-დახურვის ხერხებს, სამოსლის ტარების მანერასა და სხვა, რაც არც ერთ სხვა წყაროს არ გააჩნია“ (ივ. ჯავახიშვილი). საგულისხმოა, რომ საოჯახო მეურნეობაში უახლოეს წარსულამდე შემორჩენილი იყო ვერტიკალურსა და ჰორიზონტალურ საქსოვ დაზგებზე სელის, კანაფის, აბრეშუმის, შალის, ბამბისა თუ სხვა ქსოვილთა ქსოვის ტრადიციული წესი.

ქართული ტანსაცმლის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი წყაროა „ისტორიის მამის“, ჰეროდოტეს (ძვ.წ. V ს.), ცნობა, რომ კავკასიაში მცხოვრებნი განსაკუთრებულ ფოთლებს არჩევდნენ, ახმობდნენ, ნაყავდნენ, ურევდნენ წამალს და ამით ხატავდნენ ტანსაცმელს. ეს ნახატები დროთა განმავლობაში კი არ ხუნდებოდა, არამედ ცვდებოდა სამოსთან ერთად, თითქოს თავიდანვე შიგ იყო ჩაქსოვილი. ვისაც ხევსურული ტალავარი უნახავს, შეუძლებელია ამ სიტყვებმა გარკვეული სურვილი არ აღუძრას ისტორიული პარალელის გავლებისა. ჰეროდოტე ასევე დიდი წარმოდგენისა იყო კოლხურ სელზე, რომლისგანაც იმ დროს საკმაოდ პოპულარული ქსოვილი მზადდებოდა.

ჰეროდოტეს გარდა, არაერთი უცხოელი ავტორი შეეხო ქართველ ტომთა ჩაცმულობას, ამასთანავე, მეომრებისას, რომელთა საომარ აღჭურვილობაში ადვილი გამოსარჩევია საერო სამოსის ელემენტები. ქსენოფონტეს (ძვ.წ. V ს.) ცნობით, მისი დროის ხალიბებსა და მოსინიკებს მუხლამდე დაშვებული, სელისგან დამზადებული კვარტები ეცვათ, ხოლო თავზე ტყავის ქუდები ეხურათ. სხვათა შორის, მათ შორეულ შთამომავლებს, XIX ს-ის მეგრულ გლეხებს, ყანაში მუშაობის დროს თვითნაქსოვი, გრილი და მოხერხებული სელის პერანგები ეცვათ.

გაცილებით გვიან ბიზანტიელი ისტორიკოსები: ნიკიტა ხონიატე (XII ს.), მიხეილ ატალიატე (XI ს.) და ევსტათი თესალონიკელი (XII ს.) ახსენებენ იბერიულსა და ლაზურ შესამოსელს, რომელიც ეცვათ იმპერიის დიდებულებს. სხვათა შორის, XII ს-ის ფრანგულ „ქრონიკაში“ მანუელ კომნენის მიერ საფრანგეთის მეფე ლუი VII-ის კარზე გაგზავნილი ელჩობის (1182 წ.) ტანსაცმლის აღწერისას ნახსენებია იბერიული ტილოს სამოსი და ე.წ. იბერიული ყაიდის იისფერი კაბა, რომელსაც თავად იმპერატორი ატარებდა.

ძირითადი საილუსტრაციო მასალა, რომელიც ქართული სამოსის ისტორიულ ხასიათს წარმოაჩენს, დასტურდება მემორიალურ ძეგლებზე, ნუმიზმატიკაში, საეკლესიო არქიტექტურასა და კედლის მხატვრობაში. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ნიმუშები, რომლებიც შეიქმნა ადრეული შუა საუკუნეებიდან გვიანი შუა საუკუნეების დასასრულამდე.

ძველი ქართული სამოსის რეკონსტრუქციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მცხეთის ჯვრის ბარელიეფებს (VI ს.). მათზე გამოსახულნი არიან დიდებულნი – ტაძრის მშენებელნი და ქტიტორნი იმ დროის ორიგინალური ჩაცმულობით, რაც მნახველს საკმაოდ ცხად წარმოდგენას უქმნის სამოსის უნივერსალურსა და საყოველთაოდ გავრცელებულ სახეობებზე – კაბასა და მოსასხამზე.

მოსასხამის, კაბისა და შარვლის სახეობები დამონმებულია VII-XIV სს-ის ძეგლებზე: დმანისის, უკანგორისა და უსანეთის სტელებზე, ასევე ტბეთის, კუმურდოს, ზეგანის, ატენის, ოშკის, ვალეს, უდეს, შეპიაკის, ფეტონის, დოლისყანის, ქოროლოს, საფარისა და ქართული არქიტექტურის სხვა მნიშვნელოვან ნიმუშებზე. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ქვის რელიეფებია, მათზე წარმოდგენილ პერსონაჟთა ჩაცმულობაში შეიძლება გავარჩიოთ: სადა, სახიანი, გოფრირებული, მსუბუქი და მძიმე ქსოვილები; ტანსაცმლის ფორმა: საყელოიანი, უსაყელო, ყოშიანი, შეოლვილი, ქობიანი, ცრუ და ფართოსახელოიანი, გრძელი, გულჩახსნილი, წელვინრო, ბოლოგანიერი, ნაკეცებიანი, ღილებიანი, მარგალიტებით მორთული და ა.შ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია სამეფო კარის შესამოსელი, რაც უხვადაა წარმოდგენილი ნეკრესის, ვარძიის, ბერთუბნის, ბეთანიის, გელათის, ყინწვისისა და სხვა ქართულ ტაძართა (VI-XII სს.) ფრესკებზე.

სამოსის კულტურა, როგორც ადამიანის ესთეტიკური ხედვისა და მენტალობის ერთ-ერთი გამომხატველი, ჩვეულებრივ, ხასიათდება ნოვაციურობით, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს ამ დარგში ცალკეული ეტაპების ჩამოყალიბებას. ამიტომ, დღემდე შემორჩენილი საილუსტრაციო მასალის მიხედვით, შუა და გვიანი საუკუნეების საქართველოში სამოსის იმდენად მრავალფეროვანი სახეობაა დადასტურებული, რომ არა თუ ცალკეული ტიპების, არამედ ქვეტიპების გამოყოფაცაა შესაძლებელი.

ქართული ტანსაცმლის შესახებ ძალზე საყურადღებო ცნობებია დაცული მნიშვნელოვან ლიტერატურულ-წერილობით წყაროებში: „შუშანიკის წამებაში“ (V ს.), „ევსტათე მცხეთელის მარტვილობაში (VI ს.) „აბო თბილელის

ნამებაში“ (VII ს.), ზოგადად, „ქართლის ცხოვრებაში“ (V–XVIII სს.), ნიკორ-წმინდისა და მცხეთის სიგელებში (XII ს.), „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ (XIV ს.), ვახტანგ VI -ის „დასტურლამალში“ (XVIII ს.) და სხვ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებელ ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომი „ქართლის ცხოვრება“. მასში სხვა საკითხებთან ერთად მეცნიერი ეროვნულ სამოსსაც შეეხო. კერძოდ, მან წარმოადგინა ქართველებისათვის დამახასიათებელი ჩაცმულობა. ავტორის შეხედულებით, ქართველთა სამოსი მრავალფეროვანი და ორიგინალური ყოფილა.

გვიანი შუა საუკუნეების ქართული ჩაცმულობის შესახებ მდიდარი მასალაა დაცული ე.წ. მზითვის წიგნებში. როგორც ცნობილია, მზითვეი ოჯახიდან ქალისთვის მიცემული ქონება იყო. ის ფორმდებოდა საბუთით, რომელსაც იურიდიული ძალა ჰქონდა და, ამდენად, სანდო ისტორიული დოკუმენტია. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ წყაროებში მაღალი წრის ქალთა ჩაცმულობა საკმაოდ მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი, მაგალითად, ქართლის მეფის ასულისათვის მრავალ ძვირფას ნივთთან ერთად მზითვევში გაუტანებიათ: მარგალიტებითა და ფირუზებით შემკული 11 პერანგი და მისი ამხანაგი, ძვირფასი ქვებითა და ბეწვით განწყობილი 20 ტყავკაბა, სხვადასხვა ქსოვილისა და ფორმის 82 კაბა, 45 საგულე, ოქრომკედითა და ზარბაზით ნაქარგ-ნაკერი 21 წყვილი მაშია და ჯვორაბი (ნაქსოვი წინდა), სირმით ნაკერი და მარგალიტებით მორთული 10 ქუდი, 9 სარტყელი და სხვ.

XVIII ს–ის ქართველი მამაკაცის ჩაცმულობის შესახებ საინტერესო ცნობას გვანდის ერეკლე მეფის მდივან-მწიგნობარ იესე ბარათაშვილის ბიოგრაფია-ანდერძი, სადაც მოცემულია არა მხოლოდ ტანსაცმლის სახეობათა ჩამონათვალი, არამედ მათ მიმართ დამოკიდებულება. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ მას ჩაცმა-დახურვა უყვარს და კარგად უვლის სამოსს, რომ გამიჯნული აქვს საშინაო და საგარეო, საზაფხულო და საზამთრო, სალხინო და სამგლოვიარო ტანსაცმელი. ქსოვილი ძირითადად ადგილობრივია, ზოგიც ევროპიდან, ოსმალეთიდან და ირანიდანაა შემოტანილი.



XVIII ს-ის დასასრულისათვის ქართული სამოსის კომპლექტში აქტიურად მკვიდრდება კაბის სახეობა – ჩოხა, რომელმაც გულისპირზე დაკერებული ქილების წყალობით განსაკუთრებული ორიგინალობა შეიძინა და საყოველთაოდ გავრცელდა, განსაკუთრებით, საქართველოს ბარში. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ქართულ კაბასთან შედარებით იგი უფრო იაფი და ხელმისაწვდომი იყო. დროთა განმავლობაში გამოიკვეთა ჩოხის სხვადასხვა სახეობა, შეიქმნა მისი დახვეწილი ფორმები და, საბოლოოდ, ტანსაცმლის ამ ტიპმა იმდენად მასშტაბურად დაიმკვიდრა ჩვენს ჩაცმულობაში თავისი ადგილი, რომ ქალის ქართულ კაბასთან ერთად ეროვნული სამოსის სიმბოლოდაც იქცა.

ტანსაცმელი ხალხის ეთნიკური იერსახის მაჩვენებელია და მისი ტარების დროს ადამიანს უმძაფრდება საკუთარი ეროვნული ღირსების განცდა და ერთგვარ პასუხისმგებლობას გრძნობს წინაპართა წინაშე. ტანსაცმლის ცვალებადობით გამოწვეული უკმაყოფილების გამოძახილი, რასაც განაპირობებდა დამპყრობთა მიერ თავს მოხვეული კულტურა, ყველა ეპოქის თანმდევი იყო. თუმცა ის, რაც მოხდა XIX ს-ში, ყველაზე მასშტაბური და, ფაქტობრივად, ქართული ჩაცმულობის დამანგრეველი აღმოჩნდა. ევროპულმა ტანსაცმელმა და აქსესუარებმა უპრობლემოდ შემოაღწია ჩვენში და ისე სწრაფად მოიკიდა ფეხი, რომ ტრადიციული სამოსის ქომაგებმა თავიანთი უკმაყოფილება მხოლოდ წყენასა და საყვედურში გამოხატეს. ეს იყო დრო ძველისა და ახლის დაპირისპირებისა. ადამიანებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა პარიზის, ლონდონისა და ვენის საგალანტერიო ფაბრიკებში დამზადებულმა მდიდრულმა ტანსაცმელმა, რის შედეგადაც ქართული ჩაცმულობა რადიკალურად შეიცვალა.

მართალია, სოციალურად დაბალ ფენებში ეს პროცესი გახანგრძლივდა, მაგრამ არისტოკრატიულ წრეებში იგი სწრაფი და შეუქცევადი იყო. XIX ს-ის პროგრესმა შეცვალა არა მხოლოდ ადათ-წესები, არამედ შეეხო ყველა სფეროს და ადამიანთა შეგნებაშიც მოახდინა გადატრიალება. წარმოიქმნა თავისებური ახალი კულტურა, რომლის უარყოფა დროის მიღმა დგომას ნიშნავდა.





Georgian ethno-culture cannot be imagined without picturing the national costumes which have been worn by locals for thousands of years. Georgian national dress is symbolic of the various cultures that are within Georgia as well as a testament to the esthetic qualities of domestic craftsmanship.

Georgian costumes provide insight into the culture and the history of the people who were the first to produce fabric in the Caucasus region. Costume materials have recently been discovered in archeological excavations in Upper Imereti (region in Georgia) which date back to the Paleolithic period (35,000 years ago).

Archeologists discovered remnants of flax fabric (linen) and it is believed by many anthropologists that Georgia was one of the centers of flax fabric manufacturing during that period. This discovery was nominated as one of the top ten most significant discoveries of 2012 and has given scholars and anthropologists a greater understanding of one of the earliest human civilization. The usage of linen as a clothing material in the Paleolithic period served as a direct predecessor to the use of wool as a means of making clothing and has had a direct impact on the textile industry as we know it today.

The recent discoveries of ethnographic materials have had a great significance for the history of Georgian costumes. In the Georgian Ethnographic Museums, visitors can see the manner of wearing traditional clothing as well as many samples of traditional clothing. It is also important to note that until mid 20<sup>th</sup> Century the traditional way of producing flax, hemp, silk, wool, cotton and other fabrics was preserved within families. Every family had their own methods and styles of producing clothing. The fabrics were woven both on vertical and horizontal looms.

One of the earliest sources of the history of Georgian clothing is Herodotus (5<sup>th</sup> century B.C.) he wrote that ancient Caucasian people would choose special leaves, mix them with special substances and decorate clothing with them. These decorative patterns did not fade with time and looked like they had been woven into the threads. This 'father of history' praised the linens of Kolkhi where many popular fabrics were manufactured at the time. A number of subsequent authors mentioned the clothing of the Georgian, i.e., Kartvelian tribes especially those of the warriors. According to Xenophon's accounts (5<sup>th</sup> century B.C.), the Calipha and Mossynoeci warriors wore linen shirts that reached to their knees and covered their heads with leather hats. In the 19<sup>th</sup> century the distant descendants of these peoples, Megrelians, wore cool and convenient linen clothing that they wove themselves, while working in the fields.

Much later, historians of the Byzantium period, such as, Nikita Khoniata (12<sup>th</sup> century), Mikhail Ataliata (11<sup>th</sup> century) and Eustate of Thesaloniki (12<sup>th</sup> century) praised the Iberian and Lazian clothing which noblemen of the court wore. Manuel Komnebi in the "French Chronicles" described the clothing of the Iberian ambassadors during their visit to Paris in 1182. King Louis the 7<sup>th</sup> himself raved about the 'Iberian fashion' that he himself wore on many occasions.

During the early and middle ages particular interest was paid to the historical character of Georgian clothing which was showcased in memorial monuments, religious architecture, paintings and on ancient currency.

The bas reliefs sculptures of figures of Mtskheta's Jvari (Cross) Monastery (6<sup>th</sup> century) were of great importance for the Georgian clothing of that period because high ranking noblemen were depicted in the reliefs wearing the high fashion of the period.

Variations of cloaks, dresses and trousers are represented on commemorative tablets found in the archeological sites of Dmanisi, Ukangori and Usaneti. These costumes can also be found in the Georgian architectural sites of Tbeti, Kumurdo, Zegani, Oshki, Vale, Ude, Shepiak, Fetobni, Doliskana, Korogho, Safari and throughout Georgia. Although these statues and sculptures are carved out of stone, it is possible to notice the plain, patterned, goffered, light and heavy fabrics that the figures are wearing. The designs of the garments vary in style with collars, without collars, with cuffs, hems, false sleeved and wide sleeved, long, open at the chest, and also adorned with pearls.

The clothes of the Royal Court should be particularly mentioned. They are lavishly illustrated on the frescos of the Georgian monuments of Nekrsi, Vardzia, Bertubani, Gelati and Kintsvisi.

Clothing has always served as one of the expressions of a man's esthetic views and mentality, the culture of dressing is usually characterised by innovations of style and design. Therefore, according to the illustrated material preserved up to now, so many diversified items of clothing are presented in Georgia in the middle and late centuries – there are not only separate types, but subtypes can also be singled out. Very significant information has been preserved about the Georgian clothing in important

Georgian literary sources such as "The Martyrdom of Shushanik" (5th century), "The Martyrdom of Eustate Mtskheteli" (6th century), "The Torture of Abo Tbileli" (7th century), "The Life of Kartli" (5th – 17th centuries), "The State Court Arrangement" (14th century), "Dasturmalamal" (The Approval) by Vakhtang VI (18th century) and in the official documents of Nikortsminda and Mtskheta (12th century).

"The Life of Kartli" by Prince Vakhushti, the founder of Georgia's Historical and Geographic Sciences should be specially mentioned. Besides many other issues, he touched upon the national clothing, namely, he discussed the characteristics of the clothing of Georgians. According to the author's point of view, the clothing was extremely versatile and original in style.

Rich material is preserved in the "Dowry Books" about the Georgian clothing of the Late Middle Ages. As it is well-known, a dowry is the property which a woman's family gave her. It was certified by a special document which had juridical power and therefore it is a reliable historical document. It should be noted, that in sources like these, the clothing of high society women was versatile and lavishly presented. For instance, the Princess of the King of Kartli had various valuable items in her dowry: 11 shirts adorned with pearls and turquoises and their suitable undergarments, 20 leather dresses, adorned with various precious stones and furs, 82 dresses of various fabrics and shapes, 45 chest pieces, embroidered with gold thread and trimmed with brocade, 21 pairs of mashias (slippers) and jorabis (knitted socks); 10 hats trimmed with pearls and sewn with gold thread, and 9 girdles. The biography and will of Jesse Baratashvili, the literary secretary at the court of King Erekle, gives us interesting details about a Georgian man's clothing of the

18<sup>th</sup> century. A list of garments is given, and also the attitude towards them. Namely, he points out that he is fond of dressing up and that he takes good care of his clothes he also differentiates the clothes that are worn at home and outdoors, his summer and winter clothes, festive and mourning clothes. Many of these fabrics were local while others were brought from Europe, Turkey and Persia.

By the end of the 18<sup>th</sup> century, a garment called a Chokha, quickly became an extremely popular garment, especially in the valleys and lowlands of Georgia. The chokha was decorated with bullet cartridges that lined the chest. This element made the chokha stand out and become one of the most popular garments in Georgian national attire. As time passed, several kinds of the chokha appeared. Chokhas could be seen in refined shapes, and finally, this type of garment had such a significant place in the fashion of Georgia that it became an iconic national symbol along with traditional Georgian dresses for women.

Clothes are the indicators of peoples' ethnic image and while wearing them a person acquires an intensified feeling of one's own nationality and a certain responsibility towards their ancestors. The negative response, brought about by the change of the design of clothing (which was often determined by the culture, imposed by the conquerors) accompanied all the epochs, but the changes, which took place in the 19<sup>th</sup> century were the most influential and forever changed traditional Georgian clothing. European clothing and accessories reached Georgia and these clothing styles became popular and spread so quickly into Georgian popular culture that advocates of the traditional clothing expressed their displeasure only in resentment and reprimands. It was a historical moment of the confrontation between the traditional and the modern. The garments, made in Paris, London and Vienna hosiery factories greatly impressed the people of Georgia and as a result of it, Georgian clothing style began to change.

This process was prolonged among the people of lower social classes, but among the Georgian aristocracy it was quick and irreversible. The transformation of the 19<sup>th</sup> century changed not only customs and habits, but it made a kind of revolution in the people's mentality as well and touched upon all the spheres of culture and society. It created a certain new culture, the rejection of which meant standing beyond time.







ქართული საერო სამოსის მრავალსახეობას განაპირობებს გეოგრაფიულ-კლიმატური, ტომობრივ-ეთნიკური და სოციალურ-ნოდებრივი სხვაობა. მიუხედავად ამისა, ამ მრავალფეროვნებაში შეიძლება ბევრი საერთო ნიშნის (მასალა, თარგი, სილუეტი, სქესობრივ-ასაკობრივი ფაქტორი, ფერთა შეხამება, ჩაცმისა და ტარების წესი) პოვნა, რაშიც, ზოგადად, აისახა ქართული ხასიათი. ქალისა და მამაკაცის სამოსის ძველქართული საერთო სახელწოდებაა კაბა.


The diversity of the Georgian secular clothing is determined by geographic, climatic, tribal-ethnic and social class differences. In spite of this versatility, many common features can be found, such as materials, patterns, silhouettes, gender and age factors, color coordination and the manner in which clothing was worn. The Georgian character is reflected in the designs and styles of its national clothing. The ancient common name for male and female garments is kaba - a dress.

ქალის ე.ნ. ქართული კაბა, ძირითადად, ორი სახისა იყო: სახლართავიანი და გუჯასტიანი (გულზე ოთხკუთხა ჭრილიანი კაბა). კაბის კომპლექტის აუცილებელ ელემენტებს კი გულისპირი, ღრმად შეხსნილი სახელოები, ყურთმაჯები, სარტყელ-გულისპირი შეადგენდა.

ქართული კაბა წელში გამოყვანილი და ბოლოგანიერი იყო. შედგებოდა ერთმანეთთან მხოლოდ ზურგით დაკავშირებული ზედა და ქვედა ნაწილებისაგან. 3-6 ნაჭრიანი ზედაკაბა ჩანაკერების საშუალებით ტანზე მჭიდროდ იყო მორგებული. მას მთლიან სარჩულს უდებდნენ ტანზე მომდგარი რომ ყოფილიყო. წინა კალთებს ატანდნენ ძვლის ან რკინის ვიწრო ზოლებს – ფირფიტებს. საკისრე უკან ოდნავ იყო ამოჭრილი. XIX -ის 70-იან წლებამდე, ზედაკაბა, უმთავრესად, გუჯასტიანი იყო (წინ გუჯასტით, ანუ ხრიკებით იკვრებოდა), ხოლო ის ადგილი, საიდანაც გულისპირი ჩანდა, მეტწილად, ოთხკუთხედად იყო ამოჭრილი. შემდგომ წლებში კი ვრცელდება სახლართავიანი კაბა წინ გახსნილი გულით. ზედაკაბის ამოჭრილ გულს ავსებდნენ გულისპირით – ძვირფასი ქსოვილით, რომელიც უმეტესად მოქარგული იყო.







The Georgian Lady's dress - kaba can be characterized by two main styles: Sakhlavtaviani (laced in the front) and the Gujastiani - a dress which included a square cut on the chest. The necessary items of a dress - kaba were a chest piece, long, open sleeves, cuffs and a girdle.

The Georgian dress was tight on the waist and wide and flowing on the bottom. It consisted of upper and lower parts which joined each other at the back. The upper part consisted of 3-6 pieces and it was tight-fitting on the body due to the stitches. The upper part had a whole lining. The front parts had inserted bone or iron narrow plates in order to make it tight fitting on the body. The neck line was slightly cut out. Until the 1870's, the upper part was mainly gujastiani (fastened with hooks at the front) and the place where the chest-piece was visible and most were made with square-shaped cuts. Later, the sakhlavtaviani dress widely spread which was made with an open cut and was laced in the front. The cut out upper part of the dress was filled with valuable embroidered pieces of fabric.

მანდილოსნის სამოსი/ კახეთი  
აბრეშუმი, ხავერდი, ოქრომკედი, კილიტები

Woman's Dress/ Kakheti  
Silk, Velvet, Gold Thread, Sequins



კაბის ქვედა ნაწილი წელმოუკერებელი და წელმოკერებული იყო. ზოგიერთს უკანა კალთა წინაზე გრძელი ჰქონდა და მას კუდმოთრეულს ეძახდნენ. ამ ორ ნაწილს აერთებდა ნაქარგი და ძვირფასი თვლებით შემკული ორტოტა სარტყელი. მისი გრძელი და განიერი ტოტები ქვედაკაბის წინა კალთაზე ეშვებოდა.

ყურთმაჯები კაბაზე არ იყო მიკერებული და ფართო სახელოების ქვეშ, მკლავებზე, ზონრებით მაგრდებოდა, ხოლო მაჯა ბუდიანი ხრიკებით (დუგმები) ან ვერცხლის ყუნწიანი ღილებით იკვრებოდა.

კაბისა და მისი ელემენტებისათვის ერთნაირი მასალა გამოიყენებოდა – აბრეშუმის ქსოვილი და ძაფი, ოქრომკედი, ვერცხლმკედი, ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვები. გასამშვენებლად, ძირითადად, იქარგებოდა მცენარეული ორნამენტი – ვაზისა და მუხისფოთლები, ყურძნის მტევნები, პურის თავთავები და სხვ. მათი მხატვრული გაფორმება-ორნამენტირება და ფერთა გამაც ერთნაირი ან ურთიერთშეხამებული, მისადაგებული იყო კაბასთან, რაც ქართველ ოსტატთა დახვეწილ ესთეტიკურ გემოვნებაზე მეტყველებს.

ქართული კაბის განყოფილებას ითვალისწინებდნენ ასაკობრივსა და სოციალურ ფაქტორს, რაც განაპირობებდა მისი მასალის ხარისხს, ფერთა გამასა და გაფორმებას. ახალგაზრდები ირჩევდნენ ღია ფერის ქსოვილს, მოხუცები – მუქს. საქორწინო კაბა კი, ტრადიციულად, თეთრი იყო.

მანდილოსნის სამოსი/ ქართლი  
აბრეშუმი, ხავერდი, ოქრომკედი

Woman's Dress/ Kartli  
Silk, Velvet, Gold Thread





მანდილოსნის კაბის სარტყელი,  
გულისპირი, ყურთმაჯები/ ქართლი  
აბრეშუმი, ხავერდი, ოქრომკედი, კილიტები

Lady's Girdle with V-neck Embroidered Piece  
and Cuffs/ Kartli  
Silk, Velvet, Gold Thread, Sequins









მანდილოსნის კაბის სარტყელი,  
გულისპირი, ყურთმაჯები/ ქართლი  
აბრეშუმი, ხავერდი, ოქრომკედი, კილიტები

Lady's Girdle with V-neck Embroidered Piece  
and Cuffs/ Kartli  
Silk, Velvet, Gold Thread, Sequins



ქართული კაბის გულისპირები/ქართლი  
აბრეშუმი, ხავერდი, ოქრომკედი, ვერცხლმკედი, კილიტები

Lady's V-neck Embroidered Piece/ Kartli  
Silk, Velvet, Gold Thread, Silver Thread, Sequins



There were two kinds of dresses; one was sewn at the waist, and the other was sewn just at the back, the front part of this dress (skirt) was un-sewn. These two parts were joined by the embroidery and a two-branch girdle adorned with precious stones. The long and wide girdle fell down on the front of the dress. Some of dresses had the back section of skirt longer than the front and this style was referred to as a tailed dress.

Cuffs were not sewn on the dress and under the sleeves they were tied to a woman's arms with strings and at the wrist they were fastened with hooks or silver buttons.

The same materials were used for the dress and its elements; silk fabric and thread, gold and silver threads, precious and semi-precious stones. For adornment mostly embroidery was used: plant ornaments – grape leaves, grape bunches, bushels of wheat, and oak leaves. Their adornment and ornamentation, and the color sets were the same or matching the dress which points to the Georgian masters' fine esthetic tastes.

While adorning a dress the age and social factors were taken into consideration which determined the quality of the material, color coordination and ornamentation. Younger women and girls chose lighter coloured fabrics while older women preferred to wear darker colours. Wedding dresses were traditionally white.



А. МИХАИЛОВЪ и М. КАЧХОЕВЪ

КУТАИСЪ.





აღმოსავლეთ საქართველოში XVIII-XIX სს-ში, უმთავრესად, გავრცელებული იყო მამაკაცის ყურთმაჯიანი, განიერსახელოიანი, წელზე დანაოჭებული, გრძელი ან მუხლამდე კაბა. მას გარშემო ყაითნისა (ძაფისაგან დანწული წვრილი ზონარი) და ხავერდის ოლე (არშია) შემოუყვებოდა.

გრძელსახელოიანი კაბის სახელო ჩვეულებრივზე გრძელი იყო და ბოლოვდებოდა მომრგვალებული ან წანვეტებული ყოშით, რომელიც ხელის მტევნის ზედა ნაწილს ფარავდა. სახელოს სხვა ფერის ძვირფასი ქსოვილით ასარჩულებდნენ, რადგან ცრუ სახელოში ხელი იშვიათად ეყრებოდა და ყურთმაჯები ხშირად მხრებზე ჰქონდათ აკეცილი. ყოშიანი კაბით, უმეტესად, იმოსებოდნენ დიდგვაროვნები და ვაჭრები. განსხვავდებოდა კაბის გულისპირის ქრილიც. ზოგი სამკუთხედი იყო, ზოგიც – ორ მხარეს ჩახსნილი და გადმოკეცილი ან მთლიანად დახურული და ყელამდე შეკრული.

კაბის უმთავრესი სამშვენისი იყო ვერცხლის ქამარი ან ძვირფასი ქსოვილის სარტყელი.

In the Eastern Georgia of the 18<sup>th</sup> and 19<sup>th</sup> centuries, the most popular outfits were male dresses with cuffs. These kabas (dresses) were long or reaching the knees, they were gathered at the waist and had wide sleeves. The dress had a hem, adorned with a thin, pleated string and a velvet edge.

The sleeves of the dress were longer than usual and had rounded or pointed cuffs, which covered the upper part of the hand. The sleeves had a lining of a valuable fabric, as the hand was seldom thrust through the false sleeves the cuffs were often folded up on the shoulders. Noblemen and merchants usually wore dresses with cuffs. The cut on the chest was also of different shapes. Some were triangular while others were open on both sides and folded up or completely closed and buttoned up at the neck.

The most principal adornment of the dress was a silver belt or a girdle, made of a valuable fabric.





მამაკაცის კაბა/ ქართლი  
მაული, აბრეშუმის, ხავერდი

Man's Dress/ Kartli  
Wool, Silk, Velvet



მამაკაცის კაბა ახალუხით/ ქართლი  
მაუდი, აბრეშუმი, ხავერდი

Man's dress/ Kartli  
Wool, Silk, Velvet



კაბის შიგნით იცვამდნენ ახალუხს. XIX ს-ის II ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისში საქართველოში მასობრივად გავრცელდა სამი სახის ახალუხი: ე.წ. თავადური, გრძელი და უნაოჭო, მრავალკალთიანი; გლეხური მოკლე და დანაოჭებული; ქალაქური, ე.წ. დუშლულიანი, ანუ ორსაკინძიანი. ამ უკანასკნელის მომხმარებლები ქალაქელი ვაჭარ-ხელოსნები და წვრილი მოხელეები იყვნენ. ორსაკინძიან ახალუხს გული ერთიდან მეორე მხარეს ჰქონდა გადადებული და ყაითნის მრავალი ღილით იკვრებოდა. კახეთში ამგვარ მოკლე ახალუხზე ბოლომდე გახსნილ სადა, შეუკრავ ჩოხას იცვამდნენ.

ახალუხს ხშირად ასარჩულებდნენ ბამბის ქსოვილით. მას საყელოსა და გულზე აჭრელებდნენ (აგვირისტებდნენ) სხვადასხვა ორნამენტით. ახალუხი ყურთმაჯიანიც ყოფილა. ზოგი წელიანი, ანუ ჩოხური აჭრილობისა (თარგისა) იყო, გულდახურული და მაღალი საყელოთი. ჰქონდა სწორი სახელოები, გულისპირზე – ჯიბე. სეზონის მიხედვით უფენდნენ ბამბას და ალიანდაგებდნენ.

მანდილოსანთა ახალუხი ორი სახისა იყო: გრძელი და მოკლე. გრძელი ახალუხი წინ ჩახსნილი, მამაკაცის ახალუხის მსგავსი, წელზე მომდგარი, კალთაგანიერი, მაღალი საყელოთი და ღილ-კილოებით შესაკვრელი იყო. სწორი სახელოები ზოგჯერ ყოშებით ბოლოვდებოდა.

მოკლე ახალუხი ქართლ-კახეთ-ჰერეთისთვის იყო დამახასიათებელი. საქლო ახალუხის მთავარ გასაწყობ სამკაულად ყაითანი ითვლებოდა. მის კალთებს ნაფთულითაც (აპლიკაციით) ამშვენებდნენ.

მამაკაცის ახალუხი/ იმერეთი  
აბრეშუმი, ბამბა

Man's Akhalukhi/ Imereti  
Silk, Cotton



მამაკაცის ახალუხი/ ქართლ-კახეთი  
აბრეშუმი, ბამბა

Man's Akhalukhi/ Kartli and Kakheti  
Silk, Cotton











მამაკაცის ახალუხი/კახეთი  
ბამბა

Man's Akhalukhi/ Kakheti  
Cotton



ქართველი ქალი ქათიბით  
მხატვარი მაქს ტილკე

Georgian Lady wearing Katibi  
Artist: Max Tilke


ქათიბი მანდილოსნის ზამთრის ძვირფასი სამოსია, რომელიც, უმეტესად, აღმოსავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული. ქათიბისათვის გამოიყენებოდა სხვადასხვა ფერის ხავერდი, სარჩულად კი – აბრეშუმი ან ბენვი. იგი საგანგებოდ ირთვებოდა: საყელოსა და კიდეებს ამშვენებდა ნაქარგობა და მარგალიტით შემკობილი ორნამენტები. ქათიბის ზედა ნაწილი სხეულზე იყო მორგებული, ქვედა – განიერი კი მუხლებამდე აღწევდა. თითქმის ამ სიგრძისა იყო გახსნილი, ცრუ სახელოები, რომლებიც ყოშებით ბოლოვდებოდა. ქათიბს გარშემო სიასამურის ბენვი ჰქონდა მოვლებული. მას სამშვენისად მარგალიტთან ერთად ვერცხლის ან ოქროს ღილები ეკერა.



ქათიბი/ ქართლი  
აბრეშუმი, ხავერდი, ბუნვი, ოქრომკედი

Katibi/ Kartli  
Silk, Velvet, Fur, Gold Thread





The katibi is a lady's valuable winter garment, which was mostly worn in Eastern Georgia. Various colours of velvet were used for the katibi and the lining was silk or fur. It was specially adorned: the collar and edges had embroidery and the ornaments were made with pearls. The upper part of the katibi was tight the body and the lower section reached the knees. The false sleeves were almost of the same length which ended with cuffs. The edge of the katibi was bordered with sable. It was adorned with silver and gold buttons.









ქათიბი/ ქართლი  
აბრეშუმი, ხავერდი, ბენვი, ოქრომკედი

Katibi/ Kartli  
Silk, Velvet, Fur, Gold Thread





ჩოხა მამაკაცის ყველაზე გავრცელებული სამოსია მთელ კავკასიაში. იგი ქართულ საერო სამოსში XVII-XVIII სს-ში მკვიდრდება და, ფაქტობრივად, მამაკაცის კაბის მემკვიდრედ შეიძლება ჩაითვალოს. მისი გამორჩეულობა განაპირობა ჩოხის განწყობამ საქილეებით. საქართველოში ჩოხის არაერთი სახეობაა, რომლებიც კუთხეების მიხედვით ერთმანეთისგან განირჩევა: სიგრძით, კალთების რაოდენობით, სახელოს ფორმით, სამასრეებითა და ა.შ.

ჩოხის მასალად, ძირითადად შავი, მინისფერი, ლურჯი და რუხი ფერის შალი გამოიყენებოდა. საზამთრო ჩოხა უფრო სქელი ქსოვილისაგან მზადდებოდა. აქლემის ყელის მატყლის, ყველაზე თხელი და ნაზი, შალისაგან საუკეთესო, ე.წ. საჯელო ჩოხა იკერებოდა. საქორწინო თეთრ ჩოხასაც საუკეთესო მასალისაგან კერავდნენ.

ჩოხის სახელო მაჯასთან იყო შეჭრილი და გრეხილმოვლებული. კალთების განაკვეთს შიგნიდან ჩაფარიშები (ნაკერებზე შემოსავლები სახიანი არშია) დაუყვებოდა, ხოლო გარედან გადაკერების ადგილი და კალთები, ასევე ახალუხის ნაპირები და ნაკერები ბუზმენტითა და ვერცხლმკედით მოქსოვილი ყაითნით ირთებოდა.

დასავლეთ საქართველოში გრძელ ჩოხას ატარებდნენ. ამ მხრივ გამორჩეული იყო მეგრულ-აფხაზური ჩოხა, რომლის სიგრძე კოჭებს სცდებოდა, ტანზე მეტად მომდგარი იყო, სამასრეები კი ვიწრო, მოკლე ჰქონდა და კალთის ორსავე მხარეს მეტად დახრილად ჰქონდა მიკერებული. ერთგვარ მოდურ ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს სამასრეების განსხვავებული ფერით, როგორც წესი, შავი ქსოვილითა და ტყავის არშიით გამოკვეთა. ასეთივე სამშვენისი იყო კრაველის ბენვის არშია, რომელიც ჩოხის მკერდის ჭრილსა და კისერს დაუყვებოდა. პოპულარული იყო ჩოხის სახელოს სხვა ფერის ქსოვილით დასარჩულება (მამაკაცის ყურთ-მაჯიანი კაბის მსგავსად). სახელოს გადაკეცვისას ეს დეტალი ჩოხის ერთგვარი სამშვენისი იყო.



აღმოსავლეთ საქართველოში უფრო თავისუფალი ქრის ჩოხა იყო გავრცელებული. ტანზე არც ისე მოყვანილი გახლდათ, გახსნილს ხმარობდნენ და ხშირად ღილ-კილოს არც კი აკერებდნენ. ჩოხის გასამშვენებლად სხვადასხვა ტიპის მოსართავი გამოიყენებოდა. სადად მიიჩნეოდა ჩოხის ფერისვე ან განსხვავებული ტონალობის ყაითნით, ან გრეხილი ზონრით განწყობა.

უფრო სადღესასწაულო ელფერი კი მოსირმული, ნაქარგი აშიებით განწყობილ ჩოხას დაკრავდა. აგრეთვე გამოიყენებოდა მოსართავი ფერადი ზონარი, იგივე ზეი, რომელიც დაბალი ხარისხის ფერადი აბრეშუმის ძაფისგან მზადდებოდა. იწნებოდა ოთხი ძირითადი ფერის – ლურჯი, ყვითელი, წითელი და მწვანე ძაფისაგან.

ჩოხის ტარების გარკვეული წესი არსებობდა გლოვის დროს. იმერეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში მამაკაცები ჩოხა-ახალუხის მსგავსი სამოსით იმოსებოდნენ. ის იკერებოდა უბრალოდ, ყოველგვარი სამშვენისის გარეშე. მასზე ქამარ-ხანჯალს არ ატარებდნენ და ზემო იმერეთში კაბაკარდი ერქვა, აღმოსავლეთ საქართველოში კი – კაბა.



მამაკაცის ჩოხა/ იმერეთი  
მაუდი, ბამბა

Chokha/ Imereti  
Wool, Cotton





The chokha is the most ubiquitous garment in the Caucasus region. It was implemented in the Georgian secular clothes of the 17<sup>th</sup> and 18<sup>th</sup> centuries and is considered the heir of the male dress. It is particularly remarkable because of the cartridge cases adorning the chokha. There are several kinds of the chokhas in Georgia which are distinguished by regions, length, the numbers of panels, the shape of the sleeves, and by the design and number of the cartridge cases.

The fabric that is used to make a chokha is wool that is typically dyed black, brown, blue or grey. The winter chokha was made of a thicker fabric. Camel wool is thin, soft and was used to make the best chokha for young people. The white wedding chokha was also made from high quality fabrics. The sleeve of a chokha was cut at the wrist and edged with a rolled and twisted string. The edges had chaparishes (a patterned line) sewn from the inside and outside stitches. The edges of the akhalukhi were adorned with gold and silver threaded strings.

In Western Georgia, a long chokha was used because of cultural and climatic conditions that differed from Eastern Georgia. In this respect, the Megrel and Abkhaz chokhas were especially remarkable. Western chokhas were so long that they went all the way down past a man's ankle and they were fit tightly around a man's waist and torso, the cartridge cases were narrow and short. They were sewn in a slanting way on both sides and the cartridge cases were of different colors, as a rule they stood out on the black fabric and had leather edges. Lamb's wool adornments were also used and lined the chest piece cut and the neck. It was popular to have a lining of a different color (like the male cuffed dress). When folding up the sleeves, this detail was striking and highly fashionable at the time.

In Eastern Georgia, the chokha, cut out of a freer pattern became more popular. It was not tightly fitted to the body and used to be worn open and there were no buttons or hooks sewn on them. Different trimmings were used to decorate chokha. It was considered a simpler way to trim it with the strings of the same color or of a different shade of pleated edgings.

The chokha looked more festive if it was embroidered and the trimming strings had gold threads woven into them. Colored strings which were made out of a cheaper quality silk were used as trimmings. The pleated design was made with four different colours; blue, yellow, red, and green.

There were special customs concerning the way a chokha was worn during the forty day mourning period after a death. In Imereti and East Georgia, men wore the garments which resembled the chokh-akhalukhi. They were made without any adornment. The belt and the dagger were not worn on them. In Upper Imereti it was called the kaba-kardi and in Eastern Georgia (kaba).



ქართული ჩოხის აუცილებელი აქსესუარია ქილები, ანუ მასრები. მოგრძო მილისებური ხის სათავსოები, რომლებიც ჩოხის გულისპირზე დაკერებულ საქილეებში ეწყობო. ძველად მასში ინახებოდა ერთი გასროლა თოფის წამალი. მოგვიანებით იგი ჩოხის სამკაულად იქცა და განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მასრების თავების გაფორმებას, რომელთა დასამზადებლად იყენებდნენ რქას, სპილოს ძვალს, ვერცხლს, ოქროსა და გიშერს.

ჩოხაზე ატარებდნენ ვერცხლის ქამრებს ვერცხლისვე ქარქაშიანი ხანჯლით. სარტყელ-ქამარი, უმეტესად, მზადდებოდა ძვირფასი ლითონის, ტყავისა და ნაჭრის კომბინაციით. სარტყლებს ამზადებდნენ საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა ქალაქში.

ვერცხლის სარტყლებში სრულყოფილად გამოვლინდა კავკასიის ხალხთა თვითმყოფადი საოქრომჭედლო კულტურა. ვერცხლის სარტყლები დანიშნულებით იყო სამამაკაცო და სადიაცო. განყოფილ – ერთიანი, მიჯრით მიწყობილი და ნაჭრიანი. აგებულებით – ყურუმი (მასიური) და ჭვირული (გამჭოლი), მოკაზმულობით – მინანქრიანი, სევადიანი, ოქროცურვილი, გრეხილურ-ცვარული და სხვ., საკინძის მიხედვით კი – გობაკიანი და აბზინდიანი. ვერცხლის ნაწილებით შემკული ხმლის სამხარილლივე, ანუ ყანში მხარილლივ გადაკიდებული თასმაა, რომელზეც ხმლის ქარქაშია ჩამოკიდებული.

ხმალი ქართული კაბისა და ჩოხა-ახალუხის აუცილებელ ატრიბუტად იქცა. ეს საბრძოლო იარაღი რკინის ხანის პირმშოა და მისი გამოყენება იმ დროიდან ივარაუდება. ფეოდალური ხანის ქართველი დიდებული ხმალს ყოველდღიურად ატარებდა. ქართული ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალით დასტურდება ხმლის ნაირგვარი ტიპები: ქართული გორდა, დავითფერული, მისრული, დაშნა, შიშნა, ნიჩბა, ჭოლაური, ლეკური, გველისპირული, თუშური ორლესული, უნგრული, ფრანგული და სხვ.





ჩოხის ქილები/ იმერეთი, ქუთაისი  
ხე, ვერცხლი, ოქრო, სევედა

Cartridges/ Imereti, Kutaisi  
Wood, Silver, Gold, Metal Inlay



*Philippovitch & Co*

PHOTOG. DU BEAU MONDE.  
TIFLIS.

Cartridge cases are necessary accessories of the chokha. They are long, tube-like containers which are sewn on the chest piece of the chokha. In the times of our ancestors, gun powder for one shot was kept in them and later it became a kind of adornment for the chokha. Particular attention and craftsmanship was paid to highlighting the edges of the cases. Such materials as horns, ivory, silver, gold, and jet were used to decorate the edges of the casings.

Silver belts and silver sheaths with daggers were worn on a man's belt. Belts were made with a combination of materials such as precious metals, leather and fabric. Most belts were made in Georgia and various towns of the Caucasus region.

The original goldsmith culture of the Caucasian people was showcased by the exquisite designs and craftsmanship of belts and daggers. Silver belts were worn by both men and women. They were whole, tightly made and consisting of different pieces of metal. They were massive in structure and penetrating, ornamented with enamel, covered with gold, with rolling and twisting designs. Carved silver and metal buttons and buckles were used as fastenings. The katsimi, is a string thrown over the shoulder, on which the dagger sheath hangs. It is ornamented with silver pieces.

The sabre is a kind of backsword that had a curved, single-edged blade and a rather large handguard, covering the knuckles of the hand as well as the thumb and forefinger. The sabre and dagger became a necessary attribute of the Georgian dress and of the chokha-akhalukhi outfit. This iron weapon is the child of the Iron Age and its practical usage is thought to have existed since that period. Georgian nobleman of the feudal period used to wear a sabre every day. Georgia's ethnographic and folklore materials prove the existence of various types of sabres: the Georgian gorda, davidperuli, misruli, dashna, shishna, nichba, cholauri, lekuri, gvelispiruli, tushuri, orlesuri, ungruli (Hungarian), pranguli (French).





მამაკაცის ზედა სამოსი – ქულაჯა წელში გადაჭრილი, ნაოჭასხმული და ახალუხზე ჩასაცმელი იყო. მას იდაყვამდე დაშვებული სახელოები ჰქონდა. იკრავდნენ გულისპირზე დაკერებული ღილ-კილოებით. ზამთარში ასარჩულებდნენ ბენვით, სხვა დროს კი – აბრეშუმითა და სატინით. იკერებოდა ძვირფასი (უმეტესად, ხავერდი) და ფერადი (შინდისფერი, მწვანე, ლურჯი) აბრეშუმის ქსოვილისაგან.

ქულაჯის ირგვლივ კიდეების გასაწყობად იყენებდნენ ძალარას (ბენვის აშიას), თავად ქულაჯის შესამკობად კი – ოქრომკედს, ფერად ყაითანს, ვერცხლისა და ოქროს სირმით ნაქსოვ ზონრებს, ფერადი აბრეშუმისა და ტყავის ნაჭრებს. ქულაჯის განუყოფელი სამშვენისი იყო საპირისნამლე რქა და სასწრაფო – ქილების ჩანთა, რომელიც ოქრომკედით იქარგებოდა.

The kulaja is an upper garment for men. It is cut at the waist, gathered and worn on top of the akhalukhi. The sleeves reach the elbows. It was fastened on the chest piece with buttons and hooks. In winter, it has a fur lining and a silk and satin lining for other seasons. It was made of valuable fabric (mostly velvet) and coloured (dark red, green, blue) silk fabric.

Fur was used to trim the edges of the kulaja and also strings with gold and silver thread woven into them, as well as silk and leather pieces. The indispensable adornment of the kulaja was the horn with gunpowder and a bag for cartridge cases which are embroidered with gold thread.





მამაკაცის ქულაჯა/ ქართლი  
ხავერდი, აბრეშუმის, ბენვი

Man's Kulaja/ Kartli  
Velvet, Silk, Fur











ქულაჯა/ქართლი  
ხავერდი, აბრეშუმი, ბამბა, ვერცხლმკედი

Man's Kulaja/ Kartli  
Velvet, Silk, Cotton, Silver Thread





ქულაჯა/ ქართლი  
ხავერდი, აბრეშუმი, ბამბა, ვერცხლმკედი

Man's Kulaja/ Kartli  
Velvet, Silk, Cotton, Silver Thread





ქართველი მამაკაცის სამოსთან დაკავშირებულ აქსესუართა შორის ერთ-ერთი საინტერესო და იშვიათია ე. წ. საულვაშეები, რომელთა დანიშნულებასთან დაკავშირებით ორი მოსაზრება არსებობს; ერთი უკავშირდება ქართველი მამაკაცის ულვაშის ფორმას. ლამაზად დაყენებული, ე.წ. ანკეპილი, ულვაში კარგად რომ მდგარიყო და მისი ფორმა ძილის დროს არ შეცვლილიყო, ღამე ქართველი მამაკაცი ულვაშზე საულვაშეს მოირგებდა და მის ორ ბოლოზე მიკერებული ზონრებით კეფაზე შეიკრავდა. ეს ულვაშს ფორმას უნარჩუნებდა და ყოველ დილას მისი ხელახლა დაყენება და სწორება აღარ სჭირდებოდა.

მეორე მოსაზრების თანახმად, მამაკაცი ულვაშს მაშინ აიკრავდა, როცა ის ეზიარებოდა. მისი ულვაში სინმინდეს რომ არ შეხებოდა, ამაში მას საულვაშე ეხმარებოდა.



Among accessories related to Georgian men's clothes was one of the most interesting and rare – saulvasheebi (accessory for mustache). There are two opinions concerning the purpose of this accessory. One of them is connected with the shape of Georgian men's mustache with elevated pointed ends. Saulvasheebi were worn at night to prevent the alteration of the shape of a man's beautifully styled mustache when he slept. A man had to put it on his mustache and tie up the laces attached at the end of Saulvasheebi at a back of the head. This preserved his mustache shape, and he did not have to re-style his mustache when he woke up the next morning.

Saulvasheebi were also believed to be used during Holy Communion, so that a man would not desecrate objects of worship with his mustache.



საულვაშეები/ ქართლ-კახეთი  
აბრეშუმის, ბამბის, მარგალიტის, მძივის

Accessory for Mustache/ Kartli and Kakheti  
Silk, Cotton, Pearls, Beads



ქართველი ქალის სამოსის კომპლექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია თავსაბურავი, რომელშიც შედიოდა: ჩიხტიკოპი, თავსაკრავი, ლეჩაქი, ბაღდადი, შუბლის ქინძისთავი, კავები და დალალ-კავები.

ჩიხტი თხემისკენ დაქანებული, თავზე დასადები მუყაოს ან ხის ბრტყელი რკალია, რომელზეც გადაკრულია ფარჩის ან ხავერდის სხვადასხვა ფერის ვინრო, ოთხკუთხა ქსოვილის შუბლსაკრავი, ანუ თავსაკრავი. ის მოქარგულია აბრეშუმის ფერადი ძაფით ან ოქრომკედითა და ვერცხლმკედის ორნამენტული სახეებით, შემკულია ფერადი ქვებითა და მძივებით. ჩიხტიკოპზე მანდილი მაგრდებოდა შუბლის ქინძისთავით. არისტოკრატთა ქინძისთავები ნახევრად ძვირფასი ქვებით ან ბრილიანტებით იმკობოდა. ჩიხტით დაბურულ თავს მალლა თავი ენოდებოდა, დაბლა თავი კი – ჩიხტის გარეშე ლეჩაქით თავხურვას. ასე მოხუცები და მგლოვიარე ქალები იმოსებოდნენ. თავდაუხურავად ქალის სიარული თავსაიად იწოდებოდა.

კოპი ბოლოებნანვეტებული, ბამბით გამოტენილი, ბამბის ან აბრეშუმის ქსოვილისგან გაკეთებული ნახევარრკალია. მას დებდნენ ჩიხტის შიგნით სიმყარისა და ზედ ქინძისთავებით ლეჩაქის დასამაგრებლად. სამკუთხა, თხელი, გამჭვირვალე ქსოვილისაგან (ტიული, მარმაში) დამზადებული ლეჩაქი მოქარგული ან დაბასმული (დახატული) იყო. მას კიდებზე შემოუყვებოდა მაქმანი. ლეჩაქის დამაგრების ორი ხერხი არსებობდა: საყბურითა (ლეჩაქის ერთი კუთხე ამოტარებული იყო ნიკაპის ქვემოთ და საპირისპირო მხარეს კოპზე დამაგრებით ყელს ფარავდა) და უსაყბუროდ (ლეჩაქის ორი ბოლო წინ ეშვებოდა და ქალს ღია ყელი მოუჩანდა). ამას ყელჩენით დაბურვა ეწოდებოდა. ლეჩაქის ტარების ეს წესი მიანიშნებდა, ქალი გათხოვილი იყო თუ გაუთხოვარი. აღნიშნულ წესს ქართველი ქალები უძველესი დროიდანვე მტკიცედ იცავდნენ.



E. Klatz  TIFLIS



ჩიხტიკოპის შუბლსაკრავები/ ქართლ-კახეთი  
სავერდი, აბრეშუმში, ოქრომკედი

Embroidered Headbands/ Kartli and Kakheti  
Velvet, Silk, Gold Thread



One of the most important components of a woman's outfit is a headdress which included the chikhti kopi, embroidered headband, a veil, a silk handkerchief, a pin for the headband and locks of hair.

The chikhti is a cardboard, flat semicircle, slanting to the top of the head and covered with a brocade (a class of richly decorative shuttle-woven fabrics), or velvet, narrow, multi-coloured headgear, covering the forehead. It is embroidered and adorned with silver and gold ornaments and coloured stones and beads. The headband was fixed on the chikhti kopi with forehead pins. The forehead pins of aristocrats were adorned with precious stones and diamonds.

The kopi is a pointed, semicircle stuffed with cotton and covered with silk or cotton. It was placed inside the chikhti for stability and for fixing the veil with the head pins. The veil was made of a thin, transparent fabric (tulle) that was triangular shaped, embroidered and painted, and was trimmed with lace. The way in which a woman wore her veil indicated whether or not she was married. Georgian women have strictly observed this rule since ancient times.

შუბლის ქინძისთავი/ ქართლი  
ოქრო, ვერცხლი, ზურმუხტი, ფირუზი, მარგალიტი

Headband Pin/ Kartli  
Gold, Silver, Emerald, Turquoise, Pearls





კახეთსა და ქართლში ქორნილის დროს პატარძალს ორ ლეჩაქს ახურავდნენ. ერთი ჩიხტის ზევიდან უკან ეშვებოდა, მეორე კი წინ იყო ჩამოფარებული და პირფადი, მეორენაირად, ჩათხი ეწოდებოდა.

ჩიხტიკოპსა და ლეჩაქზე მოიხვევდნენ ფარჩის ან აბრეშუმის ქსოვილის ოთხკუთხა ქსოვილს, რომელსაც ბაღდადი ერქვა.

ჩიხტიკოპის ტარება შესაბამის ვარცხნილობასაც მოითხოვდა: ნაწნავეები ზურგზე უნდა ყოფილიყო დაშვებული, ხოლო საფეთქლებთან, ჩიხტის შიგნიდან, კავეები ან დალალ-კავეები. კავეებად ქალის საკუთარი თმისგან გამოყოფილი ლოკონი იწოდებოდა, ხოლო დალალ-კავეებად – მოჭრილი თმისაგან გაკეთებული.

სამეგრელოში, აფხაზეთსა და გურიაში ჩიხტიკოპი ფართოდ გავრცელებული არ იყო. სარტყელ-გულისპირიან კაბაზე მხოლოდ ლეჩაქს ატარებდნენ.





ლენჯაქი/ დეტალი/ ქართლი  
აბრეშუმი, ტიული

Veil/ detail/ Kartli  
Silk, Lace



Brides wore headdresses with two headbands when they got married in Kakheti and Kartli. One flowed down the back while the other served as a type of veil that covered the front of the bride's face. This veil is referred to as a chatkhi.

The chikhti kopi and the headband were often covered with a square shaped brocade or silk fabric called 'baghdadi'.

Wearing the chikhti kopi demanded a special kind of hair style. All Georgian women wore their hair in long braids that fell down their backs, but at women's temples were curls started inside headband and came down the sides of face. This curled hair was either a woman's natural hair (kavebi) or locks that were cut off (dalal-kavebi) when a woman was younger, she would wear dalal-kavebi to hide her grey hair.

In Samegrelo, Abkhazia and Guria, the chikhti kopies were not widely spread. Only the headband was worn with a dress with a chest piece and a girdle.



თავსაფარი/ სამეგრელო  
ბამბა

Crocheted Shawl/ Samegrelo  
Cotton







ქართული კაბის ქვეშ იცვამდნენ გრძელ პერანგსა და შეიდიშს (ნიფხავი, სანმერთული, ქალის შარვალი), რომელთაც გარე საცვალსაც უწოდებდნენ. შეიდიშის სახელი ქსოვილის სახეობიდან მომდინარეობს. მისი ტოტის ბოლოები იმკობოდა ე. წ. შეიდიშური ორნამენტით. მცენარის, ფრინველის ან თევზის გამოსახულებანი ოქრომკედით, ვერცხლმკედითა და ზეზით იქარგებოდა. ქალები შეიდიშს საცვლის ზემოდან იცვამდნენ. ის ქალთათვის განსაკუთრებულად მოსახერხებელი იყო ცხენით მგზავრობისას. მდიდრულად ნაქარგი შეიდიშის ბოლოს გამოჩენა სირცხვილად არ ითვლებოდა.

მზითვის წიგნებში მითითებული მასალიდან ირკვევა, რომ განსაკუთრებით მდიდრულად შემკული შეიდიშები თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ქართულ კაბაზე იცვამდნენ ბამბის ან აბრეშუმის მაღალყელიან, თეთრ ან ჭრელ წინდასა და აბრეშუმისა და ტყავისპირიან, მაღალქუსლიან, დაქარგულ ქოშებს.

შინ ნაქსოვი წინდა ორი სახისაა: მაღალყელიანი, მუხლამდე ან მის ზევით და დაბალყელიანი (კოჭს აცილებული). მაღალყელიან წინდას ქალები ხმარობდნენ, დაბალყელიანს კი – ქალიცა და კაციც. ახალგაზრდის წინდა მრავალფერადი და რთულსახიანი იყო. ქსოვდნენ მატყლის, ბამბისა და აბრეშუმის ძაფისაგან.

ქოშები ნახევრად ღია, ქუსლიანი ფეხსამოსია. მისი სახეობებია: ღრმად ამოღებული, ენიან-საფერხულიანი, ჭვინტიანი და ბლაგვცხვირიანი. ქალის ქოში იკერებოდა ისევე, როგორც მამაკაცისა, მხოლოდ გამოსასვლელი იქარგებოდა ფერადი აბრეშუმის ძაფით, ოქრომკედითა და ვერცხლმკედით. ასეთ ქოშებს ატარებდნენ დიდგვაროვანი ქალბატონები. ქოშის ქუსლს უკეთებოდა ნალი. უამინდობაში რბილლანჩიან ფეხსაცმელზე იცვამდნენ სადა ქოშებს ან უქუსლო, დახურულ, ტყავისძირიან ჩუსტებს. დაბალი სოციალური ფენის ქალები იმოსებოდნენ შინამოსხმული ქალამნებით.

მანდილოსნის შეიდიში/ ქართლი  
აბრეშუმი, ბამბა, ოქრომკედი

Women's Sheidishi/ Trousers/ Kartli  
Silk, Cotton, Gold Thread

Women wore a long shirt and sheidishi (under garments, and trousers) under their Georgian dresses. The name sheidishi means outer pants and comes from the name of the fabric. The ends of the trouser legs were adorned with sheidishi ornaments with plants, birds or fish patterns, embroidered with gold and silver threads and gold braids. Women wore sheidishi over their undergarments. It was particularly convenient for women, especially while traveling on horseback. It was not considered to be improper if the end of the sheidishi was visible.

It is indicated in the dowry books that lavishly ornamented sheidishis passed down from generation to generation.

Women used to wear cotton or silk high socks, white or multi-colored and high-heeled slippers, covered with embroidered silk or leather.

There were two varieties of home-made socks; high, reaching the knees or covering them and low, covering the ankles. Both men and women used to wear low socks, but high socks were worn only by women. Socks for young people were multi-colored with complicated patterns. They were knitted with wool, cotton and silk threads.

Slippers were semi-open high heeled footwear. Several types of slippers were worn, deeply cut out, with a flap, with a pointed or rounded tips. Men's and Women's slippers were made the same way, but slippers that were worn outdoors were embroidered with silk, gold and silver thread. Aristocratic women used to wear such slippers. Iron tips were made on the heels of the slippers. In bad weather, closed, leather soled slippers without heels were worn over soft soled plain slippers. The women of lower social class used to wear home-made calamanis (leather shoes).



მანდილოსნის ქოში/ ქართლი  
ხე, ტყავი, ვერცხლმედი

Lady's Slippers/ Kartli  
Wood, Leather, Silver Thread











მანდილოსნის ყაბალახი/ იმერეთი  
შალი, ყაითანი, ოქრომკედი

Lady's Kabalaki/ Imereti  
Wool, Silk, Gold Thread



მანდილოსნის ყაბალახი/ ქართლი  
შალი, აბრეშუმის, ოქრომკედი

Lady's Kabalaxhi/ Kartli  
Wool, Silk, Gold Thread





Трпичка. N 1

მასალად, ძირითადად, გამოიყენებოდა ძალიან თხელი მაუდი და შალის ქსოვილის სპეციალური სახეობა თივთიკი. იქარგებოდა ყაბალახის ორივე კალთა და საშუბლე (შუბლის ნაწილი). საქარგავად ხმარობდნენ ოქრომკედისა და ვერცხლმკედის გრეხილს. ცხადია, კაცის, ქალისა და ბავშვის ყაბალახები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა ზომის, მასალის, ფერისა და შემკულობის მიხედვით. განსხვავებული იყო მისი ტარების წესიც ზაფხულსა და ზამთარში.

შემკულობისა და ნაქარგი დეკორიდან გამომდინარე, ქალის ყაბალახი უფრო მეტად დეკორირებული და მრავალსამკაულიანი იყო. ქალებმა ყაბალახის ტარება შედარებით გვიან, XIX ს-ში, დაიწყეს და, ძირითადად, მას მხრებზე გასწვრივ გადაფენილად ატარებდნენ.







The kind of head wear kabalakhi was popular among both men and women in almost all parts of Georgia.

In Western Georgia, the kabalakhi is referred to by several different names; kabalakhi, chabalakhi, and bashlik.

There were many different varieties that were determined by social status and the way in which it was worn. The social status of the person wearing a kabalakhi determined the fabric it was made from and adornments. Naturally, the kabalakhis worn by the aristocracy were richly ornamented and made of valuable fabrics.

The kabalakhis of the lower class were plain and less ornamented. Very thin broadcloth and a special kind of wool fabric – tivtiki were used to make kabalakhis. Both ends and the hood of the kabalakhi were embroidered with gold and silver rolled and twisted threads. Kabalakhis differed in size, materials, colours, and adornments dependent on the sex, social class and style preferences of the person it was being made for. The way in which a kabalakhi was worn depended on the season, different styles and lengths were seen in summer and winter.

Ensuing from the adornment and embroidery, a woman's kabalakhi was more embellished and ornamented. Women started wearing kabalakhis in the 19<sup>th</sup> century. A woman would normally fling the scarf over her shoulders crosswise.





ჩოხა მამაკაცის ყაბალახით/ ქართლ-კახეთი  
მაუდი, აბრეშუმში

Chokha with Man's Kabalakh/ Kartli and Kakheti  
Wool, Silk





ჩოხა ყაბალახით/ იმერეთი  
შალი, აბრეშუმი

Chokha with Man's Kabalakh/ Imereti  
Wool, Silk



დასავლეთ საქართველოს სამოსის სახასიათო აქსესუარია ფაფანაკი – მამაკაცის თავსაბურავი. იგი იმერული ქუდის სახელითაცაა ცნობილი, თუმცა, წარსულში უფრო ფართოდ ყოფილა გავრცელებული. მას, პრაქტიკულის გარდა, სამშენის ფუნქციაც ჰქონდა. ფაფანაკის თავხურვის მანერას განაპირობებდა ბუჩქად დამდგარი ხშირი თმა, რომელზედაც ფაფანაკს დაიფენდნენ და ნიკაპქვეშ თასმით შეიკრავდნენ.

ფაფანაკს ამზადებდნენ ნაბდისა და ტყავისაგან. ზოგჯერ მას ძვირფასი ქსოვილი ჰქონდა გადაკრული და ოქრომკედით იქარგებოდა.

The papanaki is a typical element of a Western Georgian man's head wear. It is well-known as the 'Imeretian hat' as well, though it was more widely spread in the past. It had both practical reasons for being worn as well as decorative functions. The manner of wearing the papanaki was determined by the thick, bushy hair that covered it and it was tied under the chin with strings.

The papanaki was made of felt and leather. Sometimes, it was covered with a valuable fabric and embroidered with gold thread.









ფაფანაკი/ იმერეთი, გურია  
აბრეშუმი, ოქრომკედი, ვერცხლმკედი

Papanaki/ Imereti and Guria  
Silk, Gold Thread, Silver Thread





ნაბადი მოთელილი მატყლისაგან დამზადებული, წინ გახსნილი და უსახელო წამოსასხამია მთლიანი ზურგითა და განიერი კალთებით. დანიშნულების მიხედვით არსებობდა: მოკლე და გრძელი, მსუბუქი და მძიმე, მოკლე ან გრძელბუნვიანი. ნაბადი აუცილებელი სამოსი იყო მხედრისა, რომელიც მას და ცხენსაც იცავდა ავდრისაგან.

ნაბდის მოთელვა მეტად შრომატევადი საქმიანობაა. მასში შედიოდა: მატყლის რეცხვა, ჩეჩვა, განვერგულება და მოთელვა. ნაბდის წარმოების ქართული ხალხური ტრადიცია ბოლო დრომდე კარგად იყო შემონახული საქართველოში.

XIX ს-ში საუკეთესო ნაბადის წარმოებით განთქმული იყო ჩრდილოეთ კავკასია, ყაბარდო-ჩერქეზეთი, დაღესტანი და ოსეთი. საქართველოში – იმერეთი, სამეგრელო, სვანეთი და დუშეთი.

ნაბადი XIX ს-ში ჩოხა-ახალუხის გამარტივებულ სახეობასთან ერთად ფართოდ გავრცელდა ყუბანისა და თერგის კაზაკობაში, როგორც სამხედრო ამუნიციის ნაწილი. ამან კი ხელი შეუწყო ქართულ-კავკასიურ ნაბადზე მოთხოვნის ზრდას.











The nabadi was a sleeveless cloak made out of felt wool, it is open in front with wide panels. According to their functions, nabadis were long and short, light and heavy with long or short naps. The nabadi was an indispensable garment of a rider and it protected him and his horse in bad weather.

Making the nabadi (felting) is time-consuming work. It included washing the wool, combing it, thinning it into a thread and pressing it into felt. The Georgian folk traditions of making nabadi have been preserved until today.

In the 19<sup>th</sup> century, North Caucasus, Kabardo-Circassia, Dagestan, and Ossetia were famous for manufacturing the best nabadis. In Georgia, they were made in Imereti, Samegrelo, Svaneti and Dusheti.

In the 19<sup>th</sup> century, together with a simplified version of the chokha-akhalukhi, nabadi was widely used among the Kuban and Terek Cossacks as a part of the military uniform which helped to increase the demand for the Georgian-Caucasian nabadis.

ჩვენამდე მოღწეულსა და მრავალფეროვნებით გამორჩეულ ქართულ სა-  
ერო სამოსში ბევრი საერთო ნიშნის პოვნა შეიძლება, რაც ერთმანეთთან  
აკავშირებს და, ამასთანავე, განასხვავებს აღმოსავლეთისა და დასავლეთ  
საქართველოს სამოსს.

ქართული კოსტიუმის მრავალფეროვან გალერეაში მნიშვნელოვანია  
გურულ-აჭარული სამოსიც. ის იქმნებოდა როგორც ფაბრიკული, ასევე  
დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი შინნამზადი ქსო-  
ვილებისაგან – შალისგან, აბრეშუმისგან, ტილოსა და ბამბისაგან. შალი-  
სათვის მატყლი, ძირითადად, ახალციხიდან შემოჰქონდათ, აბრეშუმის  
პარკი კი თვითონ მოჰყავდათ.

მამაკაცის სამოსი – ჩაქურა გავრცელებული იყო გურია-აჭარაში, სამე-  
გრელოსა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.

ჭონია – ჩოხა, იგივე კვარტუა (მოკლე) ჩოხა, ჩაქურას ერთ-ერთი ძირითა-  
დი კომპონენტი იყო. ჰქონდა: წინა კალთები, საგულე, ზურგი, ანუ მხარი,  
სახელოები – სამკლავე, მაჯები, სამასრე ჯიბეები, რომელთაც გურიაში  
გულთათებს ეძახდნენ. წინ გახსნილი ზედაკაბა, სამკუთხა გულისპირით,  
წელზე იყო მომდგარი და კალთები გვერდებში, თითო ხელის დადებაზე,  
ჰქონდა შეხსნილი. გულისპირზე დაკერებულ გულთათებში მასრები ეწყო.  
მაჯები და ზურგი ხშირად ორპირი ქსოვილისა იყო. ზოგჯერ სახელოებს,  
იდაყვის ქვემოთა ნაწილზე, ტყავი ჰქონდა ნაკერებული. კალთა-სახელო-  
თა ნაპირები ყაითანშემოვლებული და სირმით იყო დამშვენებული.



აჭარელი მამაკაცი  
მხატვარი მაქს ტილკე

Ajarian Man  
Artist: Max Tilke



მასალად გამოიყენებოდა შავი, წითელი, ყავისფერი, ცისფერი შინნაქსოვი შალი, ასევე მაუდი და ატლასი. სარჩულად უდებდნენ ბამბის ქსოვილებსაც. კვარტუა ჩოხის ქვეშ ეცვათ ზუპუნა – საყელოიანი და გულდახურული ახალუხი, მის შიგნით კი უსახელო ზედაკაბა – ელეგი.

ჩოხას იკრავდნენ აბრეშუმის ძაფის ღილ-კილოებით ან ლითონის (თითბერი, ვერცხლი) ღილებით. კალთების ბოლოზე ეკერათ შალის ძაფის დაგრეხილი ზონარი, რომელსაც უკან შემოტარებით წინ შეიკრავდნენ. ქონიაზე ერტყათ სამფერი აბრეშუმის გრძელი და განიერი ე.წ. თოლაბუსის სარტყელი.

საყურადღებოა ტყავის ნაქარგი ქამარი ბელყაიში, რომელზედაც ეკიდათ ან გაჩრილი ჰქონდათ: მოკლე სატევარი, დამბაჩა, სავაზნე, საქონე, მათარა, ქისა, ბირყაიში (ტყავის დასაკეცი ჭიქა).

ჩაქურას ერთ-ერთი ელემენტი შარვალი, ასევე ჩაქურად წოდებული, ძალზე დანაოჭებული, განიერუბიანი, უკან დანაოჭებული იყო. ამის გამო მას უბიან შარვალსაც უწოდებდნენ. მას ჯიბეები არ ჰქონდა და ჯიბის ადგილზე ჩახსნილი იყო. მუხლებთან სარაჯები – სამუხლეები ეკერა. ყველა ნაკერი მისივე ფერის ყაითნით იყო მოვლებული. დანაოჭებული შარვლის შესაკრავად ხვანჯარს იყენებდნენ.

ამ კომპლექტის აუცილებელი ატრიბუტი ყაბალახი იყო, რომელსაც ყაითნითა და ოქრომკედის სირმით ამშვენებდნენ. ჩაქურაზე ატარებდნენ ნაბდის ქუდსა და ფაფანაკს.

ჩაქურა/ აჭარა  
ბამბა, აბრეშუმი, ვერცხლმკედი

Chakura/ Ajara  
Cotton, Silk, Silver Thread





Georgian secular clothes are marked with diversity and a lot of common features can be found in the clothes of Eastern and Western Georgia which unite them although there are characteristics which differentiate them.

The versatile gallery of the Georgian costume includes the clothes of Guria and Ajara as well. These fabrics were manufactured both in factories and homes which was characteristic to Western Georgia. The home-made fabrics were wool, silk, linen and cotton. Wool was brought from Akhaltsikhe, and silk was produced there.

The male garment chakura was widely used in Guria, Ajara, Samegrelo and South-West Georgia.

The chonia – chokha, the same as the kvartua (short) chokha was one of the principal components of Georgian fashion and style. It had front panels, a chest piece, back or shoulder covering, sleeves with cuffs, cartridge cases which were called gultatebi in Guria. Its upper part was open in the front and tight at the waist with a triangular-shaped chest, the panels were open so that it could be put on easily. The cartridge cases were sewn on the chest piece. The cuffs and the back were often made of a double fabric. Sometimes the sleeves had leather sewn on the elbows. The edges of the panels and sleeves were bordered and adorned with gold-woven strings.



ბირყაიში - ტყავის სამგზავრო ჭიქა და საფულე/ აჭარა  
ტყავი, ოქრომკედი

Birkaishi - Leather Cup and Purse/ Ajara  
Leather, Gold Thread







ბელყაიში - ნაქარგი სარტყელი, სამასრე/ აჭარა  
ტყავი, ოქრომკედი, ვერცხლმკედი

Belkaishi - Embroidered Belt, Cartridge Holder/ Ajara  
Leather, Gold Thread, Silver Thread





Black, red, brown and blue home-made wool was used for the material as well as broadcloth and satin. Cotton fabrics were also used for the lining. Under the kvar-tua chokha, a collared, close-chested akhalukhi was worn and a sleeveless garment – elegi was worn under the akhalukhi.

The chokha was fastened with metal buttons, made of copper and silver. On the ends of the panels a woolen, rolled cord was sewn and it was wrapped around the torso and fastened in the front. A long and wide three-coloured belt was worn on the chonia. It was called a “Tolabus Belt”.

It should be mentioned that special leather embroidered belt called a belkaishi, men attached to it short daggers, pistols, gunpowder cases, container for greases, flasks, purses and birkaishis (a folding leather cup).

One of the garments worn with chakura was a pair of trousers, they were wide and had an inset sewn between the legs. This garment was called ubiani shar-vali (trousers with an inset). The fabric of the inset was gathered at front and back. The trousers had no pockets and in the place of pockets was an opening. Khvanjari (an inserted cord) was used to tie up the trousers. On the knees, sara-jis (knee covers) were sewn. All the stitches were covered with strings of the same color.

The necessary attribute of this outfit was the kabalakhi, which was adorned with gold threaded strings. The felt hat and papanaki were also worn with this outfit.





ჩაქურა/ აჭარა  
ხავერდი, აბრეშუმი, ბამბა, ვერცხლმკელი

Chakura/ Ajara  
Velvet, Silk, Cotton, Silver Thread





გურული ქალის სამოსი სხვა კუთხეების მანდილოსანთა მსგავსი სარტყელ-გულისპირიანი კაბა იყო, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ ქათიბი, დასავლეთ საქართველოს ბარის თბილი კლიმატიდან გამომდინარე, ელეგმა ჩაანაცვლა.

ელეგი ტანზე მომდგარი და მთლიანად დასარჩულებული სამოსი იყო. მას ჰქონდა თითქმის მთლიანად შეხსნილი სახელოები, რომლებსაც ორივე კიდეზე ოქრომკედით ნაქარგი ყვავილოვანი ორნამენტი გასდევდა. ის მზითვის წიგნებში კაბა-ქათიბად და ზუბუნადაცაა მოხსენიებული. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ელეგი გურიაში ქალთა გავრცელებული ტანსაცმლიდან – ზუბუნიდან მომდინარეობს.

ზუბუნ-ფარაგა, იგივე გრძელი ზუბუნი, აჭარელი ქალის ჩაცმულობის ძალიან ძველი ელემენტია და სამცხე-ჯავახეთშიც ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ის გულამოჭრილი იყო, საიდანაც პერანგის მოქარგული საყელო მოჩანდა. ამიტომაც პერანგისა და კაბის გულისპირის მოქარგვას დიდ ყურადღებას აქცევდნენ. გვერდები მას, სისრულის მიუხედავად, ორივე მხარეს შეხსნილი ჰქონდა. მისი კალთები ერთმანეთზე გადადიოდა და ფეშტემალში მაგრდებოდა.

ზუბუნი წელიწადის დროთა მიხედვით განსხვავებული იყო: ზამთარში – გრძელსახელოიანი და დაბამბული, ზაფხულში კი – უსახელო და დაუბამბავი. იკერებოდა შინნამზადი შალის, ხავერდის, ყანაოზის, ყუმაშისა და ფარჩის ქსოვილისაგან.

ელეგი/ აჭარა  
აბრეშუმი, ოქრომკედი, ვერცხლმკედი

Elegi/ Ajara  
Silk, Gold Thread, Silver Thread





ელეგი/ აჭარა  
აბრეშუმი, ოქრომკედი, ვერცხლმკედი

Elegi/ Ajara  
Silk, Gold Thread, Silver Thread







ელეგი/ქართლი  
შალი, ოქრომკედი

Elegi/ Kartli  
Wool, Gold Thread

The clothing that women from Guria wore consisted of a dress with a chest piece and a girdle. The clothing of the women of Guria was typical and could be seen throughout all of the regions of Georgia the only difference was that a katibi was substituted for an elegi due to the warm climate of Western Georgia's lowlands.

The elegi was a tight-fitting garment with a lining. It had almost fully open sleeves and on both of the edges it had plant ornaments, embroidered with gold thread. This garment is mentioned as the kaba-katibi and zubuni in the aforementioned dowry books. It shows that the elegy comes from woman garment zubuni that was widespread in Guria.

The zubun-paraga was the same as the long zubuni, which was an ancient garment that has been worn by Ajarian women for centuries. Zuban-paragas became popular in Samtskhe and Javakheti as well. It was cut on the chest from which an embroidered collar of the slip was visible. Therefore, much attention was paid to the embroidery of the slip and the chest piece. Despite it was wide enough its panels were open on both sides and went over each other and were fixed in the feshtemali (apron).

The zubuni differed according to the seasons of the year. In the winter, it was long-sleeved and quilted with cotton and in the summer it was sleeveless and without quilted cotton. It was made of home-made woolen, velvet, kanaozi (knitted silk), kumashi (cotton fabric) and brocade fabrics.



ზუბუნ-ფარაგას პარალელურად აჭარელი ქალი დატეხილი კაბითაც იმოსებოდა. გრძელი, წელში გადაუჭრელი ზუბუნი წელში გადაჭრილმა კაბამ შეცვალა, რომელიც უფრო მსუბუქი და იაფი ქსოვილისაგან (ყანაოზი, ყუმაში) იკერებოდა. ამ კაბის თავისებურება ისაა, რომ ის გრძელი და ნაოჭიანია, ტანზე კარგადაა მომდგარი, წინ წელამდეა ჩახსნილი. ფერადი ზონრებითა და ტეხილი ორნამენტით შემკული გულისპირი იკვრებოდა ღილებით. ამგვარი კაბის დასამზადებლად წითელ, მწვანე, ყვითელსა და ალისფერ ქსოვილს იყენებდნენ.

დატეხილი კაბის გულისპირის ქრილი თანდათან მკერდამდე შემცირდა და ის ღილებით იკვრებოდა. ასე გაჩნდა დატეხილი კაბის ახალი ვარიანტი ფორკა-კაბა, რომელსაც ბედებიან, ანუ მკერდზე გადაჭრილ კაბასაც უწოდებდნენ. ის განსხვავებულია გულისპირის შემკობითაც. მას დაბალი საყელო აქვს და ძუნწადაა შემკული სახეებით.

მთლიანი კაბის გარდა, აჭარაში ქალები წელქვედა კაბას, ანუ ქვედაბოლოსაც ატარებდნენ. ის ისეთივე დანაოჭებულია, როგორც დატეხილი კაბის ქვედა ბოლო. ასაკის მიხედვით განსხვავება იყო ქვედა კაბის ფერსა და ნაოჭის ასხმაში. ახალგაზრდისა – უფრო ვიწრო, ხანშიშესულისა კი – მრავალნაკეციანი იყო. ასეთი ნაოჭიანი ქვედაბოლო გავრცელებული ყოფილა სამცხე-ჯავახეთშიც და მას იქ საკალთეს უწოდებდნენ, განსხვავდებოდა მხოლოდ ქსოვილის ფერი.

სხვაობა იგრძნობოდა მაღალი წოდების ქალისა და უბრალო ფენის წარმომადგენლის ჩაცმულობას შორის შემკულობის, ქსოვილის ხარისხისა და სამკაულების მხრივ.

მანდილოსნის კაბა/ აჭარა  
აბრეშუმი, კილიტები

Lady's Dress/ Ajara  
Silk, Sequins







აჭარელი ქალის საგარეო სამოსის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი იყო სიხმა. ის განსაკუთრებული გემოვნებითა და შესრულების მაღალი დონით გამოირჩეოდა. მის შესამკობად ფერადი ყანაოზითა და ნაკერებით გაფორმების მეთოდს იყენებდნენ. ამიტომ მას მეორენაირად ნაკერიან სიხმასაც უწოდებდნენ.

სიხმას სახელოები განსხვავდებოდა ჩვეულებრივი კაბის სახელოსაგან იმით, რომ მისი თავი და ბოლო თანატოლი, ერთნაირად ფართო, იყო. სიხმას შესაკვრელი მკერდს ქვემოთ იწყებოდა და წელზე მთავრდებოდა. ამიტომ ის ტანზე მჭიდროდ იყო მომდგარი. ახალგაზრდა ქალები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ სიხმის მორთვა-გალამაზებას. ფერის მიხედვით ახალგაზრდები წითელ, მწვანესა და შავ სიხმას იცვამდნენ, ხანშიშესულები კი ხასხასა ფერებს ერიდებოდნენ.

აჭარელი ქალის ტანსაცმლის კომპლექტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია სარტყელი. ის საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებული შალის სარტყლებისაგან განსხვავდებოდა სამკუთხა ფორმით. ასეთი ქამრები სხვაგან არ გვხვდება. ის ორგვარი იყო: ერთი – შალისა და აბრეშუმის ფერადი ძაფისაგან ნაკეთი და მეორე – ფერადი აბრეშუმის ქსოვილებისაგან ნაკერი – თოლაბუსი. აჭარული ქრელი სარტყლები მზადდებოდა მწვანე, წითელი, ყვითელი, ვარდისფერი და აგურისფერი ქსოვილისგან.

აჭარელი ქალი თავზე ლეჩაქს იბურავდა. ძველად ლეჩაქს გოგონას ათი წლიდან ახურავდნენ და შემდეგ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ატარებდა. აჭარაში ლეჩაქი ქალის ოჯახურ მდგომარეობასაც განსაზღვრავდა. გოგონა გათხოვებამდე პატარა თავსაკრავით დადიოდა, გათხოვების შემდეგ ლეჩაქის გარეშე სიარული აღარ შეეძლო. აჭარის მსგავსად მესხეთ-ჯავახეთშიც ლეჩაქს მხოლოდ გათხოვილი ქალი ატარებდა. მას სამკუთხა თავსაფრის ფორმა ჰქონდა, რომელსაც თავსაჭირით, იგივე თორით, იმაგრებდნენ. თორს ზოგჯერ ძვირფასი ქსოვილით – ფარჩით, ხავერდით, ატლასით, ზოგჯერ მძივებისგან შედგენილი მზის გამოსახულებებით ამკობდნენ. თავსაბურავის ეს ელემენტი საზოგადოდ გავრცელებული თავსაკრავის ერთ-ერთი სახეობაა.

ლეჩაქი/ აჭარა  
აბრეშუმი, კილიტები, მძივი

Lechaki/Ajara  
Silk, Sequins, Beads

An Ajarian woman also used to wear a long, "broken dress" that was made of separate pieces of fabric. The zubuni, which had no cut at the waist, was substituted by a dress, cut at the waist which was made of lighter and cheaper fabrics.

The peculiarity of this dress is that it was long and gathered and tight on the body. It was open down to the waist and embellished with colored strips and zig-zag ornaments. The chest piece was buttoned.

Typically red, green, yellow and scarlet fabrics were used to make it. Gradually the cut on the chest got smaller and it was buttoned. In this way, a new type of the "broken dress" a porka-kaba (dress) appeared. It was also called a bedebiani dress - dress with cut at the chest. It is different by the adornment of the chest-piece. It has a low collar and was sparsely decorated.


Besides the whole dress, the women of Ajara also used to wear skirts. They were gathered in the same way as the skirt of a broken dress. The difference was observed in the color of the skirt and the manner of gathers. Younger women used to wear narrower skirts and the older women had skirts with many folds. Such gathered skirts were worn in Samtskhe-Javakheti and it was called sakalte. Here the difference was only in the color of the fabric.

The difference could be seen in the clothing of aristocratic women as well as in the clothing of low – class women. Differences were revealed in the rich adornment, the quality of the fabric and valuable ornaments.

One of the principal elements in the outerwear of the woman of Ajara was a sikhma. It was marked with particularly fine taste and very fine tailoring.

To embellish it, coloured-silk fabric was used and the method of adorning with stitches was applied. Therefore, it was also called a stitched sikhma.

The sleeves of the sikhma differed from the sleeves of an ordinary dress, due to the fact that the upper and the lower parts of the sleeves were of the same size and width. The fastenings of the sikhma began below the breast and ended at the waist. Therefore, it was tight on the body. Young women paid particular attention to the adornment of the sikhma. Young women preferred to wear sikhmas that were red, green and black and the older women avoided bright colours.



One of the integral parts of an outfit of a woman in Ajara was a girdle. These girdles were unique to the Ajara region. There were two types; one was made of wool and silk threads and the other was made of coloured silk fabrics. The girdles of Ajara were made of green, red, yellow, pink and orange coloured fabrics.

The woman of Ajara used to wear the lechaki (a headband) on their heads. In old times, a ten-year old girl was to wear a headband until the end of her life. In Ajara, a headband usually indicated the economic position of the woman's family. A girl used to wear a small kerchief until her marriage and after marriage she was not permitted to go out without a headband on.

Like Ajarian customs, in Samtskhe-Javakheti, only a married woman used to wear the headband, which was fixed with a pin, the same as a tori. A tori was sometimes adorned with brocade, velvet, and satin. Sometimes it was ornamented with designs and embroidered with beads.



წინდა შედიოდა ქალისა და მამაკაცის ფეხსამოსში. ყოველდღიურად სახ-  
მარი წინდები შავი და თეთრი ფერისა იყო, ხოლო ე.წ. სასტუმრო წინდა  
მრავალი სახის ორნამენტული დეკორით იქსოვებოდა. წინდასთან ერ-  
თად აჭარაში პაიჭსაც (პაჭიჭს) ხმარობდნენ, რომელსაც ასევე მატყელის  
ძაფისაგან ქსოვდნენ, ქალისას – ცალმაგად, კაცისას – ორმაგად. პაჭიჭი  
კოჭიდან მუხლამდე წვივის ზომაზე იქსოვებოდა. მას წინდის ზემოდან  
იცვამდნენ, შიგ შარვლის ტოტებს იტანდნენ. მასზედ მესტეები ან ჩექმები  
ემოსათ.

ფეხსამოსის ერთ-ერთი სახეობა იყო კარაჭინი, ანუ თათები, რომელიც  
შალის უხეში ნართისაგან იქსოვებოდა და ზამთარ-ზაფხულ იხმარებოდა.  
ისიც წინდის მსგავსად ცხელ წყალში ითელებოდა. გურიაში ასეთ ფეხსა-  
მოსს ჩორაბს ეძახდნენ, კახეთში – თათმანს, თუშეთში – ჩითას.

Socks were male and female footwear, which were widely worn everyday they were  
black and white, but guest-reception socks, as they were called, were knitted with  
a multitude of colours and designs. The paichi (pachichi) was also worn with the  
socks. It was also knitted with wool thread, women's paichi were knitted with a sin-  
gle thread and men's paichi were knitted with double threads. The paichis covered  
the shin from the ankle to the knee. They were worn over socks and trouser bot-  
toms were inserted into them. Mestis (high boots) were worn over them.

Karachinies or tatebi were knitted with a coarse wool thread and were worn both in  
the winter and in the summer. Like the socks, they were also pounded in hot water.  
In Guria this kind of foot-wear was called chorabi, in Kakheti and in Tusheti.



წინდები  
შალი

Socks  
Wool

საყოველთაოდ გავრცელებული ფეხსაცმელი იყო ქალამანი. მას ყველა ოჯახში კერავდნენ – ამოასხამდნენ. ამოსხმის პროცესს წინ უსწრებდა ტყავის სპეციალური დამუშავება და მომზადება.

განსაკუთრებით გამოსაყოფია ხის მასალისაგან (უმეტესად, მერქნისაგან) დამზადებული ფეხსაცმელები – ჩალატანი და ნანილი. ისინი სპეციალური წესით ხის ჩამოხდილი, წვრილი ზოლებისაგან იწნებოდა. წვინას ქუსლიდან იწყებდნენ. ეს ფეხსაცმელი იყო საზაფხულო, გრილი და, რაც მთავარია, ბალახზე ფეხი არ ცურავდა. ფეხსამოსის ეს სახეობა, დანიშნულების თვალსაზრისით, გარკვეულ სიახლოვეს იჩენს თუშურ კობუჯებსა და მონეურ ხუნჩაისთან.

A very popular type of foot-wear, calamani were the same shape for both men and women and they were made in every family. Calamani were made with leather that was specially treated and prepared.

Chalatani (footwear) and the nanili should be specifically noted. They were made of wood (or mostly of bark). They were cut off from a tree in stripes and then pleated. The process of pleating started at the heel. It was a summer foot-wear, very cool and the reason that it was so useful, especially for lower-class people, is because it did not slip when walking on grass or in fields. From the viewpoint of their function, this kind of foot-wear had much in common with the kokhunjis of Tusheti and Mokhebian khunchais.



ფეხსაცმელი  
ტყავი, ხის მერქანი

Footwear  
Leather, Wood

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქალის სამოსის ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტს – ფეშტემალს, ანუ წინსაფარს წელზე, ტანსაცმლის ზემოდან, იკეთებდნენ. მის გარეშე ქალის გარეთ გასვლა სირცხვილად ითვლებოდა. ის შინნაქსოვი შალის ნაზი ქსოვილის ან ხავერდისაგან მზადდებოდა და იმკობოდა მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტით. ფეშტემალი განიერი იყო და კაბის მთელ წინა კალთას ფარავდა. სიგრძითა და მასალით გამოირჩევა სამცხე-ჯავახური წინსაფარი, რომელიც კაბის კალთაზე წინ, კოჭებამდე, ეშვებოდა, ირგვლივ შემოსდევდა ფერადი მოსავლები და კალთის ბოლოებზე, ორ კუთხეში, ოქრომკედითა ან ვერცხლმკედით ნაქარგი ორნამენტი.

In South-Western Georgia, one of the necessary components of a Georgian woman's clothes was the peshtemali – the apron which was worn over clothes and tied at the waist. It was considered to be improper if a woman went out without her apron on. The apron was made of a home-made soft, wool fabric or velvet. It was adorned with floral or geometric ornaments. It was wide and covered the whole front of the dress. The aprons of Samtskhe-Javakheti have been singled out for their length and fabric. They fall down to the ankles and their edges have colored trimmings. The hem is also adorned with ornaments and embroidered with gold and silver threads.



ფეშტემალი/ ახალციხე  
ხავერდი, ოქრომკედი

Peshtemali/ Akhaltsikhe  
Velvet, Gold Thread





*Бр. Аветисовы*



*САХАЛСКИХЪ*  
МИЛІОННАЯ УЛИЦА.

მანდილოსნის კაბა და  
ფეშტემალი/ახალციხე  
ხავერდი, შალი, ოქრომკედი

Lady's Dress and  
Peshtemali/ Akhaltsikhe  
Velvet, Wool, Gold Thread



მესხეთ-ჯავახეთში მცხოვრები ქალები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ლითონის სამკაულებს. აქაური ხელოსნები ითვისებდნენ მრავალენიკური მოსახლეობის მოთხოვნებს. ამიტომ სამკაულებში იკვეთება თურქული ელემენტები. ქალბატონები თავსაბურავებსა და გულმკერდს იმკობდნენ ჯილ-ჯილებით, ბრჭყვიალა ჯანფულებითა (მონეტები) და ფიფანურებით (ოსმალური თხელი ოქროს ფულები). თურქულის გავლენით დამზადებული სამკაულების გარდა, ქართველი ქრისტიანი ქალები ყელზე ოქროს ჯვარსაც ატარებდნენ.

ქალის სამოსის სამკაულთა შორის ცალკეა გამოსაყოფი ვერცხლის ან თითბერის საქალებო გრეხილი ქამრები, რომლებიც მთელ სამხრეთ საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში ე.წ. ახალციხური ქამრების სახელით იყო გავრცელებული. მათი დამზადებისას, საქართველოში უძველესი დროიდან ცნობილი გრეხილისა და ცვარას ტექნიკის გარდა, გამოიყენებოდა ინკრუსტაციის, ლითონის ლითონითვე შემკობის, ფერადოვნების მისაღწევად ქამრის მალეზს შორის ფერადი ლითონების განთავსების ხერხები და სხვ.

ტექნიკას, რომელსაც ჭვირულს ვუნოდებთ და რომელიც დამახასიათებელია მესხურ-ჯავახური სამკაულებისათვის, ფლობდნენ ე.წ. ჩივთის ოსტატები. ჩივთი პატარა, ბოლონამახვილებული მაშაა, რომლითაც ოსტატი პატარა ლითონის ნაწილებს აწყობს და იღებს ჭვირულ (აჟურულ) სახეებს.

მანდილოსნის ქამარი/ ახალციხე  
ვერცხლი, ფირუზი

Lady's Belt/ Akhaltsikhe  
Silver, Turquoise



Metal ornaments were of great importance for the women of Meskheti and Javakheti. The local masters considered the demand of the mixed population and therefore the elements of Turkish ornaments can be seen in them. The women used to adorn their head wear and chests with dangling ornaments, bright janpulis (coins) and pipanuris (thin Ottoman gold coins). Georgian Christian women also used to wear gold crosses on their necks alongside these Turkish ornaments.

Among the ornaments of Georgian clothing, silver and copper rolled and twisted female belts should be specifically noted. They were known as 'Akhaltsikhe belts' in Southern Georgia and in the Northern Caucasus. Since ancient times, the technique of twisting and rolling metal, as well as incrustation and metal ornamentation were also used to decorate belts. Coloured metal was inserted between pieces of metal in order to make the belts more ornate.

The technique called chviruli and characterised the ornaments of Meskheti and Javakheti. Their masters were called chivtis ostatebi (masters of chivti). The chivti are metal tongs with which the master puts tiny metal pieces together, thus achieving a delicate effect.

ელეგი/ახალციხე  
ხავერდი, ოქრომკელი

Elegi/ Akhaltsikhe  
Velvet, Gold Thread













ზუბუნი/ ახალციხე  
ხავერდი, აბრეშუმის, ოქროსკედი

Zubuni/ Akhaltsikhe  
Velvet, Silk, Gold Thread



ზუბუნი/დეტალი/ ახალციხე  
ხავერდი, აბრეშუმი, ოქრომკვდი

Zubuni/detail/ Akhaltsikhe  
Velvet, Silk, Gold Thread





სამოსის კომპლექტი, რომელიც გავრცელებული იყო მარტოოდენ საინგილოში, ანუ ისტორიულ ჰერეთში, შედგებოდა ძალიან განიერი, ყანაოზის დასარჩულეული საცვლის, ლაბადის (ქათიბის მსგავსი სამოსი), მის შიგნით ჩასაცმელი ახალუხის, ლეჩაქის, ვერცხლის მონეტებით მდიდრულად განყოფილი გობაკიანი სარტყლისა და ჭვინტიანი ქოშებისაგან. ერთ-ერთი მახასიათებელი დეტალი ორნამენტიანი ზედა და ქვედაკაბა იყო. ამ კომპლექტში შედიოდა აღმოსავლეთ მთიანეთისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი ფეშტემალი, რომელიც აქ უფრო მოკლე იყო და წინსაფარს წააგავდა.

ინგილო ქალის სამოსში საყურადღებო იყო ერთი დეტალი – ხელის მტევანზე გადმოსული ახალუხის ყოში, რომლის ზემოდან – მაჯასთან ქალები ლითონის მასიურ სამაჯურებს ატარებდნენ. ამ კუთხის გეოგრაფიულ-პოლიტიკურ გარემოებათაგან გამომდინარე, სამოსში აშკარად იკვეთება ირანული გავლენა. ეს განსაკუთრებით ჩანს თავსაბურავსა და მაღალ-გობაკიან, განიერ ქამრებში. ზედაკაბის გულისპირი თითქმის მთლიანად აუცილებლად უნდა დაეფარათ ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი ჯამფულებით (მონეტებით).

აღსანიშნავია საინგილოსთვის დამახასიათებელი ინგილოური ჭრელი წინდა, რომელზეც ინგილო ქალებს საინტერესო გეომეტრიული ორნამენტები გამოჰყავდათ.

A set of clothes, which were common solely in Saingilo (the historical Hereti) consisted of a cape (piece of clothing like katibi), under the cape were akhalukhi, lechaki (tire), richly decorated with silver coins, waistband with gobaki (large cone-shaped elements fastened with hooks) and chvintiani koshi (shoes with pointed toes). One of the characteristic details was the two-piece topskirt and underskirt. This outfit also had interesting details, peshtemal, is typical for East Mtianeti and South-Western parts of Georgia. It was shorter here and looked like an apron.

The clothing of Ingilo women had interesting details, the sleeves of akhalukhi were long and reached her hands, over her wrists women put on massive metal bracelets. Due to geographical and political circumstances, the clothing of this region has an obvious Iranian Persian influence. This is particularly evident in hats and tires and wide belts with gobaki (large cone-shaped elements fastened with hooks). A mandatory accessory of Ingilo women's clothing was a gulispiri (breastplate, accessory for the chest cover) it was almost entirely covered with coins.

Colourful socks were typical for Saingilo, they were decorated with geometric ornaments and designs.





მთაში მოსახლე ხალხის ერთგულება ცხოვრების წესისა და ტრადიციებისადმი გარკვეულწილად განაპირობებდა მათ სამოსში ფორმისა და განწყობის ერთგვაროვნებას. ამ მხრივ მსგავსებას ვხედავთ მათს სახელწოდებებშიც.

თუშურ, ფშაურ, ხევსურულ ტანსაცმელსა და მის დეტალებს ქალები, ძირითადად, შინნაქსოვი შალისაგან – ტოლისაგან საცხოვრებელში ცალკე გამოყოფილ ადგილას, ანუ საქსლოში ამზადებდნენ.

The people living in the mountain regions of Tusheti were extremely loyal to the habits and traditions of their ancestors which to a certain extent determined the shape and ornamentation similarity in their clothing. This can be observed in their names as well. Therefore, it should be noted while considering the clothing of the highland populations of the Caucasus Mountains.

The clothes and the details of Tusheti, Pshavi and Khevsureti were mainly made of the home-made wool (toil). Women made these fabrics in special places (sakslo).



მოქსოვილ ქსოვილს შეღებავდნენ ბუნებრივ საღებავებში. გასაშრობად თოკზე ჩამოკიდებულ ტოლს სიმძიმეს დაკიდებდნენ, რათა ქსელი და მისაქსელი კარგად გამშრალიყო და ნაქსოვიც დაჭიმულიყო.

თუში ქალის სამოსი შედარებით სადა იყო. სამოსის ფერი, ძირითადად, შავია. თუში ქალის მიერ შინნაქსოვი ტოლისაგან შეკერილი კაბა კვართისებურად (პერანგივით) იჭრებოდა და მას ჯუბას, ანუ უბიან ჩოხას ეძახდნენ. თუში ქალის ეს ზედა შესამოსელი თარგით ძალიან ჰგავს მამაკაცის ჩოხას. ოღონდ, მას არა აქვს სამასრეები და ჩახსნილი ჯიბეები. იკერებოდა შავი ან ნაცრისფერი და ძალიან რბილი მაუდისაგან.

This knitted item was decorated with natural paints made from plants and other natural materials found in Georgia. While drying knitted items, a heavy thing was fixed on them in order to make pieces well-stretched and they were dried and stretched in this way.

The clothing that Tushian women wore was rather plain, most dresses were black. The Tushian woman's dress was home-made, woven from toli and was cut out with a shirt pattern. It was called juba or a chested chokha. The pattern of the Tushian woman's outer garment greatly resembles the man's chokha, though it lacks special sewn-on pockets for cartridges and cut-out pockets. It was made of very soft, black or grey broadcloth.







ჯუბა/ თუშეთი  
შალი, ბამბა, ხავერდი, ვერცხლი

Juba/ Tusheti  
Wool, Cotton, Velvet, Silver

ჯუბა ქალის ტანს მთლიანად ფარავდა. მისი სახელო მოძრავი და უძრავი ნაწილებისაგან შედგებოდა. უძრავი, ანუ იდაყვამდე სახელო სწორი და ვიწრო იყო. მოძრავი, ე.წ. სახელ-ქურო, ასევე ორნაწილიანი იყო. მისი გაგრძელება შედგებოდა მაუდის ფერადი, წვრილი ზოლებისაგან – ზიკები-საგან (ოთხკუთხა, ფერადი, წვრილი ქსოვილი), რომელთა რაოდენობა შვიდამდეც ადიოდა. ისინი ნაქარგითაც იმკობოდა. თუში ქალის სამოსის მთელ კომპლექტში მხოლოდ ეს დეტალი იყო საგანგებოდ ნაქარგი და მორთული. ჯუბის ბოლოს, წინა მხარიდან, შეკეცავდნენ, ნაწიბურიან უკანა მხარეს – ქუქუმოს (ენდროში შეღებილი შალის ქსოვილი, რომელიც თუშურ ჯუბას ბოლოში სამშვენისად ეკერებოდა) კი ფერადი ძაფებით ალამაზებდნენ. სიმაგრისათვის ნაპირზე ბანრის გარემოს – მოსავლებსაც შემოაკერებდნენ.

თუშური ჯუბის, ანუ უბიანი ჩოხის თარგმა განაპირობა გულსაფარას, ანუ ფარაგას (იგივე ფშაური ფაფანაგის) შექმნა. გულსაფარას დანიშნულება იყო ფარაგას მონაცვლეობა, ზოგჯერ კი მისი დამცავი საშუალება იყო სამუშაოთა შესრულებისას. იგი რამდენადმე ფარავდა ფეხმძიმე ქალის ორსულობასაც. მასალად გამოიყენებოდა სხვადასხვა ფერის ქსოვილი – ქიშმირი, სატინა, რომელსაც წელსა და ყელზე სამაგრად ზორტები – პერანგზე დასაფარებელი გულისპირის დეტალი ეკერა.

თუში ქალის ფარაგა ორგვარი იყო: გვამიანი და ზორტებიანი. ფართოდ იყო გავრცელებული ზორტებიანი – კისერთან მომდგარი და მუცელს ჩაცლებული, რომლის კალთები ზურგზე ერთმანეთს ყულფებით უკავშირდებოდა და მოსევადებული ვერცხლის დილებით იკვრებოდა. ფარაგას ამშვენებდა გრძლად დაშვებული სხვადასხვაგვარი ძეწკვის წყება.

თუში ქალის სამოსის ერთ-ერთ სამკაულს – ყიმჭას ფარაგის ქვეშ, ყელთან, იფენდნენ. ის შვინდისფერი მაუდის პატარა სამკუთხა ქსოვილი იყო, რომელიც ღილით ან თასმებით – ზორტებით ზურგზე მაგრდებოდა. ეს ქსოვილი საგულდაგულოდ ირთებოდა გრეხილ-ყაჭებით, სხვადასხვა სამკაულით, უფრო ხშირად კი – ვერცხლის ჯვრით.

ჯუბის ნაპირებს ჩამოუყვებოდა ჩამცმელის ასაკისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელი, ხავერდის ან მაუდის ფერადი ძაფითა და ვერცხლის სამკაულებით მორთული, ბრტყელი ნაჭრები, რაც დროთა განმავლობაში თუშური ტანსაცმლის ყველაზე ნიშანდობლივ ელემენტად იქცა.





The pattern of the Tushian woman's outer garment greatly resembles the man's chokha, though it lacks special sewn-on pockets for cartridges and cut-out pockets. It was made of very soft, black or grey broadcloth. The coat (juba) covered the woman's body entirely. The sleeves of the coat consisted of adjustable and fixed pieces. The fixed pieces of the sleeve were straight and close-fitting up to the elbow; the adjustable pieces were called sakhel-kuro also consisted of two parts, its extension was made out of narrow coloured strips (ziki, rectangular pieces of a closely woven fabric), sometimes they were as many as seven of these pieces. It was also adorned with embroidery; of the complete set of the Tushian woman's costume only this detail was specially embroidered and embellished. The lower front edge of the coat (juba) was folded under, the reverse side of the edge (kukumo, was made out of wool fabric dyed with madder rubia which turned the cloth bright red, it was sewn onto the bottom of the Tushian coat as a decoration), the juba was also embellished with colored threads. In order to strengthen a juba, sometimes, a length of cord (garemo) was sewn on all around the lower edge.

The pattern of the Tushian juba (coat) prompted creation of the gulsapara (breast cover) or paraga. The function of gulsapara was to replace paraga, sometimes used as protection during work. It also concealed the figure of a pregnant woman. It was made of various-coloured fabrics, cashmere or sateen with pieces of braid attached at the waist and at the neck as a detail to fix the breast-cover (gulispiri).

There were two kinds of paraga of a Tushian woman; The most popular was paraga with braids - close to a woman's neck and extending downward below the stomach, at the back its skirts were fastened together with loops and silver buttons. The paraga was adorned with various kinds of long chains.

One of the adornments of the Tushian woman's costume was kimtcha. It was placed at the neck under the paraga. It was a small, triangular piece of dark red broadcloth, fastened at the back with a button or pieces of cord or braid. This fabric was very meticulously adorned with twisted floss, various ornaments, and most often with a silver cross.

Flat pieces of fabric, adorned with coloured wool thread and silver ornaments chosen according to the age and social status of a Tushian woman, extended downward along the edges of the juba (coat); over the course of time, it turned into the most characteristic element of the Tushian costume.



სამკაული – მჭა/ თუშეთი  
ვერცხლი

Decorative Chains with Coins/ Tusheti  
Silver



თუშეთში ქალის სამოსის კომპლექტში შედიოდა სათბუნებელი სამოსიც, ცრუსახელოიანი ტყავკაბა, რომელიც ორი სახისა იყო: ერთის სწორი, ვიწრო სახელოები იმდენად ვიწრო იყო, რომ მასში ხელს არ უყრიდნენ. ამიტომ ამ სამოსს მხოლოდ მოსასხამის დანიშნულება ჰქონდა. მეორე სახეობის ტყავკაბის ცრუ სახელო ილლიიდან იდაყვამდე იყო ჩაჭრილი. ჩამცმელი იდაყვამდე ჩაჭრილ ცრუ სახელოებში გაყოფდა ხელს, ხოლო სახელოების გაგრძელებას წელთან დაკერებულ ლილებზე იმაგრებდა.

XIX ს-ის II ნახევარში ქალაქური ცხოვრების წესის შეჭრამ მთაში გარკვეული ცვლილებები შეიტანა სამოსის ფორმასა და განყოფილებაში.

ერთიანი კაბის ადგილი თუშეთში ორი ნაწილისაგან შედგენილმა სამოსმა წელზედა – უბიანამ და წელქვედა – ბოლოკალტამ დაიკავა. წელზედამ მთლიანად გაიმეორა უბიანი ჩოხის ფორმა, წელქვედა კი კოჭებამდე გრძელი, ოთხნაჭრიანი ქვედა ბოლოს სახით მოგვევლინა.

თუში ქალისა და კაცის აუცილებელი სამოსი – ქვედა საცვალი საბარკულა, ანუ შარვალია. თუშეთში მას შალვარსაც უწოდებდნენ. მისი ნაწილებია: სათაურა, ტოტები, ადლი და ხონჯარი. სათაურაში გაყრილი ჰქონდა შალის ძაფებით მოქსოვილი ზონარი – ხონჯარი, რომელიც წინ ან გვერდზე იკვერებოდა.

A complete set of the woman's costume in Tusheti also included warm garments (tkavkaba) with false sleeves, there were two different types of these garments; the straight, narrow sleeves of first type were so tight, that no arm could pass through, therefore the garment was used only as a cloak. The false sleeve of the other tkavkaba was open from the armpit down to the elbow. The arms could pass through the open part of the sleeve the lower part was fixed by buttons sewn onto the waist.

In the latter half of the 19<sup>th</sup> century, the penetration of the urban way of life introduced some changes into the shapes and trimmings of many garments.

In Tusheti, a single-piece dress was replaced by garments consisting of two parts; the upper part with a bosom and the lower part (bolokalta). The upper part repeated the exact pattern of the chokha with a bosom, the lower was four-paneled and reached down to a woman's ankles.

The indispensable part of Tushian men's and women's clothing is the underwear (sabarkula) or pants. In Tusheti, it is also called shalvari. It consists of satura (waistband), totebi (legs), adli and khonjari (draw-string), the latter was drawn through the satura (waistband) and was fastened in the front or on the side.







აღმოსავლეთ საქართველოს მთაში მცხოვრები ქალის სამოსის ანსამბლში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თავბურვასა და ვარცხნილობას. თუშეთსა და ხევსურეთში არსებული წესის თანახმად, გასათხოვარი და გათხოვილი ქალის თავბურვაში სხვაობა შესამჩნევად იყო გამოხატული. გასათხოვარი ქალი თმებს ნაწნავებად – კონლებად დაინწავდა და წინ, მკერდზე, დაუშვებდა. ახალგაზრდა თუში ქალები თმაში იწნავდნენ ფერადი ძაფისაგან დანწულ თოკს, რომელსაც თმასატანას ეძახდნენ.

გათხოვილი ქალი კი ნაწნავებს იჭრიდა და კავებად იყენებდა. ამით აიხსნება თუში ქალისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებით გრძელი კავები, რომლებიც მას დიდი მანდილიდან მოუჩანდა. ასეთი სახის ვარცხნილობა ხევსურეთსა და ფშავში არ დასტურდება.

ვარცხნილობის თავისებურებიდან გამომდინარე, თავბურვა და მისი ელემენტებიც განსხვავებული იყო. ქალიშვილის თავსაბურავი შედგებოდა თავსაკრავისა და ცალპირი, პატარა მანდილისაგან, რომელსაც შუბლზე ღრმად ჩამოფარებულს ატარებდნენ და მისი ორი ყური ან წინ, მკერდზე, ან უკან, ზურგზე, ეშვებოდა.

An important role in the clothing of women living in the highlands of Eastern Georgia is played by the head wear and hairstyle. In keeping with the traditions of Tusheti and Khevsureti, there was great difference between head-dresses and hair styles of unmarried and married women. The hair of an unmarried girl was braided (kotclebi) and hung down on her chest. Young Tushian girls wove thin ropes of coloured thread into their braids, they were called tmasatani.

A married woman would cut off her braids and wore them as locks. It explains the unusually long locks of Tushian women, which were visible from under mandili (a long kerchief of thin cloth). Such a hairdo is not worn in Khevsureti or Pshavi.

Due to the special features of the hair style, the head wear and its elements were also different. An unmarried girl's headdress consisted of tavsakravi and small mandili (a kerchief and a small, thin shawl), which was pulled down to her forehead, its two ends falling on to her bosom or her back.





კუჭურა/ თუშეთი  
ბამბა

Kuchura/ Tusheti  
Cotton

გათხოვილი ქალის თავსაბურავი დიდი მანდილისა და კუჭურასაგან შედგებოდა. თუშის ქალები სპეციალურ თავსადგმელს, მატყლისა და ნაჭრისაგან შეკერილ კუჭურას, ხმარობდნენ. ის შედგებოდა შუათავის, ანუ კვერისაგან, შუბლისა და გვერდითი ზორტებისაგან. კუჭურას გათხოვილ ქალს რომ დაადგამდნენ თავზე, ის სიკვდილამდე უნდა ეტარებინა. მისი მოხდა მამაკაცის თანდასწრებით დიდ სირცხვილად ითვლებოდა.

ქალი კუჭურაზე დიდ მანდილის იხვევდა, მანდილზე კი, შუბლის გასწვრივ, ნვრილად დაკეცილ ორმაგ საშუბლეს შემოიკრავდა. ქალი მანდილს მუდამ ატარებდა. გამოირჩეულად იმკობოდა საპატარძლო მანდილი.

A married woman's head wear consisted a mandili (a large shawl) and kutchura, it was a special headdress made of wool and a pieces of cloth. Kutchura consisted of shuatavi or kveri and a zorti, covering her forehead and the sides of her head. After being put on the married woman's head, it was to be worn until her death. It was extremely shameful to remove it in the presence of a man.

The woman put a large mandili (a kind of shawl, kerchief) over the kutchura; over her mandili, around her forehead she tied a neatly folded double sashuble (forehead cover). The woman wore a mandili all of the time. The bride's mandili was adorned with special decorations.



მანდილი/ თუშეთი  
შალი

Mandili/ Tusheti  
Wool



აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ფეხსამოს-ფეხსაცმლის თითქმის ყველა ელემენტი ერთნაირი იყო. განსხვავდებოდა მხოლოდ მათი სახელწოდებები: კარაჭინი, ჩორაბი, ფაჩუჩი, ფაჩაჩი, მესი, ჩარუხი, ქალამანი, ჩითა, ბორაგი, თათი, ფეხა, ყელმაღალაი, ნაბმულაი, ქაჩუჩა, ჩუსტურა, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ ნაქსოვ ფეხსაცმელს აქ ფართოდ იყენებდნენ.

თუშეთში ჩითას იცვამდნენ ქალებიცა და კაცებიც და, შესაბამისად, იწოდებოდა სადიაცო და სამამაცო ჩითად. ქალის ჩითა, განსაკუთრებით ხანში შესულისა, მაღალყელიანი და გემოვნებით დაჭრელებული იყო, კაცისა კი – სადა. ჩითის ძირი იქსოვებოდა სქელი და გამძლე ბანრისგან, ხოლო ყელი შედარებით თხელი შალის ძაფისაგან. თუშეთში არსებობდა შინსახმარი და გარეთ გასასვლელი, რაც აისახებოდა მის მოჭრელებაში. ნაქსოვი ფეხსაცმლისათვის იყენებდნენ ორ და სამწვერა შალს, ბამბას, ასევე ტყავს. თუშეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში ბოლო დრომდე შემორჩა ჩითის ქსოვის ტრადიცია. ნაქსოვი ფეხსაცმლის ნაშთები აღმოჩენილია ყაზბეგის განათხარ მასალაში და დათარიღებულია ძვ.წ. IV-III სს-ით, რაც საქართველოში ნაქსოვი ფეხსამოსის უძველესი დროიდან გამოყენებაზე მიუთითებს.

In the Eastern Georgian highlands, almost all the components of footwear were alike. Footwear was referred to by many names; karatchini, chorabi, pachuchi, pachachi, mesi, charukhi, kalamani, chita, boragi, tati, pekha, kelmaghalai, tsabmulai, kachucha and chustura, which means that knitted footwear was widely used.

In Tusheti, both women and men wore chita, accordingly they were called a man's chita and a woman's chita. The woman's chita, especially that of an elderly woman, had high tops and were adorned with a great taste. The soles were knitted of very thick and strong wool, the tops were comparatively thinner. Footwear could be for indoors and outdoors, so they were adorned accordingly. Double and triple twisted wool and cotton yarns and leather also were used for knitted footwear. The tradition of knitting chita is still present in Tushian culture. The remnants of knitted footwear were discovered among the archaeological finds in Kazbegi dating back to the 3<sup>rd</sup> and 4<sup>th</sup> centuries B.C. which proves that in Georgia knitted footwear has been used since ancient times.





თუშიმამაკაცის ჩოხა ტოლისა ან მაუდისა უნდა ყოფილიყო. სიგრძით მუხლს დაცილებულ, წინ ჩახსნილ, ჩოხას სახელო გრძელი და მაჯებგადაკეცილი ჰქონდა, რომლის წითელი სარჩული გადაკეცილი სახელოდან უნდა გამოჩენილიყო. ჩოხის ქვეშ შავ ან ლურჯ დასარჩულეულ ახალუხს იცვამდნენ. მისი საყელო პერანგისაზე უფრო დაბალი იყო. გულისპირი ყაითნით ირთვებოდა და ყაითნისავე დედალ-მამალი ხრიკებით (შესაბნევით) გვერდზე იკვრებოდა.

ქამარს თუში მამაკაცი ლითონის აბზინდით (ენით) დამშვენებულსა და თასმიანს (ტყავის) ატარებდა, ჩოხაზე შემოირტყამდა და ერთ მხარეს სანამლეს (საპირისნამლე) დაიკიდებდა. ზემოდან სათბუნებელ სამოსად ტოლის ან მაუდის ქულაჯას იცვამდნენ, რომელსაც ბატკნის ტყავის ან დაბამბულ-დალიანდაგებული სარჩული ჰქონდა.

არსებობდა ჩოხის ზემოდან ჩასაცმელი, ჩოხისვე თარგზე აჭრილი, ზამთრის სამოსი, რომელსაც გული დახურული ჰქონდა და ლილ-კილოებით იკვრებოდა. მისი საყელო კრაველის ბენვით იყო განწყობილი. თუშეთში კაცებს ასევე ეცვათ ტყავი, რომელიც ქალის სამოსად ტყავკაბის სახელით იყო ცნობილი. ის იკვრებოდა ცხვრის, ხბოსა და, ზოგჯერ, ნადირის ტყავისაგან, რომელსაც ბენვი შიგნიდან ჰქონდა მოქცეული.

თუში მამაკაცის სამოსის კომპლექტში ერთ-ერთი საინტერესო სამოსია ქურქა (ქურქი), რომელიც ტყავზე ზემოდან ჩასაცმელი წამოსასხამია. ის კარგი, ე.წ. სასახელო, ტყავისაგან იკვრებოდა. იგი ფორმით ტყავს ჰგავდა, თუმცა, მისი სახელოები, როგორც კაბის ცრუ სახელოები, ძირს ეშვებოდა და შიგ ხელი არ ეყრებოდა.

მამაკაცის ქუდი/ თუშეთი შალი

Man's Hat/ Tusheti Wool





მამაკაცის ჩოხა/ თუშეთი  
შალი

Man's Chokha/Tusheti  
Wool





The chokha of Tushian men had to be made of toli (thin, home-woven woolen cloth) or broadcloth. The chokha reached down below their knees, had long sleeves with the cuffs folded back.

Under the chokha, a black or dark blue lined akhalukhi was worn, its collar, lower than that of the shirt. The bosom was adorned with braided material, and fastened by means of khrikebi (loops and roundels also made of braid) on the side. The Tushian man's, belt was made of leather furnished with a metal buckle. It girdled the chokha a powder flask was suspended from its side.

Kulaja was worn as a warm garment that was made of toli or broadcloth, lined with lamb-skin or padded with cotton and quilted.

There also was a winter coat of the same pattern as the chokha, its chest was closed and fastened by loops and roundels (ghil-kilo) of the same material its collar was sometimes adorned with Curly Wool (Karakul). In Tusheti, men also wore tkavi something like that worn by women (tkavkaba). It was made of sheep-skin, skin of a calf or sometimes that of wild animals, the fur was on the inside. One of the interesting items of the Tushian man's garments is kurka, which was worn over the tqavi as a sort of cloak. It was made of high-quality pelts, its pattern resembling that of the tqavi, though its sleeves were like the false-sleeves of the kaba which extended downward and arms could not passed through them.





ხურჯინი/ თუშეთი  
შალი

Khurdjini - Saddle-Bag/ Tusheti  
Wool





საქართველოს მთის მოსახლეობის ჩაცმულობათაგან ყველაზე მეტი ორიგინალობით გამოირჩევა ხევსურული ტანსაცმელი, რომელმაც შემოინახა კავკასიის ხალხთა უძველესი ჩაცმულობის ნიშნები. ხევსური ქალისა და მამაკაცის სამოსის კომპლექტია ხევსურული ტალავარი, რომელიც შინაქსოვი ტოლისაგან იკერებოდა. ამავე სახელითაა ცნობილი ეს ქსოვილი თუშეთში, ფშავსა და ხევშიც. მიუხედავად საერთო სახელწოდებისა, არსებობდა ტოლის სხვადასხვა სახეობა. ხევსურული ტოლი უფრო უხეში, სქელი და მჭიდროდ ნაქსოვი იყო. აქაური ტალავარისათვის ბამბის ქსოვილი – შილაიც გამოიყენებოდა. მოხეური და თუშური ტოლი შედარებით წმინდა შალისაგან იქსოვებოდა, უფრო თხელი და ნაკლებად მჭიდრო იყო.

ქალისა თუ მამაკაცის ხევსურული ტანსაცმელი, ძირითადად, ნაქარგობით იყო გამშვენებული, მაგრამ გამოიყენებოდა ფერადი ქსოვილიც, რომლისგანაც ზიკებსა და ნაფთულებს (ფერადი ქსოვილების ნაკუნები, იგივე აპლიკაცია) ამზადებდნენ. თითოეულ ფერად ზოლს გასდევდა მეორე დაკბილული ზოლი, რომელსაც მწკეპრა, ანუ დაკბილული ეწოდება.

სამოსის შემქმნელნი ცდილობდნენ ის ყოფილიყო პრაქტიკული, ლამაზი, მათი სულიერი სამყაროსა და გარემომცველი ბუნების წარმომჩენი. ხევსურული სამოსი ხევსურთა გენეტიკური გემოვნების ამსახველია.

The most original of the costumes of the Georgian highland population is the Khevsurian talavari, made of home-woven toli. This fabric has the same name in Tusheti, Pshavi and Khevi. In spite of the common name, there are various kinds of toli; Khevsurian toli was coarser, thicker and more closely woven. Talavari in this province could be also made of a cotton fabric – shilai. Mokhevian and Tushian toli were home-woven fabrics of comparatively fine wool, thin and more loosely woven.

Khevsurian garments for men and women were mainly adorned with embroidery or zikebi and naptulebi (pieces of coloured material like appliqué). Each coloured strip was extended along a garment in zigzagged patterns (mtskepra).

Seamstresses and tailors tried to make clothing practical, beautiful which symbolised the spiritual world and surrounding nature. The Khevsurian costumes expressed the cultural tastes of this ethnic group.

ქალის ტალავარში ძირითადი და წამყვანია აჭრილობა – თარგი და ქარგულობა. ამის ნათელი ნიმუშია ხევსური ქალის კაბა – სადიაცო. ის შედგებოდა უბის (ზედაკაბის წინა ნაწილი), კალთისა (ქვედაკაბა, ქვედაბოლო) და ზურგისაგან (საზურგელი – სადიაცოს ზურგის ნაწილი). კაბის კალთას კოჭებამდე აგრძელებდა და ამშვენებდა მასზე მიკერებული ქოქომონი – სხვადასხვა ფერის ქსოვილისაგან შედგენილი მოსართავი.

სადიაცოს გულისპირი მარცხნივ იყო ჩაჭრილი, მარჯვენა ნაწილს კი ფარაგა ეწოდებოდა და იკვრებოდა ღილ-შატით. ფარაგას გარშემო შემოუყვებოდა ზოლებად ნაქსოვი ჭრელა. ფარაგის ქვეშ ჩასაფენი – ქოქა, ანუ ყელსადები ქალის ყელის მხოლოდ წინა ნაწილს ფარავდა. ის ვერცხლის შიბებითა და სხვა სამკაულებით მდიდრულად განყოფილი ნაქარგი ქსოვილის ვიწრო ზოლი იყო, რომელიც კისერთან მაგრდებოდა. ზოგჯერ მას ყელის გასწვრივ, ერთმანეთის მიყოლებით, ბრტყელი, მოკლე, ბოლოში ფუნჯით დასრულებული, ზინზილები გასდევდა. ამის გამო, ქოქა ყელსაფარიც იყო და სამკაულიც. ქოქა მზადდებოდა ტოლისა და ბამბის ქსოვილისგანაც. სადიაცოს დიდი ნაწილი იქარგებოდა შალის ფერადი ძაფებით და დაკერებული ჰქონდა ვერცხლის სამკაული. საკინძეს ჩაყოლებაზე ზიკი (სადიაცოს საკინძეზე ჩაყოლებული ოთხკუთხა ნაქარგი ნაწილი) და სამწყვეტლო (სადიაცოს ფარაგას სამკუთხად ნაქარგი ნაწილი) ამშვენებდა.

სადიაცო ხევსური ქალის ე.წ. სანამუსო სამოსი იყო და შვილის გაჩენამდე გულისპირი გაუხსნელი უნდა ჰქონოდა. გლოვის დროს ის უკუღმა ეცვათ, რათა სამხიარულო ჭრელები დაეფარათ.



ხევსური ქალი  
მხატვარი მაქს ტილკე

Khevsurian Woman  
Artist: Max Tilke



კაბა სადიაცო/ ხევსურეთი  
შალი, აბრეშუმის, ბამბა, მინის  
მძივი, მონეტები

Woman's Dress/ Sadiatso/ Khevsureti  
Wool, Silk, Cotton, Glass Beads, Coins



სადიაცოს კოკომონი  
დეტალი/ ხევისურეთი  
შალი, ბამბა

Kokomoni of Sadiatso  
Detail/ Khevsureti  
Wool,Cotton





The most significant aspect of a Georgian woman's talavari is its pattern and embroidery. A vivid example of the above is the Khevsurian woman's dress (sadiatso). It consisted of the ube (the front of the dress), kalta (the skirt) and sazurgeli (the back of the woman's dress.) The skirt was lengthened and adorned with kokomoni (multi-coloured, patterned details) sewn onto a skirt.

The chest piece of the sadiatso had a slit on the left-hand side. The right-hand side was called paraga and was fastened with ghil-shati (a type of fastening). Paraga was surrounded by chrela, woven in various-coloured strips. Koka, or qelsadebi (neck-cover), worn under paraga covered only the front of the woman's neck. It was a narrow strip of fabric lavishly adorned with coloured embroidery, silver, shibebi (woven pieces embellished with coloured stones) and other ornaments. It was fastened at the neck. Sometimes, short, flat zinzilebi (various decorations), ending in hanging bunches of threads, extended along the neck line. Therefore, koka was used both as a cover for the neck and as an adornment. Koka was made of toli or a cotton fabric. The greater part of sadiatso was embroidered with coloured wool and silver ornaments. The front fastening was adorned with ziki (a rectangular embroidered piece of cloth) and samtskvetlo (a triangular embroidered piece of paraga of sadiatso dress).

Sadiatso was called 'sanamuso' (symbol of chastity). The front opening of the garment should be kept fastened until childbirth. In mourning, it was worn inside out to hide the cheerful ornaments (chrelebi).

ფარაგა/ დეტალი/ ხევისურეთი  
შალი, აბრეშუმი, მინის მძივები, მონეტები

Paraga/ Detail/ Khevsureti  
Wool, Silk, Glass Beads, Coins

სადიაცო და კოქლო/ ხევსურეთი  
შალი, აბრეშუმი, ბამბა,  
მინის მძივი, მონეტები

Sadiatso and Koklo/ Khevsureti  
Wool, Silk, Cotton, Glass Beads, Coins



ქოქლო ხევსური ქალის ჩოხისებური, ჩახსნილი და წელში გადაჭრილი, ყოველდღიური ზედა შემოსაცმელი იყო. მას ჰქონდა მაღალი საყელო და მხრებთან სწორად მიდგმული, განიერი, მოკლე და ილღის ძირამდე გაუკერავი სახელოები, რომელთა ნაპირები ალაგ-ალაგ გაბმული ზონრებით იყო დაკავშირებული. ზოგჯერ ქოქლოს ცალ მხარეს ჩაჭრილი ჰქონდა საჯიბური. ის განყოფილი იყო ხევსურული ტალავარისათვის დამახასიათებელი ნაქარგობით, რომელიც შიბით – ნაქსოვზე ნემსით გადაქარგვით ან აბრეშუმით – ნაჭრელით იქარგებოდა. მოსართავად ხშირად იყენებდნენ ფერადი ქსოვილების სხვადასხვა ფორმის ნაკუნებს – ნაფთულებს. ნაქარგობას ასევე ამკობდნენ თეთრი ღილ-მძივით, ვერცხლის სამკაულებითა და მონეტებით. ორნამენტში უპირატესი ადგილი ჯვარს ეთმობოდა, რომელიც ხევსურთა უძველეს რელიგიურ მსოფლმხედველობასთან იყო დაკავშირებული.

ქოქლოს მსგავსი, ოღონდ სადღესასწაულო დანიშნულებისა, იყო ფაფანაგი, ე.წ. სახატო ჩასაცმელი, წინ ჩახსნილი და წელში ნაწილობრივ გადაკერილი. ჰქონდა მაღალი საყელო, სწორად მიდგმული, მოკლე და ილღიამდე შეხსნილი სახელოები. დანიშნულებიდან გამომდინარე, უხვად იქარგებოდა ხევსურული სამოსისათვის დამახასიათებელი სახეებით. ფაფანაგიც ასევე მუქი ფერის ტოლისაგან იკერებოდა, რომლის სამკლავე და სამაჯე (სახელოთა ბოლოში წასაკერებელი პატარა, ბრტყელი და ორპირი ნაწილი, ნაქარგი ან ფერადი ქსოვილისა), შეუხსნელი ან შეხსნილი, რომელიც ღილებით იკვრებოდა.

Koklo was an everyday garment worn by Khevsurian women. It was open in the front and cut at the waist, it was worn over the dress. It had a high collar and short, wide sleeves sewn to the shoulders in a rectangular shape and open at the armpits, in some places the edges were fastened together with pieces of braid. Sometimes, koklo had a cut-out pocket on one side. It was adorned with embroidery characteristic of the Khevsurian talavari, the embroidery was made with various-coloured silk threads. Quite often cut-offs of various colours and shapes were used for the embellishment. The embroidery was also adorned with white buttons and beads, silver ornaments and coins. The most important aspect of embroidery was the cross which was associated with the ancient religious outlook of Khevsurians.

Papanagi was a garment, like a koklo, but was worn on festive occasions at religious feasts. Its front was open and partially cut at the waist, it was furnished with a high collar, short sleeves sewn to the shoulders in a rectangular shape and open at the armpits. Due to its function, it was lavishly adorned with the embroidery characteristic of Khevsurian clothing. Papanagi was also made of dark-coloured toli, the samklave or samaje (small, flat two-sided part sewn on the end of the sleeves, it is of a colored fabric or embroidered) was closed or open and fastened with buttons.





ქოქლო/ ხევსურეთი  
ბამბა, აბრეშუმის, მინის მძივი, მონეტები

Koklo/ Khevsureti  
Cotton, Silk, Glass Beads, Coins



ე.წ. სარიტუალო, საზეიმო სამოსთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა ხევსური ქალის ცრუსახელოიანი შალის სამოსი – წამოსასხამი, რომლის კალთის ბოლოები და თითქმის ყველა ნაკერი დაფარული იყო ოქროსფერი ძაფის ყაითნითა და ბრტყელი სირმით (მალათინით), თეთრი ღილებით, ნიჟარებიტა და ფერადი მინის მძივებით. წელზე შემოუყვებოდა წვრილი მძივების ასხმა, რომელზედაც მსხლის ფორმის ყვითელი ლითონის სამკაულები ეკიდა. ეს სამოსი გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი ფერადოვნებით. განსაკუთრებით ჭარბობდა თბილი ტონის წითელი ფერი.

The Khevsurian woman's wool garment-cloak with false sleeves belonged to the category of ritual festive clothes, the lower edge of its skirt and every seam were almost entirely covered with gold-coloured braids and flat galloon lace (malatini), adorned with buttons, shells and various-coloured glass beads. A string of small yellow pear-shaped metal ornaments were suspended, girdled the waist. This garment was distinguished for its rich colour scheme and was dominated by a warm red hue.

ხევსურული სამოსი  
მხატვარი მაქს ტილკე

Khevsurian Garments  
Artist: Max Tilke





MAX TILKE.

მანდილოსნის მოსასხამი  
სარიტუალო სამოსი/ ხევსურეთი  
შალი, აბრეშუმის, მინის მძივი, ვერცხლი

Lady's Cloak  
Festive Garment/ Khevsureti  
Wool, Silk, Glass Beads, Coins





ხევსურული ქალის სამოსის კომპლექტში მნიშვნელოვანი დეტალია თავსაბურავი, რომელიც მანდილისა და სათაურასაგან შედგება. ხევსურული მანდილი გრძელი იყო. მზადდებოდა შინაქსოვი შავი ან ლურჯი ტოლისაგან და სათაურასთან ერთად იხმარებოდა. ხევსურული მანდილი ორი სახისაა: ცალქერქა და ორქერქა. ცალქერქას ერთი ბოლო ფოჩით მთავრდებოდა, ორქერქას ორივე ბოლო კი შიბით ან ნაჭრელით იქარგებოდა. მანდილის შუაში სამხატი – სამი ჯვარი გამოისახებოდა, რომლებიც თავდაბურვისას შუბლზე ექცეოდა. ხევსურეთსა და თუშეთში მანდილის ტარება გათხოვილი ქალისთვის სავალდებულო იყო, გაუთხოვრისთვის კი – არა.

მანდილის შემადგენელი ნაწილი – სათაურა მაღალი, წინ დაცვრებული, ნახევარკალისებური და მდიდრულად იყო ნაქარგი. ფორმის მიცემის მიზნით, მასში სპეციალურად მოთელილ მატყლს დებდნენ.

ხევსურეთში გათხოვილი და გასათხოვარი ქალის თავბურვის წესი განსხვავდებოდა. გათხოვილი ქალი შეჭრილ თმაზე ჯერ სათაურას იდგამდა, მერე მანდილს იკეთებდა. გასათხოვარი ქალი სათაურას არ ატარებდა, მხოლოდ მანდილით იმოსებოდა. მანდილის მოხდა ქალისათვის შეურაცხმყოფელი იყო, რადგან ის ქალის სინდის-ნამუსის სიმბოლოდ ითვლებოდა.

სათაურა/ ხევსურეთი  
ბამბა, აბრეშუმი, მინის მძივი, ვერცხლი

Sataura/ Khevsureti  
Cotton, Silk, Glass Beads, Silver



მანდილი/ ხევესურეთი  
შალი, აბრეშუმი

Mandili/ Khevsureti  
Wool, Silk





მანდილი სათაურათი/ ხევსურეთი  
შალი, ბამბა, აბრეშუმის, მინის  
მძივი, ვერცხლი

Mandili and Satura/ Khevsureti  
Wool, Cotton, Silk, Glass Beads, Silver



A very significant detail in a complete set of clothes of a Khevsurian woman was her headdress consisting of a mandili and satura. The Khevsurian mandili was long, made of home-woven dark blue toli and was used with satura. There are two kinds of Khevsurian mandili; tsalkerka and orkerka. Tsalkerka had one end with tassel and orkerka had two ends that were adorned with shibi (chain with precious stones) or natchreli (multi-coloured embroidery). In the middle of mandili samkhati (three crosses) were represented, when a mandili covered a woman's head the crosses were placed on the forehead. In Khevsureti and Tusheti, a married woman had to wear mandili all of the time, for an unmarried girl it was not obligatory.

Satura, a component part of the mandili was tall, slanting at the front, bow-shaped and embroidered lavishly. In order to give it a desirable shape, a piece of specially made felt was put inside it.

The headdress of a married woman differed from that of an unmarried girl. A married woman first put on a satura over her cut-off hair and then covered it with a mandili. An unmarried girl did not use a satura she covered her head only with a mandili. Removing a mandili from a woman's head was a grave insult, as it was a symbol of the woman's unblemished morals.



ხევსური ქალისა და მამაკაცის ფეხსამოსი თითქმის ერთნაირი იყო. ისინი ხმარობდნენ ყელიანი წინდის ფორმის, ძირზე ტყავგამოკერებულ, თათებს. მათი ძირითადი ნაწილის მოსაქსოვად იყენებდნენ სისვისა და კრაველის ძაფს, მატყლის სიმცირის დროს, კვირტსაც. დასველებულ თათს კალაპოტზე გადაჭიმავდნენ და ძირად ტყავს გამოაკერებდნენ. ნაზი ნაქარგობით, ლამაზი ორნამენტითა და გამძლეობით გამორჩეული თუშური ჩითებისაგან განსხვავებით, ხევსურული თათები ორგვარი ფორმისა ყოფილა – მაღალ და დაბალყელიანი. ქსოვას იწყებდნენ წვერიდან, უმეტესად, ხვეული ქსოვით (დაშატვა), რომლითაც გამოჰყავდათ სხვადასხვა სახე. ამგვარი წესით იქსოვებოდა თათების გამოსაჩენი ადგილები: ზურგი და ყელი. თათების დანარჩენი ნაწილები შიბის დაკერვის წესით, აბრეშუმის ფერადი ძაფით, იქარგებოდა. ნაქარგს მიივ-ლილებითაც ამშვენებდნენ, სირმასაც ხმარობდნენ. საკაცო თათები უფრო შიბიანია, საქალო კი – ნაცვალ-ნაშატებიანი. თათების ყელზე ქრელი ზონარი – შილიფანი ჰქონდა შემოკერებული და ხშირად შესაკვრელად გრეხილი ბანარი გამობმული. ძროხის ან ხარის ტყავის ქალამნებთან ერთად პაჭიჭებსაც ატარებდნენ. წვივზე რომ არ დაცურებულყო, მასზე წვივსაკრავს იხვევდნენ.

არსებობდა ქალამნების სახეობა – ბანდულები. მათ ძირი თასმებით გარდიგარდმო ჰქონდა გამოწნულ-გამობანდული, რათა ადამიანს ზაფხულში – ბალახზე, ხოლო ზამთარში – თოვლზე ფეხი არ დაცურებოდა. ბანდულებში დასათბუნებლად აფენდნენ თომს, ქურჩს. ისინი ისე ათბობს ფეხს ზამთარში, როგორც არც ერთი სხვა ბალახი. ამიტომ ყოველი ოჯახი შემოდგომაზე მათ საკმაო რაოდენობით იმარაგებდა.

Khevsurian women's and men's footwear was almost the same. They used knitted tatebi (wool socks) with leather soles; the main part was knitted of sisvi (mixed black and white yarn) and lamb's wool. Unlike Tushian chitebi, distinguished for their fine embroidery, beautiful ornaments, there were two kinds of Khevsurian tatebi – with short and long lengths. Knitting started from the point in a twisted manner (dashatva), making different patterns. The visible parts of tatebi, the back and the top were knitted in this manner. In other parts, the method of shibi – embroidering with silk threads was used. The embroidery was adorned with buttons and beads, sometimes with braids as well. Men's tatebi, in most cases, are with shiba, those of women are mostly embellished with natsval-nashati. A piece of braid (shilipani) is sewn around the upper edge of the tops, quite often furnished with twisted strings meant for fastening. Besides sandals, made of cow or ox skin, pachichis (a sort of gaiters worn over shoes) were also worn, in order to hold them up tsvivsakravi (a kind of garter) was used.

There were also different varieties of kalamanis (bandulebi). The soles were crisscrossed with strings to prevent slipping on the grass in summer, and on the snow in winter. Tufts of fescue (types of grasses found in the high Caucasus Mountains) were put into footwear because it created insulation to keep feet warmer. In the autumn, each family would harvest an abundant supply of these grasses.





წვიესაკრავები/ ხევსურეთი  
ბამბა, აბრეშუმი, მინის მძივი

Garters/ Khevsureti  
Cotton, Silk, Glass Beads



ხევსური მამაკაცის ტალავარში შიდა სამოსს – პერანგს უპირველესი ადგილი ეკავა. კვართისებურად აჭრილ მამაკაცის პერანგს ამოკერილი ჩაქიანი გვერდები, მიდგმული სახელოები და შვეულად ჩაჭრილი საკინძიანი გულისპირი (ფარაგა) ჰქონდა. მას გვერდებზე, ერთ მტკაველზე, შეჭრილებს უკეთებდნენ, რომლებსაც სამხედროებს ეძახდნენ. მათი სამოსზე დატანა, სახელწოდებიდან გამომდინარე, მხედრობასთან, ანუ ცხენოსნობასთან იყო დაკავშირებული (ასეთი ჭრილების დატანა მას მოსახერხებელს ხდიდა ცხენზე საჯდომად). პერანგს ჯიბე მარჯვენა მხარეზე უნდა ჰქონოდა. გულისპირის ყველაზე მეტად გამშვენებული ნაწილი მძივებით შემკული ფარაგა იყო. ამგვარადვე იქარგებოდა პერანგის სახელოები, საბეჭური, სამხედროები და კალთების ბოლოები. ორნამენტის უმთავრესი ელემენტი, განსაკუთრებით საბეჭურზე, ჯვარი იყო.

Undergarments, a shirt had an important place in Khevsurian man's talavari (clothes). The man's shirt was designed according to a special ancient pattern, was furnished with chaki (slits at the bottom on both sides), sleeves were sewn to the shoulders in a rectangular pattern and a vertically cut chest (paragi) equipped with a fastening. On both sides they had cuts, about a span long, they were called samkhedro. The Khevsurian wardrobe was designed with horse-riding in mind the cuts made it easier to ride a horse. The shirt had to have a pocket on the right-hand side. The most lavishly adorned part of the chest was paraga embellished with beads. The sleeves, shoulder pieces, samkhedros and the lower edges of the skirts were embroidered in the same manner. The basic element of the ornamentation, especially on the shoulder pieces, was a cross.

მამაკაცის პერანგი/ ხევსურეთი  
შალი, აბრეშუმი, მინის მძივი

Man's Shirt/ Khevsureti  
Wool, Silk, Glass Beads



მამაკაცის სამოსი/ ხევსურეთი  
შალი, ბამბა, აბრეშუმის, მინის მძივი

Man's Garment/ Khevsureti  
Wool, Cotton, Silk, Glass Beads





პერანგის ამხანაგის დანიშნულებას ხევსურეთში შალის შარვალი ასრულებდა, რომელსაც ქალიცა და კაციც შიშველ ტანზე იცვამდა. ის შედგებოდა სანელის, უბისა და ტოტებისაგან. მისი მოკლე ტოტები საგანგებოდ იქარგებოდა, რადგან მათ პაიჭებში (პაჭიჭებში) არ იტანდნენ დაზემოდან გადმოუშვებდნენ.

ხევსური მამაკაცი პერანგზე მუხლამდე მოკლე ჩოხას იცვამდა. ჩოხის უკანა კალთას ერთმანეთზე მიწყობილი ჩაქიანი აზლოტები ამშვენებდა. მოძრაობაში ხელი რომ არ შეეშალა, სახელოები ილლიაში შეხსნილი იყო. წინიდან მთლიანად გახსნილ ჩოხასა და მკერდის ორ მხარეს თითო სამასრე ჯიბე ამკობდა.

In Khevsureti, wool trousers were used as underpants, both men and women put them directly on their skin. It consisted of a sadsele (waistband), ubi (inset between the trouser legs), and legs. The trousers were short and were embroidered with great care and skill, as the trouser legs were not shoved in patchitchebi (gaiters), but just fell over them.

A Khevsurian man put a short chokha (reaching his knees) over his shirt. The back skirt of the chokha was adorned with azghoti (a slantwise cut inset placed in the cuts, close to one another). To guarantee free movement, the sleeves were not sewn up at the armpits. The chokha, opened entirely in the front, was equipped with special pockets for cartridges, sewn on both sides of the chest.



მამაკაცის პერანგი/ ხევსურეთი  
შალი, აბრეშუმი, მინის მძივი

Man's Shirt/ Khevsureti  
Wool, Silk, Glass Beads

მამაკაცის სამოსი/ ხევსურეთი  
შალი, ბამბა, აბრეშუმის მინის მძივი

Man's Garment/ Khevsureti  
Wool, Cotton, Silk, Glass Beads









ქალის ტალავარის მსგავსად, მამაკაცის სათბუნებელი, საზედაო, სამოსი იყო ტყავი, რომელსაც ჩოხაზე იცვამდნენ. ის, ქალის ტყავკაბისაგან განსხვავებით, ბეჭებზე ორი მტკაველით უფრო განიერი უნდა ყოფილიყო. ამასთანავე, მას ხბოს ან ბატკნის ტყავის სამწავეს (ქობას) არ შემოავლებდნენ. ჩოხა, როგორც წესი, ნაჭრელით არ იქარგებოდა და მას მხოლოდ ნაფთულებით ამშვენებდნენ.

ხევსური მამაკაცის ნაბდის ქუდი, თუშურის მსგავსად, მრგვალი იყო, ოღონდ ბაზოებზე (კიდებებზე) ნაქარგითა და მძივებით განწყობილი. მოგვიანებით ნაბადი ხევსურულმა ტოლმა შეცვალა. ქუდისათვის ხმარობდნენ ცხვრის ტყავსაც.

ხევსური მამაკაცის ფეხსამოსს – ბაჭიჭს (პაჭიჭი), ქალის პაჭიჭებისაგან განსხვავებით, ტოლისაგან კერავდნენ, რომელსაც შემდეგ სხვადასხვანაირად ამკობდნენ (აჭრულებდნენ, აკერებდნენ ნაფთულებს). წინდებს კი, ჩვეულებრივ, გეომეტრიული სახეებით ქსოვდნენ.

Like the woman's talavari, the man's warm garment, worn over other items of clothing, was tqavi. Unlike the woman's tqavkaba it had to be two spans wider in the shoulders; apart from that its hem was not adorned with santsave (a border of calf or the lamb skin). The chokha, as a rule, was not embellished with multi-coloured embroidery (natchreli) and had only naptuli.

The Khevsurian man's felt cap was round like the one worn by Tushian men, but it was adorned with embroidery and beads. Subsequently the felt was replaced by Khevsurian toli. Sheepskin also was used to make headwear.

The Khevsurian man's footwear bachichi (pachichi) was different from women's footwear, made of toli, which subsequently was adorned in different ways (using various-coloured yarn, and sewing on naptuli). Geometric patterns were a very popular design for knitted socks.





პაჭიჭები/ ხევსურეთი  
შალი, ბამბა, აბრეშუმი, მინის მძივი

Pachichebi /Gaiters/ Khevsureti  
Wool, Cotton, Silk, Glass Beads





მამაკაცები წელზე ქამარ-ხანჯალს ატარებდნენ. წინათ, ვისაც მტერი ჰყავდა, ფარ-ხმალი მხარზე ეკიდა. ხმლის მხარილლივ საკიდი ყანმებით იმკობოდა. მხარზე ეკიდათ საპირისწამლეც. ფარი, რომელსაც ხევსურები ატარებდნენ, რკინისაც იყო და რკინაზე გადაჭიმული ტყავისაც.

ქართული ფარები, ძირითადად, მრგვალი იყო, დამზადების ტექნოლოგიის მიხედვით კი – სამი ტიპის: ხის ფარი – ტყავგადაკრული, ტყავის ფარი – ლითონითვე შეკრულ-შეჭედილი და ლითონის ფარი. ქართული ფარის უნიკალური ნიმუშია ხევსურული ე.წ. უბის ფარი. ხეზე ტყავგადაკრული ამ ფარის დიამეტრი 50 სანტიმეტრია. ზედაპირზე სხივთა კონად განლაგებულია ლითონის წვრილი ზოლები, რომლებიც თავს იყრის ფარის ცენტრში და მზის სახეს ქმნის.

Men wore a belt with a dagger. In the past, a man, who had an enemy, also carried a shield and a sword on his shoulder. The sword was suspended from the ornamented shoulder belt, so was a powder flask. The shield, used by Khevsurians, could be both of iron and leather stretched over the shield.

Georgian shields were mainly round, as to the technology of their making there were three types; a wooden shield covered in leather, a leather shield reinforced with metal and a metal shield. A unique specimen of the Georgian shield is the 'Khevsurian chest shield'. The diameter of the shield, a piece of leather stretched over wood, is 50 cm. On its surface, narrow strips of metal are arranged radially, like a cluster of rays, they are collected in the centre and represented the sun.

მთის მოსახლეთა სამოსისა თუ ყოფითი ნივთების გარკვეულ საერთო ძირზე მეტყველებს ხევსურული და ფშაური სამოსის მრავალი საერთო ნიშანი როგორც ფორმის შექმნისა, ისე მასალის დამზადების მხრივ. ფშაველი ქალები გრძელსა და გვერდებშეჭრილ პერანგს იცვამდნენ. მათ გულზე ფერადი აბრეშუმის ნაქარგი სამხრე ეკერათ. სამხრე იკვრებოდა ჯვარედინად დაკერებული ლილებით და განწყობილი იყო მონეტებით. მაღალი საყელო ასევე ფერადი ძაფით იქარგებოდა. პერანგზე ე.წ. საგულე ეცვათ. ის იყო მოკლე, გრძელსახელოიანი ზედაკაბა, რომელიც იმკობოდა ფერადი მძივებითა და ვერცხლის მონეტებით.

ფშაველი ქალის ჩაცმულობის მნიშვნელოვანი ელემენტი იყო ე.წ. კაბა-მხრიანი, ანუ წელიანი კაბა. ის ორნაწილიანი იყო. ქვედა, ნაოჭიანი, წელზე ეკვრებოდა ზედაკაბას – მხარგულს, რომლის გულისპირი სარტყლამდე იყო ჩაჭრილი. სამაჯურები საგარეო კაბას, საშინაოსაგან განსხვავებით, ბოლომომრგვალებული ჰქონდა. საკაბე მასალად გამოიყენებოდა: ჩითი, ატლასი, ყანაოზი, დარაია და სხვ.

კაბის კალთაზე შავი სატინის ფასტამალს (ფეშტემალს) იკეთებდნენ, რომელსაც ბოლოზე დაქარგული და დანაოჭებული, განიერი არშია შემოსდევდა. ზოგიერთი ფასტამალი ფერადი მძივებითა და ლილებით იყო განწყობილი.

Many common features of the Khevsurian and Pshavian attire and various items of clothing for everyday use provide evidence that they have definite common roots. These common features are manifested both in the pattern and the material. Pshavian women wore long skirts with cuts at the sides. A piece of coloured, embroidered silk (samkhre) was sewn onto the chest. Samkhre was fastened with buttons sewn on crosswise and was adorned with coins. The high collar was also embroidered with coloured threads. Over the slip, they wore a sagule. It was a short blouse with long sleeves. It was embellished with colored beads and coins.

A significant element in the Pshavian woman's attire was a kabamkhriani (a dress cut at the waist). It consisted of two parts; the lower one, gathered at the waist, was sewn to the upper part – mkharguli, the chest piece was cut down to a girdle. Unlike the dress worn indoors, the cuffs of this dress that was meant for outdoor wear were rounded. The fabrics used for dresses were cotton, silk and daraia (a kind of silk fabric).

A black silk pastamali (an apron) with an embroidered border with gathers was sewn onto the hem was worn in the front of the dress. Some aprons were trimmed with colored beads and buttons.







ფშაური სამოსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო გარედან მოსაცმელი ჯუბა. ჯუბას ბოლოში შემოაყოლებდნენ ენდროში შეღებილ ქუქუმოს – შალის არშიას, რომელიც შალის ფერადი ძაფებით ირთებოდა. ჯუბაზე იკეთებდნენ ტოლის ან ფარჩის ფერად, განიერსა და გრძელ სარტყელს, რომლის ფერიც ასაკით განისაზღვრებოდა: ახალგაზრდები ხმარობდნენ წითელს, მოხუცები კი – შავს. მათ პარალელურად იხმარებოდა ღვედზე (ტყავზე) ასხმული ვერცხლის ნაწილებიანი ე.წ. გუმბათიანი ქამრები. ასეთი ქამრები თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშია დადასტურებული. თავზე ქალები იხურავდნენ თავჩითას (სამკუთხა თავსაფარს), რომლის ორ ბოლოს შუბლზე გაინასკვავდნენ. ზოგჯერ მძივებითა და მონეტებით შემკული მისი ბოლოები შუბლზე ეფინებოდა. იხმარებოდა ქიშმირის მოსახვევიც, რომელიც უკან, ზურგზე, გრძლად ეშვებოდა.

ფშავში გრძელი, კოჭებამდე დაშვებული, ჩიქილაც იცოდნენ. გრძელჩიქილიან ქალებს წითელი, გრძელტოტა, ბოლოებდაქარგული შარვალი ეცვათ და მას ბაბთაქარგა ეწოდებოდა.

ფერად წინდასა და ტანსაცმელს მხოლოდ ახალპატარძლები და გაუთხოვარი ქალები ატარებდნენ, ხოლო გათხოვილები და ხანში შესულები – შავსა და უსამკაულოს. ფშაურ წინდას საწინდე ბანრით აჭრელებდნენ. ქალისა და მამაკაცის წინდები განსხვავდებოდა იმით, რომ ქალისა ყელმალაღი და დაჭრელებული იყო, მამაკაცისა კი – ყელდაბალი და, შედარებით, სადა. წინდაზე ნაჭრელი, ანუ სახეები გეომეტრიულიც იყო და მცენარეულიც. ფშაველი ქალი, ისე როგორც თუში, თავისი მოქსოვილი წინდის გარდა სხვისას არ ჩაიცვამდა. ქალი ფშავში ექვსი წლიდან ღრმა მოხუცებულობამდე ქსოვდა. მგზავრობის დროსაც კი მკლავზე მას საწინდე კალათა ეკიდა შიგნით. ქსოვით ის “გზას იმოკლებდა”. ოჯახის ყველა წევრის შემოსველი, ძირითადად, ქალი იყო. მან კარგად იცოდა სამოსის შექმნის ყველა ნიუანსი: თარგი, ფერი, სამოსის განყოფის წესები და ტრადიციები.



One of the items of the Pshavian costume was a juba (a coat) which was worn over everyday clothing. Kukumo (a wooden border), dyed in madder rubia, giving it a red hue was trimmed with various-coloured woolen yarn, extended along the lower edge of a juba. A juba was girdled with a wide and long colored belt of a thin, wool fabric or brocade, the color was determined by the age of the woman. Young girls wore red while older women preferred black. Domed girdles with silver pieces were worn with a juba. Threaded on a leather thong, were also used, such girdles were seen in almost every region of the Eastern Georgian highlands. A woman covered her head with tavchita (a triangular kerchief), whose two ends were tied on the forehead. Sometimes their ends, trimmed with beads and coins, covered their foreheads. A cashmere kerchief was used sometimes it was long and lay on a woman's back.

In Pshavi, a long chikila (veil) was also worn, it fell downward reaching ankles. Women who wore long veils also wore baktakarga (long trousers), their trouser legs were long and adorned with embroidery.

Only new brides and unmarried women wore coloured socks and clothes, married and elderly women were dressed in black and did not use any adornment. Socks in Pshavi were made with multi-coloured yarn specially meant for socks. The difference between men's and women's socks were that women's socks were multicolored and had high tops, while men's socks were shorter and somewhat plainer. Socks were adorned both with geometrical and floral patterns. The Pshavian woman, like Tushian women, would never wear socks knitted by another person. In Pshavi, girls learned how to knit socks from the age of six and knitted them all of their lives. Even when traveling they carried a work basket with yarn in it over one arm. While knitting they believed that they "shortened" the distance of their travels. Women provided the whole family with clothes. They were well aware of all the nuances of making clothes; patterns, colours, methods and traditions of trimming garments.

ფშავ მამაკაცებს ეცვათ: სამხარე – ფერადი პერანგი, რომელიც გეომეტრიული და ყვავილოვანი ორნამენტით იყო დაჭრელებული. საყელოზე ღილები ჯვარედინად ეკერა. პერანგზე მამაკაცები მოკლე, უსახელო, ნაპირგადმონეულ, წინგახსნილსა და სარჩულიან საგულეს ატარებდნენ. ფშავი მამაკაცი რამდენიმე საგულეს იცვამდა. მისი რაოდენობა მიანიშნებდა ჩამცმელის მატერიალურ შესაძლებლობას. ამ საგულეზე არხალუხს – ახალუხს გადაიცვამდნენ, რომლის გულისპირიც ასევე ნაჭრელით იყო შემკული. ახალუხზე გრძელი და ნაოჭიანი ჩოხა ეცვათ, რომელსაც ზამთარში ბენჯიბარუნებული ტყავი ან ტოლისაგან შეკერილი ქულაჯა ჩაენაცვლებოდა ხოლმე.

ფშაური ჩოხა უკან ნაოჭასხმული, მუხლამდე სიგრძისა და ილლიაში გახსნილი იყო. ამ ნაოჭებს გუჯასტს ეძახდნენ. რაც მეტი გუჯასტი ჰქონდა ჩოხას, მით უკეთესი იყო. სამასრეების ნახევარი ჩახსნილ ილლიაში ჩადიოდა. სახელოებს ბოლოებზე მიკერებული ჰქონდა ენები – ყოჩები. სამოსის ეს დეტალი მეტად საგულისხმო იყო ფშაურ ჩოხაში: “მას ყოჩიანი ჩოხა ეცვაო,” – იტყოდნენ კარგად, გემოვნებით ჩაცმულ მამაკაცზე. ჩოხა შინნაქსოვი შალისაგან – ტოლისაგან იკერებოდა. ხშირად მას ახმარდნენ აბრეშუმის უხემ ნართს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ აბრეშუმის ქია ფშავშიც ჰყავდათ.

ფშაველი მამაკაცი ტყავ-ჩოხასაც ატარებდა, რომელსაც საყელოსა და წინა კალთაზე შავი ბატკნის ტყავი ჰქონდა შემოვლებული. ჩოხასა და ტყავკაბაზე ფშავლები ქამარს არ იკეთებდნენ. ქამარ-ხანჯალს ისინი ახალუხზე ქამარში გარჭობილად ატარებდნენ, ხმალს კი ჩოხაზე მხარი-ილივ, საკიდზე, იკიდებდნენ. შეძლებულ ფშაველს ვერცხლის მალებიანი ხმალსაკიდი – აშურმა ეკეთა.

ფშაველი მამაკაცი იცვამდა მუხლამდე შალის შარვალს ნელზე მიკერებული მაგარი ქსოვილით, რომელშიც ხონჯარი ეყრებოდა. თავზე ფშავ მამაკაცებს ე. წ. ჭავლიანი ქუდი (გრძელბენვა ცხვრის ტყავისაგან ნაკერი და ნოპიანი) ეხურათ. ზოგიერთი თუშურ ნაბდის ქუდსაც იხურავდა. ფეხზე ჭრელ წინდას ატარებდნენ, წვივებზე კი მუხლამდე ტოლის პაჭიჭები ეკეთათ და შიგ შარვლის განიერი ტოტები ჰქონდათ ჩატანებული. პაჭიჭები რომ არ დაცურებულიყო, წვივსაკრავს იკეთებდნენ.

Pshavian men wore a samkhare (a colored shirt adorned with floral and geometrical ornaments). The buttons were sewn on to the collar crosswise. Over the shirt, men wore a short, sleeveless, lined sagule which opened at the front with a flowing skirt. The Pshavian men wore several sagules, one over another. The number of sagules worn indicated how well-to-do the owner was. Over the sagule, he put on his arkhalukhi-akhalukhi, the chest piece was also adorned with nachreli. Over the akhalukhi, a long chokha with gathers was worn, in winter, it was replaced by tqavi (a fur-coat) with the fur on the inside, or made of toli (a thin wool fabric).

The Pshavian chokha was gathered at the back, reached down to the knees, with open armholes. These gathers were called gujasti. The more gujasti the chokha had, the better it was. Special pockets for cartridges extended as far as the armpits. Each sleeve ended in a flap called kochi. This detail was very significant in the Pshavian costume: when someone was dressed well and with taste people said that “he was wearing a chokha with kochi.” A chokha was made with a thin home-woven toli. Sometimes raw silk was added. In Pshavi, they raised their own silk worms, so the silk that came from Pshavi was exquisite.

Pshavian men also wore tkavchokha; its collar and front skirt were trimmed with pieces of black lamb skin. Pshavians did not use a belt when wearing a chokha or tkavkaba. They stuck their daggers under the belt girdling the akhalukhi. Their swords were suspended from the shoulder belt and were worn over their chokhas, a well-to-do Pshavian’s shoulder belt was adorned with small silver panels.

Pshavian men wore wool trousers, reaching down to the middle of his knees, the waistband was made with a very strong fabric furnished with a draw-string. On his head, he wore a pointed hat made of long-haired sheepskin. Some men from Pshavi wore Tushian felt caps. Tushian men wore multi-coloured socks, his calves were covered with pachichis (a sort of gaiters) made of toli, they reached to his knees the wide legs of the trousers were shoved into his pachichis, to hold them up, he used a tsvivsakravi (a garter).

მამაკაცის ახალუხი/ ფშავი  
ბამბა

Man's Akhalukhi/ Pshavi  
Cotton





ფშაურის მსგავსი იყო მთიულური ტანსაცმელი. როგორც ფშავში, აქაც ხანში შესულნი, ძირითადად, შავი სამოსით იმოსებოდნენ, ახალგაზრდები კი – ფერადით. მთიული ქალი კოჭებამდე გრძელსა და ნაოჭიან კაბას ატარებდა, ხოლო წელში გამოყვანილსა და მინაოჭებულ ზედაკაბაზე დუშლულს – ელეგს (ჟილეტს) შემოიცვამდა. ის წინ დაქარგული იყო და მძივით იმკობოდა. ჩახსნილ საკინძეს ქალი სახლართავებით იკრავდა. კაბის კალთაზე საგანგებოდ დაჭრელებული ფეშტემალი მთიული ქალის სამოსის აუცილებელი დეტალი იყო.

Clothing, worn in Mtiuleti, wore like Pshavian. As in Pshavi, elderly women were mainly clad in black clothes, young girls favoured bright colours. The women in Mtiuleti, wore a long dress with gathers that was tight-fitting at the waist, it reached her ankles, she put on dushlughi (a waistcoat) over her blouse. Its front was embroidered and trimmed with beads. The front of this waistcoat was fastened with sakhartavi (strings). A significant detail of the Mtiuli woman's attire was a specially ornamented peshtemali (apron), which she wore over her dress.



მანდილოსნის სამოსი  
ფეშტემალით/ მთიულეთი  
ბამბა, აბრეშუმი, ვერცხლი

Lady's Dress with Peshtemali/ Mtiuleti  
Cotton, Silk, Silver



მანდილოსნის სამოსი/ მთიულეთი  
ბამბა, აბრეშუმი, ვერცხლი

Lady's Dress/ Mtiuleti  
Cotton, Silk, Silver







მთის მაცხოვრებელთა ტანსაცმელს, როგორც მანდილოსნის, ისე მამაკაცისას, ბევრი საერთო აქვს. ამ მხრივ გამონაკლისი არც ხევის სამოსია. მოხვევე ქალის სამოსის კომპლექტში ქვეშ ჩასაცმელ პერანგს შილაი ეწოდებოდა. იგი იყო ბამბის ქსოვილის, გრძელი სახელოებით, ოქრომკედით დაქარგული სამაჯეებითა და საყელოთი.

პერანგზე ეცვათ ახალუხი ყუმბილებით (აბრეშუმის ძაფის ან ვერცხლმკედის გრეხილით დამზადებული ბურთულა ღილები). ახალუხი წინ ბოლომდე ჩახსნილი, წელში დავინროებული იყო. ყელის ქრილიდან მუხლს დაცილებით, მთელ სიგრძეზე, დაკერებული ყუმბილები შატებით (წნული ყულფი) იკვრებოდა. ახალუხს ბოლოზე ოქრომკედის არშია შემოსდევდა. ქალის ახალუხის გულისპირს ოქრომკედის ზოლი – ბადაი ჰქონდა შემოვლებული.

ახალუხზე საგულეს იცვამდნენ, რომელიც გრძელი, წელში გამოყვანილი, კუჭნაოჭიანი (უკან დანაოჭებული), წინ ბოლომდე გაჭრილი და დასარჩულეულ-დალიანდაგებული კაბა იყო. ის ახალუხივით ყუმბილებითა და კილოებით იკვრებოდა. საგულის გულისპირი და სახელოები ოქრომკედითა და სირმით მოქარგული სახეებით იყო განყოფილი.

The clothes worn both by women and men, living in the highlands, have much in common. The clothing in Khevi is no exception. In the complete set of clothes of the Khevian woman shilai (a slip) was worn under the dress. It was made of a cotton fabric, had long sleeves and its collar and cuffs were embroidered with gold thread.

Over the slip, women wore akhalukhi with qumbilis (round buttons made by means of twisting silk or gold thread), its whole front was open and fit tightly at the waist. From the neck line, the garment went right down to the knees and was furnished with qumbilis and shatis (entwined loops), used as fastenings. A border made of silk thread extended around the lower edge of akhalukhi. The front of the woman's akhalukhi was surrounded with a badai (silk-thread strip).

A sagule was an item of clothing worn over akhalukhi, it was a long, lined, quilted dress, closely fitting the waist, with gathers at the back. Like akhalukhi, it had qumbili and loop fastenings. The front and sleeves of a sagule were adorned with gold and silver thread embroidery.

საგულეზე, რომელიც, ძირითადად, მუქი ფერისა იყო (მუქი ენდროსფერი, მწვანე, ლურჯი, შავი) ოქროს ან ვერცხლში დაფერილ ქამრებს – ჩოფრას-ტანებს ატარებდნენ. მოხუცთა საგულეს სახელო განსხვავებული ჰქონდა. მათი სახელოს გაგრძელება მთელ ხელის მტევანს ფარავდა, რომელსაც სახლში შესვლისას უკან, მაჯისკენ, გადაიკეცავდნენ.

ქალის მოხეური სამოსი ყისინა მოხეური ტოლისაგან იკერებოდა. მას წა-მოსასხამის (ნაბდის) ფორმა ჰქონდა და ხის ერთადერთი ღილით ყელთან იკვრებოდა. გოგონებს მოკლე ახალუხები – კანდოლები ეცვათ, რომელ-თაც კალთებზე ხარდგას (სახიანი მოსავლები) შემოავლებდნენ ხოლმე.

მოხევე მამაკაცის სამოსი, ე. წ. კუჭებიანი ჩოხა, გვერდებზე დანაოჭე-ბული და შეჭრილი იყო. გულზე სამასრეები ეკერა, რომელთაც ირგვლივ ყაითანი შემოსდევდა. ჩოხის კალთებს ბოლოზე ქეჩები – მოსავლები შე-მოუყვებოდა. მამაკაცები ასევე ატარებდნენ ცხვრის გრძელბენვა ტყავის სათბუნებელ სამოსს – კუჭიან ტყავს.

მოხევე ქალი თავსაბურავად შალისა (ქიშმირის) და აბრეშუმის მანდილს, მერდინსა და ლეჩაქს ხმარობდა. იმის მიხედვით, თუ რა ასაკისა იყო, სხვა-დასხვა სახის თავსაბურავს ატარებდა. მანდილი თეთრი, ოთხკუთხა იყო და ახალგაზრდა ქალები იხურავდნენ. მისი ერთი წვერი, წინ შუბლზე, ხოლო სამი წვერი ზურგზე ეშვებოდა. მერდინი მანდილის ფორმისა იყო, სხვადასხვა ფერის (შავი, მწვანე, ლურჯი, მუქი ენდროსფერი), სახეებიანი და ისე ეხურათ, როგორც მანდილი. სამწვერა ლეჩაქი მოხუცებს ეხურათ. მის ორ წვერს თავზე გადაიყრიდნენ ან ყელზე ამოიტარებდნენ, ერთი წვერი კი უკან ჰქონდათ დაშვებული.

მამაკაცები ცხვრის ტყავისაგან დამზადებულ საჩეხიან ქუდებს ატარებ-დნენ. ფეხზე მოხევე ქალიცა და კაციც სადად ნაქსოვ წინდას იცვამდნენ. მხოლოდ ყელთან ოთხ ზოლად ე.წ. შამბახურას (ჯაჭვისებური ნაქსოვი) შემოავლებდნენ შიბით. წინდაზე კაცები ბანდულებს იცვამდნენ. მოხე-ვეები მას ხუნჩაის ეძახდნენ, რომლებსაც სითბოსა და სიმშრალის შესან-არჩუნებლად გამხმარ ქუჩს (მთის ბალახი) აფენდნენ.

მანდილოსნის ახალუხი/დეტალი/ ხევი  
აბრეშუმი, ვერცხლმკედი, ოქრომკედი

Lady's Akhalukhi/ Detail/ Khevi  
Silk, Silver Thread, Gold Thread





On a sagule, which in most cases was made with dark coloured fabrics (dark madder, green, dark blue and black), wore gilded or silver plated belts called choprastani. The sleeves of an older women's sagule were different. The extensions of the sleeves covered the hand entirely. When women were indoors, they were folded their sleeves back, towards the wrist.

A Mokhebian women's garment was called a qisina which was made of Mokhebian toli. It was shaped as a cloak (nabadi) and was fastened at the neck with a single button. Girls wore short akhalukhi – kondoli, its skirts were bordered with patterned khandagi (aborder).

Mokhebian men's garments (kuchebiani chokha) had gathers at both sides and longitudinal cuts. There were special pockets were sewn on the chest for cartridges, the pockets were surrounded with braids; kechis (a special border) extended all around the hem of chokha skirts. Men also wore a special fur coat made of long-haired sheepskin called kutchiani tkavi.

Mokhebian women covered their heads with a wool (cashmere) or silk mandili, merdini or lechaki. According to the woman's age, different kinds of kerchiefs were worn. A mandili was a white, rectangular piece of fabric, worn by young women. One of its corners fell over her forehead, the other three descended on the back. A merdini had the same shape as a mandili; it was patterned and could be of different colours (black, green, dark blue and dark madder); it was worn like a mandili. A lechaki which was triangular shaped was worn by elderly women. Its two ends were put on her head or wrapped around her neck, one end was thrown onto her back.

Men wore caps of curly sheepskin. Both Mokhebian men and women wore knitted socks, their patterns were plain. Only near the tops there were four stripes, knitted like a chain; this ornament was called chabakhura. Men put on bandulis over their socks; Mokhevians called them khunchai which were dried tufts of meadow fescue (grasses) to keep their feet warm and dry.

სვანი ქალები სამოსსაც და მისთვის საჭირო მასალასაც ოჯახში თავად ამზადებდნენ. ძირითადად გამოიყენებოდა შალის, კანაფისა და ბამბის ქსოვილები, მაგრამ სამოსის ელემენტებისთვის ფაბრიკულ ქსოვილებსაც ხმარობდნენ, რომლებიც სვანეთიდან საშოგარზე გასულ მამაკაცებს შემოჰქონდათ.

სვანი ქალის სამოსი შედგებოდა ზედა და ქვედა კაბისაგან. ქვედაკაბა გრძელი და დიდნაოჭიანი იყო. ზოგიერთ კაბას უკანა კალთა ბოლოჩაგრძელებული ჰქონდა და მას კუდიან კაბას ეძახდნენ. მის შესაკერად იყენებდნენ: აბრეშუმს, სატინას, შალსა და ჩითს. ქვედაკაბას წელზე სათავეს – ლარტყს უკეთებდნენ.

ზედაკაბა ორნაირი იყო: მთლიანად გულდახურული, რომელიც გვერდზე ან ზურგზე იკვრებოდა და წინ ჩალილული. მისი გრძელი და ვიწრო სახელოები სამაჯეებით მთავრდებოდა. წინ ჩახსნილ ზედაკაბას ქსოვილგადაკრულ ღილებს ან ვერცხლის ღილ-კილოებს უკეთებდნენ. გრძელ ზედაკაბაზე ქსოვილის ან ვერცხლის სარტყლებს ხმარობდნენ.

Svanian women made all of the materials and clothing for their entire family at home. They mainly used wool, hemp and cotton fabrics, though for some elements ready-made textiles were also used that were bought by men who traveled to other regions to earn some additional income.

The clothing of Svanian women consisted of a zedakaba (upper dress, blouse) and a kvedakaba (lower dress, skirt). The lower dress was long with large gathers. The skirts of some dresses that were longer in the back were called kudianikaba (a dress with a tail). Such a dress was made of silk, wool or cotton. The lower dress (skirt) had a lartqi (waistband).

There were two types of upper dresses (blouses); one had an entirely closed front fastened in the back or at the side, the front was furnished with buttons. The sleeves were long and tight-fitting, ending in cuffs. The blouse opened in the front, was trimmed with buttons, covered in pieces of fabric or silver buttons. Textile or silver belts were worn on long blouses.







ზამთარში ქალის სათბილობელი კაბა წელთან მომდგარი, გრძელი, ბოლოში გაფართოებული იყო. კაბას ჰქონდა პატარა საყელო და სწორი, მხართან გაგანიერებული და მაჯისაკენ დავინროებული სახელოები.

კაბას ჩოხის მსგავსად კერავდნენ, ქიმებით აწყობდნენ, ჩახსნილ ნაპირებს სირმებს შემოაყოლებდნენ, ასევე ამკობდნენ საყელოს, მაჯებს, რომელთაც ზოგჯერ ოქრომკედით გაამშვენებდნენ. კაბას, როგორც წესი, მარტო წელამდე შეიკრავდნენ და წელს ქვემოთ, საკაცო ჩოხის მსგავსად, გახსნილად ატარებდნენ. ზოგიერთ კაბას ჩახსნილ გულისპირზე ფერად ნაჭერს აკერებდნენ ზედ ჩაფრასტების დასამაგრებლად.

სვანი ქალის სამოსის კომპლექტი წარმოუდგენელია ვერცხლის სამკაულების გარეშე. მათი სრულყოფილი სახე სადღესასწაულო სამოსში აისახებოდა. სამოსის განუყოფელი ნაწილი იყო ჩაფრასტები – გულისპირზე დაკერებული ვერცხლის ერთგვარი დუგმები, ვერცხლის ან ოქროში დაფერილი ქამარი, კეზარი (ვერცხლის ძეკვზე ტოლმკლავა ჯვრების ან გეომეტრიული ფიგურების სხმული), ბეჭდები, საყურეები და სასაფეთქლეები.

სათბილობელი ტყავკაბა, ფორმით ჩოხის მსგავსი, წინ მთლიანად ჩახსნილი, წელზე მომდგარი და ბოლოსკენ გაგანიერებული იყო. საქალო ტყავკაბა მხოლოდ ცხვრის მოქნილი ტყავით იკერებოდა და ტყავის ბენვიან მხარეს შიგნით მოაქცევდნენ. მორთვის მიზნით, მის სახელოებს, საყელოსა და გულისპირს შავი ბატკნის ტყავს (ჟინალს) შემოავლებდნენ. ის ღილ-კილოებით იკერებოდა.

სვანი ქალი კაბის შიგნით ხმარობდა პერანგს – ფატანს და ქვედა საცვალს – არშვილს. პერანგი იცოდნენ გრძელი და მოკლე, თეთრი ან წითელი ფერის, ვიწრო და გრძელი სახელოებით. მისი გულისპირი იქარგებოდა, ხოლო საყელო, ახალუხის მსგავსად, მაღალი ჰქონდა. მასალად გამოიყენებოდა მიტკალი, ჩითი და ნარმა.

სვანი ქალის თმის ვარცხნილობა და თავსაბურავის ფორმა ანალოგიურია საქართველოს სხვა კუთხეებში დამონმებული ვარცხნილობებისა. იკეთებდნენ ნაწნავებს ორიდან ცხრამდე, ზურგზე გადაწყობილებს, რომლებიც შეიძლება თავსაბურავიდან გამოჩენილიყო.

თავსაბურავი ორნაირი იყო: შიდა – პატარა, ოთხკუთხა ქსოვილი, რომელიც შუაზე სამკუთხედად გადაკეცილი ეხურათ. მის დასამზადებლად იყენებდნენ: დარაიას, აბრეშუმს, სატინას. ფერებიდან ირჩევდნენ თეთრს, ყვითელს, წითელსა და ცისფერს.



პატარა თავსაფარზე ზემოდან იხვევდნენ დიდ, ოთხკუთხა თავშალს, რომელსაც ჯოდი ლეჩაქს ეძახდნენ. მას თავზე თავსაკრავით იმაგრებდნენ, მის კალთებს კი უკან დაუშვებდნენ. დიდ ლეჩაქს ზოგჯერ რამდენიმეჯერ გადაახვევდნენ და შუბლზე გაიკრავდნენ.

ორი თავსაფრით თავის დაბურვა სვანეთში გაბატონებული წესი იყო და, როცა შიგნითა, პატარა, თავსაფარზე დიდ ლეჩაქს იხურავდნენ, მას, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, მარჯვენა ან მარცხენა ყურისკენ აიკეცავდნენ და საპირისპირო მხარეს ჩაიმაგრებდნენ. ზამთარში დამატებით გარედან მოსახურ თბილ შალეებს ხმარობდნენ.


ძველად სვანეთში ფეხსამოსის ძირითადი ელემენტი – საქალო და საკაცო ქალამანი ერთნაირად ყელდახურული და წვერთან გაკერილი იყო. უფრო გვიან ნაოჭასხმულ ქალამნებსაც ხმარობდნენ. ქალამანში იცვამდნენ მოკლე და გრძელყელიან წინდებს, რომლებიც იქსოვებოდა თეთრი, შავი და ჭრელი შალის ძაფით.

ზამთარში ხმარობდნენ დაბამბულ სამუხლეებს – პაჭიჭებს, რომლებიც სვანეთში იკერებოდა უბრალო ჩითის, სატინისა და, იშვიათად, აბრეშუმისაგან. სილამაზისათვის შესაკრავად ხმარობდნენ ქსოვილის ფერადი ნაჭრებისაგან დამზადებულ ზონრებს – ლეკვერთხებს. მათ სამ ადგილას აკერებდნენ პაჭიჭებს: ერთს – კოჭთან, მეორეს – მუხლთან და მესამეს – შუა წვივზე. ფეხზე უკეთ მორგების მიზნით პაჭიჭს ქვედა მხარიდან გამოზმული ჰქონდა ავჯანდი (ორ მხარეს მიკერებული ქსოვილის ნაჭერი). სიცივის დროს სამუხლეებთან ერთად დაბამბულ სამაჯეებსაც იკეთებდნენ. ადგილობრივ დამზადებულ ფეხსამოსთან ერთად ფართოდ გამოიყენებოდა ქალაქური წესით შეკერილი ჩუსტები და წულეები.



მანდილოსნის სამოსი/ სვანეთი  
აბრეშუმის, ბამბა, შალი, ვერცხლი

Lady's Dress/ Svaneti  
Silk, Cotton, Wool, Silver



A Svanian women's warm winter dress fit closely at the waist, was long, and widened toward the bottom. Its collar was small, the sleeves were straight, widening towards the shoulders, and tight at the wrists. This dress was made like a chokha, it was adorned with ornaments, and the edges of the open part were furnished with interwoven trims of gold thread, the collar and cuffs were embellished in the same manner; sometimes gold thread trimmings were added. The dress, as a rule, was fastened down to the waist. Below the waist it was open, like a man's chokha. The open front of some dresses were covered with coloured pieces of fabric to fasten with chaprast (silver fasteners).

A complete set of a Svanian woman's attire cannot be imagined without silver ornaments. Silver ornaments were always used especially in festive clothing. Chaprasti (silver fasteners ornaments) were sewn on the front of dresses, a silver-plated or gilded belt, kebzari (a necklace with crosses or geometric figures suspended from a chain), earrings and temple flaps.

The warm tkavkaba was designed like chokha, open in the front, closely fitting at the waist and widening towards the bottom. Women's tkavkabas were also made of only very well cured sheepskin with the fur on the inside. Its sleeves, collar and front were trimmed with zhinaghi (lamb's skin). It was fastened with ghil-kilo (loops and small, soft buttons).



სვანი ქალი  
მხატვარი მაქს ტილკე

Svanian Woman  
Artist: Max Tilke



მანდილოსნის სამოსი/ სვანეთი  
მაუდი, ბამბა, აბრეშუმი, ვერცხლი

Lady's Dress/ Svaneti  
Wool, Cotton, Silk, Silver





ყელსაბამი კეზარი/ სვანეთი  
ვერცხლი, სევადა

Necklace – Kebzari/ Svaneti  
Silver, Metal Inlay

Svanian women wore a patani (slip) under their dresses, and arshvili (pants). The slip could be long or short, white or red, with long and fitting sleeves. Its gulispiri (front) was embroidered and a collar, like that of the akhalukhi, was high. It was made of calico, cotton, or coarse calico.

The hair style and the head-wear of Svanian women were like those seen in other provinces of Georgia. The braids could number from two to nine, falling down the back, they could be seen from below the headdress. There were two kinds of head-dresses: a small, inner rectangular piece of fabric, folded into a triangle that covered women's heads. It was made of daraia (a kind of silk), silk and sateen. The preferred colours were white, yellow, red and sky-blue.

Over the small kerchief, they put on a large, rectangular one, called 'jodilechaki'. It was kept in place by means of a tavsakravi (a narrow strip of some fabric), the ends of a dzhodi lechaki were thrown back. A big lechaki sometimes was folded several times and tied round a woman's head.

Wearing two kerchiefs was obligatory in Svaneti; when a lechaki was put over the small, inner kerchief, as in Eastern Georgia, it was folded up over the left or right ear and was fastened securely on the opposite side. In winter, warm shawls were added to a Svanian woman's attire.

In ancient times, the basic elements of footwear for men and women were kalamanis (shoes from leather), which were alike, with covered tops and sewn up points. Later on, kalamani with gathers were also worn. Kalamanis were put on over knitted socks, with short or long tops, they were made of white, black or multi-colored wool.

In winter, Svanian people wore padded samukhle (knee covers) called pachichi, which in Svaneti were made of plain cotton, sateen or very rarely of silk. To make them prettier they used braids made of multi-coloured pieces of fabric, to tie them. These braids were sewn on to the pachichi; one at the ankle, another at the knee and the third in the middle of the calf. Avzhandi (pieces of cloth sewn on to two sides) were fastened to the bottom to fix it securely to the foot.

When it was very cold in Svaneti, knee-covers and padded wrist-covers were also worn. City-manufactured chusti (slipper) and tsugha (soft footwear, with a top or without) were also worn.



ჩაფრასტი/ სვანეთი  
ვერცხლი, სევადა

Chaprasti/ Svaneti  
Silver, Metal Inlay

სვანი მამაკაცის სამოსის კომპლექტი შემდეგი ნაწილებისაგან შედგებოდა: ჩოხა (ოსარ), ახალუხი (საგულე) და საცვალ-პერანგი (არშულ-ფატან). ჩოხა შავი ან რუხი შალის ქსოვილისაგან იკერებოდა. ის გრძელი, უკან ორი ჩაქითა და წინ საქილეებით იყო განწყობილი. წინ ჩახსნილი ჩოხა გულისპირზე ღილ-კილოებით იკვრებოდა.

ჩოხის ქვეშ მასზე ოდნავ მოკლე საგულე ეცვათ. ის, უთუოდ, ორმაგი, ანუ სარჩულიანი იყო. ჩითის შიგნითა პირი, უმეტესად, წითელი, ხოლო საპირე, ანუ გარე პირი შავი სატინისგან იკერებოდა. მისი მაღალი საყელო ყელთან ზონრით (ხელკავით) იკვრებოდა.

სვანური ქუდი (ლუშნე ფაკვ, ანუ ლიფყური ქუდი) გამოირჩევა ორიგინალური ფორმით. მისი დამზადების ტექნოლოგია შრომატევადი იყო. რაც მეტ ხანს გრძელდებოდა თელვის პროცესი, ქუდი მით უფრო ლამაზი და ნყალგაუმტარი იყო.

A Svanian man's complete set of clothing consisted of a chokha (osar), akhalukhi (sagule) and arshul-patan (undershirt). A chokha was made of black or dark grey wool cloth. It was long, furnished with two vertical cuts on the back and special pockets for cartridges were sewn on the front. The open front of a chokha was fastened with ghil-kilo (loops and small, soft buttons).

Under a chokha, a little shorter sagule was worn. It was always lined, the lining was usually cotton, red, in most cases, and the outer part was black sateen. It had a high collar fastened at the neck with a braid (khelkavi).

Lushne pakv or lipkuri kudi (Svanian hat) was distinguished for its original form. The technology used to make this hat was time-consuming, consisting of many processes. The longer the process of felting lasted the more water-tight and warm the hat was.







მამაკაცის ჩოხა/ სვანეთი  
შალი, აბრეშუმები

Man's Chokha/ Svaneti  
Wool, Silk



სვანი მამაკაცი  
მხატვარი მაქს ტილკე

Svanian Man  
Artist: Max Tilke





მოთელილ საქუდე მასალას სპეციალურ კალაპოტზე გადააკრავდნენ, ხელით ალამაზებდნენ და აჭრიდნენ ზედმეტ ნაწილებს – კრეჭდნენ. კალაპოტზე ქუდი ორ-სამ დღეს რჩებოდა. შემდეგ ირგვლივ, კიდესა და ქუდის ცაზე, ჯვარედინად ეკერებოდა ყაითანი. სვანური ქუდის გარდა, აქ გავრცელებული იყო ყაბალახი. მამაკაცის ზამთრის სამოსში ნაბადიც შედიოდა და ის, ძირითადად, ყაბარდო-ბალყარეთიდან შემოჰქონდათ.

The felted material was stretched over a mold and final touches were put on by hand, the extra parts were cut off. It was left on this mold for two or three days. Then a piece of braid was sewn crosswise on the top, the edges were also bordered with a braid. Apart from the Svanian felt cap *kabalakhi* (headdress made out of soft cloth that was pointed with long ends) was quite popular. *Nabadi* (a felt cloak) was also included in a Svanian man's attire.

რაჭა-ლეჩხუმის მცხოვრებთა ტრადიციული ტანსაცმელი მსგავსია ზოგადქართული შესამოსლისა. აქაც გავრცელებული იყო მანდილოსანთა სარტყელ-გულისპირიანი კაბა და ჩოხა-ახალუხი, ხოლო მთის რაჭა გამოირჩეოდა ორიგინალური ტრადიციული სამოსით.

მთის რაჭაში მცხოვრები ქალის სამოსის კომპლექტში ერთიანდებოდა სხვადასხვა ქსოვილისაგან შეკერილი კვართისებურად აჭრილი პერანგი, რომელიც კაბის მოვალეობასაც ასრულებდა. ამ სამოსის უმთავრესი სამკაული, სევადითა და ფერადი ქვებით განწყობილი, ვერცხლის მრგვალობათიანი სარტყელი იყო.

კაბაზე საგულეს იცვამდნენ. მას ასარჩულებდნენ ან ალიანდაგებდნენ. მის წინა კალთას – ტანს ირიბად აჭრილ ნაჭერს – აპარტავანს ამატებდნენ. უკანა კალთას კი რამდენიმე აზლოტს უკეთებდნენ. პირდაპირ მიდგმული სახელოების ილღიებს ცოტათი ღიად ტოვებდნენ. საგულეზე წელში გადაჭრილ კაფთარას იცვამდნენ. მისი ზურგი და წინა ნაწილი ქსოვილის მთლიანი ნაჭრისაგან, ხოლო წინა კალთა რამდენიმე ნაჭრისაგან შედგებოდა.

The clothing of the population in Ratcha-Lechkhumi is like common Georgian clothing. In Ratcha and Lechkhumi, women's dresses with a belt and ornamented front (gulispiri) and a chokha-akhalukhi were very popular styles. In the highlands of Ratcha, people were distinguished for the different and original garments that they wore.

A complete set of the Ratchian woman's clothing consisted of a slip which could be used as a dress. The main ornament of this garment was a belt, trimmed with a niello buckle studded with coloured stones.

They put on a sagule over a dress, it was lined and quilted. A piece of cloth, cut slantwise (ampartavani) was sewn onto a skirt. The back skirt was furnished with azghoti (inset of cloth, cut slantwise) inserted below the thighs, the armpits were not sewn up entirely, the sleeves were attached to the shoulders perpendicularly. Women wore a sagule kaptari which was cut at the waistline over a dress. Its back and front were made of a single piece of cloth the front skirt consisted of several panels.



კაფთარა/ რაჭა  
აბრეშუმის, ბამბა

Kaptara/ Ratcha  
Silk, Cotton



კაფთარას დეკორატიული სახელოები, იგივე ყურთმაჯები, მაჯასთან შეუკერავი იყო და აბრეშუმის სარჩული გახსნილი ყოშიდან ლამაზად მოჩანდა. სარჩულად ფერად ქსოვილს უდებდნენ და გულისპირთან ან ზურგზე იკრავდნენ. კაფთარის ჩახსნილ გულისპირს ნაქარგით, ფერადი ქსოვილით, მძივებით ან ვერცხლის სამკაულებით ამშვენებდნენ.

ზემო, ანუ მთის რაჭის ქალის სამოსში ზედა სამოსად ქათიბა (ქათიბი) იხმარებოდა, რომელსაც ქალი კაფთარას ზემოდან იცვამდა. ის მელიის ან კვერნის ტყავმოვლებული იყო. ასეთ ქათიბს ბენკოიანს ეძახდნენ. კაბაზე, კაფთარას ქვეშ, იკეთებდნენ ოთხკუთხა, სხვადასხვა ფერისა და მასალის (ფარჩა, აბრეშუმი) ნაჭრებისაგან შეკერილ წინსაფარს – ფესტამალს, ასევე გრძელსა და ფოჩებიან სარტყლებს.

თავსაბურავი შედგებოდა თავსაფრისა და ჩიქილასაგან, იმავე ლეჩაქისაგან. თავსაბურავი რომ კარგად დამდგარიყო, თმას შუაზე იყოფდნენ, ორ დაწნულ ნაწნავს ყურებთან სპირალურად დაიხვევდნენ – გაიკეთებდნენ კოპენებს და შემდეგ თავზე დაიდგამდნენ ლეჩაქ-ჩიქილას. თავსაბურავის ეს დეტალი აბრეშუმის გრძელი, სამყურა თავშლის ფორმისა იყო. ის ორი ნაჭრისაგან იკერებოდა და სახეებად ფერადი აბრეშუმის ზოლები დაუყვებოდა. ირგვლივ შემოსდევდა ფოჩები. მის სამაგრად თავზე იხვევდნენ ოთხკუთხა, ფოჩებიან თავსაფარს.

ქალიცა და მამაკაციც ე.წ. კაპური (რაჭული ქალამნის ერთ-ერთი სახეობა) ქალამნით იმოსებოდა, რომელიც ჩვეულებრივი წესით მზადდებოდა: საქალამნე ტყავს ორად გაკეცავდნენ და თავ-ბოლოს წვრილი თასმით ამოუკერავდნენ. გარშემო თვლებს გაუკეთებდნენ, შიგ საბამს უყრიდნენ და ამოისხამდნენ.

ფეხზე ემოსათ სამუხლები, პაჭიჭები ლეკვერთხებითა და ბანდულებით. მამაკაცები წრიულად აჭრილ, სარჩულგამოდებულ შალის ან აბრეშუმის ფრიალა ქუდებს ატარებდნენ. მათ ორ ადგილას ჩაბმული ჰქონდათ საყბური ( ყბის ქვეშ ამოსადები ზონარი) ქუდის თავზე დასამაგრებლად.



ფეშტემალი/ რაჭა  
ბამბა, აბრეშუმი

Peshtemali/ Ratcha  
Cotton, Silk



The decorative sleeves of a kaptari or kurtmajebi were not sewn up at the wrists and the silk lining could barely be seen from under koshi (triangular cuff), which looked very beautiful. The lining was coloured fabric the garment was fastened on the front or on the back. The open front piece (gulispiri) of a kaptara was adorned with embroidery, some pieces of coloured cloth, beads and silver ornaments.

Women, who lived in the Upper or mountainous regions of Ratcha, typically, wore a katiba or katibi (a woman's jacket usually of velvet, bordered with fur). A katiba was worn over a kaptara, the bordering was made with fox or marten fur, this type of katibi was called a betskoiani. Ratchian women wore a pestamali (an apron) over their dresses, made of various kinds of colored fabrics (brocade, silk) and long girdles ending in a cluster of threads. The headdress consisted of a kerchief and a chikila or lechaki.

In order to keep the head-dress in place, the hair was parted in the middle, braids were twisted in spirals at each ear then a kopi (a thin and long cushion) was put on the head with lechak-chikila over it. This detail of the head-dress had a shape of a long, triangular silk kerchief. It was made of two pieces of cloth trimmed with coloured silk strips. The edges were fringed. It was fixed in place with a rectangular fringed piece of cloth tied around the head.

Both men and women wore a kapuri; Ratchian kalamani (leather shoes) as footwear, it was prepared in a usual manner. The piece of leather was folded in two, the front and the back parts were sewn up with narrow thongs. Loops, on the edge of the kalamani, were fixed to long pieces of thong to secure the kalamani to the foot.

Both men and women wore wore samukhle (knee-covers) on their legs, pachichebi (gaiters) with lekvertkhi (sort of garter) and bandulebi. Men wore wide-brimmed, lined, circularly patterned hats. In two places, they had saqbeuri (a string placed under the lower jaw) to hold the hat on their heads.



პაჭიჭები/ რაჭა  
შალი, ტყავი

Pachichis/ Ratcha  
Wool, Leather





საქართველოს ქალაქებში ხელოსნობა და ვაჭრობა უძველესი დროიდანვე ყვაოდა. ამის დასტურია XX ს-ის 20-30-იან წლებამდე შემორჩენილი თბილისის ძველი უბნების სახელწოდებებიც. ამ უბნებში ერთმანეთის გვერდით ჩამწკრივებულ სახელოსნოებსა და დუქნებში იყიდებოდა უცხოეთიდან და საქართველოს კუთხეებიდან შემოტანილი თუ თბილისელ ხელოსანთა მიერ დამზადებული ნაწარმი. სახელოსნოთა სახელწოდებები ქუჩის სახელსაც განაპირობებდა: ბამბის რიგი, რკინის რიგი, პურის მოედანი, ვერცხლის ქუჩა, ღვინის აღმართი და სხვ.

ქალაქელ ხელოსანთა გაერთიანებას ერქვა ამქარი, რომელშიც შემავალი პირები შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ ერთმანეთს პროფესიული საქმიანობის წარმართვაში. ხელოსნები ყველასაგან გამოირჩეოდნენ თავისებური ცხოვრების წესით. მათ წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ღირსების კოდექსი გააჩნდათ. თბილისელ ხელოსანთაგან ზოგი (განსაკუთრებით, ჩრდილოეთ კავკასიიდან და დასავლეთ საქართველოდან ჩამოსული ოქრომჭედლები და თერძები) იცვამდა ჩოხა-ახალუხს. ძირძველი თბილისელი ხელოსნებისათვის კი სამოსთაგან ყველაზე მეტად პატივდებული ყარაჩოხელთა სამოსი იყო.

Since ancient times, trading and workmanship has been flourishing in Georgian cities. The names of the streets, in the old district of Tbilisi which did not change until the 1920's and 30's, illustrate the importance of production and manufacturing. Each street was named after the types of production that were done there, for example, Bambis Rigi (cotton row), Rkinis Rigi (blacksmiths` row), Puris Moedani (bread square), and Gvinis Agmarti (wine rise).

Unions of craftsmen were called Amkari. The members of this union helped each other in their professional activities. Craftsmen had a very different life style. They had their own dignity code generated over the years. Georgian craftsmen dressed in different ways as well, some craftsmen from Tbilisi (especially people from North and Western part of the country - goldsmiths and tailors worn Chokha-Akhalukhi. Others who lived in the capital for generations were proud to dress in Karachogeli's outfit.

ყარაჩოხელის ჩოხა შავი ან მუქი ლურჯი ფერისა იყო. სახელი სწორედ ფერის გამო შეერქვა. ყარა თურქული სიტყვაა და შავს ნიშნავს, მაშასადამე, ყარაჩოხელი იგივეა, რაც შავჩოხიანი. ჩოხა თავიდან ბოლომდე ჩახსნილი და იმდენად გრძელკალთებიანი იყო, რომ მისი სიგრძე ზოგჯერ კოჭებამდე აღწევდა. ჩოხას ნაპირებზე მოვლებული ჰქონდა ბუზმენტის ბრტყელი ჩაფარიში; ჩოხის სახელო ფართო და გრძელი იყო, მაჯასთან ოდნავ შეჭრილი და გრეხილმოვლებული. სამშვენისად სატინის ან აბრეშუმის სახიან სარჩულს უდებდნენ. ყარაჩოხელის ჩოხის წელს ქვემო ნაწილი რამდენიმე ირიბად აჭრილი (ტრაპეციული) კალთისაგან შედგებოდა. თუ ჩოხა უკან, კალთებთან, ნაოჭმიყრილი იყო, მას ნაოჭიანი ჩოხა ეწოდებოდა. ზოგიერთი ჩაქებით (ჩადგმული კალთის ნაირსახეობა) იყო დამშვენებული და ამიტომ ჩაქიან ჩოხას უწოდებდნენ. ჩოხის კალთების რაოდენობაც სხვადასხვა იყო. თერთმეტკალთიანს უფრო მეტი სილამაზე ჰქონდა, ვიდრე შვიდკალთიანს. თბილისელი დერციკები (ტრადიციული სამოსის მკერავები) ჩოხის წინა კალთებს სარჩულად სილამაზისათვის ფერად ნაჭრებს უდებდნენ. მკერდზე – მარჯვნივ და მარცხნივ მიკერებული ჰქონდა სამასრეები, ანუ საკვესები. ბუდეები ცარიელი იყო, რადგან მათ საბრძოლო დანიშნულება არ ჰქონდათ და მხოლოდ სამშვენისი იყო.

ახალუხი იყო ატლასის ან სატინის, წვრილნაოჭიანი, დუშლუდიანი და გულამოჭრილი. მის ქვეშ წითელი სატინის პერანგი ეცვათ. განიერი შარვალი შავი შალისაგან იკერებოდა, სათავეში უყრიდნენ აბრეშუმის ფოჩებიან ხონჯარს. შარვლის ტოტი ჩატანებული ჰქონდათ ჩექმის ყელში ან ჩამაგრებული საცვეთეებში.






ყარაჩოხელის ჩოხა/ თბილისი  
შალი, აბრეშუმი, ვერცხლმკედი

Karachokheli's Chokha/Tbilisi  
Wool, Silk, Silver Thread









ყარაჩოხელის ჩოხა/ თბილისი  
შალი, აბრეშუმის, ვერცხლმკედი

Karachokheli's Chokha/ Tbilisi  
Wool, Silk, Silver Thread

Karachokheli's Chokha was black or navy blue. The first part of the word "kara" in Turkish means "black", so Karachokheli is a person wearing a black chokha. Chokha, formerly was a completely unfastened long dress that went down to the ankles. The edges of chokha were very wide with flat decorative edging. The sleeves were wide, loose with decorative cuts and cuffs at the wrists. Silk and sateen were used as a lining. Down from the waist of Karachokheli's chokha were several trapezoidal parts. If chokha had gathers in the back, it was called naochiani chokha. The chokha had differing numbers of hems. Chokha with eleven hems was more beautiful than Chokha with seven hems. The tailors in Tbilisi – Dartciki (a tailor who made traditional clothing) used colourful linings under the front part of hems. On the chest area, both left and right sides, had beautiful cartridge-cases (samasreebi) for an ornamentation purpose.

Akhalukhi was made from silk and sateen. It was low-necked with fine gatherings at the bottom. Underneath people wore red shirts. Wide trousers made from black wool had to be tucked into boots. It was tied together with a silk string with tassels.

ყარაჩოხელის ახალუხი/ თბილისი  
შალი, აბრეშუმი

Karachokheli's Akhalukhi/ Tbilisi  
Wool, Silk









ყარაჩოხელის ჩაცმულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი იყო გობაკიანი ქამარი. ასეთი ვერცხლის ქამრები ტყავზე ან ცხილი და შედგება რელიეფური მალეებისაგან, რომელსაც აქვს გობაკი – ბალთაზე გუმბათისებურად ამოყვანილი ქამრის თავი შესაკრავი კაუჭით. გობაკიანი ვერცხლის ქამრები მთელ კავკასიაში გამორჩეულია და ქართული ოქრომჭედლობის განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია.

ყარაჩოხელები ქამარს მხოლოდ ახალუხზე ირტყამდნენ. ამასთან, ყარაჩოხელი, თუ ის არ იბრძოდა ან სხვა რაიმე საჭიროება არ აიძულებდა, ხანჯალს ქამარზე არ დაიკიდებდა. ჩვეულებრივ პირობებში მათ არც ხმალი, დამბაჩა, რევოლვერი ან სხვა საბრძოლო იარაღი თუ თავდასაცავი საჭურველი არ ესაჭიროებოდათ, რადგან მშრომელი და მშვიდობისმოყვარენი იყვნენ.

The most important feature of Karachokheli's style of dress was a belt with gobaki (a large cone-shaped decorative element fastened with a hook). It was leather with silver relief crafts designed in pyramidal shapes. Silver belts with gobaki were very popular in whole Caucasus region, and serve as physical evidence of the high level of development of the Georgian blacksmith trade.

Karachokheli only wore belts on akhalukhi. Also, they did not used to carry a sabre or dagger on their belts or any other weapons for self-defense unless it was war-time because they were laborious and peaceful people in general.

ყარაჩოხელის ჩოხა და  
ახალუხი/ თბილისი  
შალი, აბრეშუმი, ბამბა

Karachokheli's Chokha and  
Akhalukhi/ Tbilisi  
Wool, Silk, Cotton





ყარაჩოხელის ქამრები/ თბილისი  
ვერცხლი, ოქრო, სევადა, ფირუზი

Karachokheli's Belts/ Tbilisi  
Silver, Gold, Metal Inlay, Turquoise



სამოსის ამ ანსამბლს აგვირგვინებდა კრაველის მოზრდილი ე.წ. ბუხრის ქუდი. ყარაჩოხელის ჩოხის განუყრელი ატრიბუტი იყო ფერადი აბრეშუმის ბაღღაღი და ვერცხლის ჩიბუხი თუთუნის ქისით.

ქალაქელი კინტოს ჩაცმულობა ერთგვარი კარიკატურა იყო ყარაჩოხელის სამოსისა. კინტოები უგულბელყოფდნენ ყარაჩოხელთა ღირსებას, უარს ამბობდნენ ჩოხის ტარებაზე. მათი ქცევა და ცხოვრების წესი სრულიად განსხვავდებოდა რაც, ბუნებრივია, სამოსის ტარების მანერაზეც აისახებოდა. კინტოს სტაბილური ხელობა არ გააჩნდა და თავს გადამყიდველობით ირჩენდა. ყარაჩოხელები კი ხელოსანთა ტრადიციული გაერთიანების – ამქრის წევრები იყვნენ.

XIX ს-სა და XX ს-ის დასაწყისში საქართველოში მცხოვრებთა უმეტესობა ტრადიციული სამოსით იმოსებოდა. ამიტომ მკერავ დერჯიკთა რაოდენობა საგრძნობლად დიდი იყო, განსაკუთრებით, ქალაქებში. ამ მხრივ აღმოსავლეთ საქართველოში პირველობდა თბილისი, გორი, თელავი, სიღნაღი, ახალციხე; დასავლეთ საქართველოში – ქუთაისი, ზუგდიდი, სოხუმი და სხვ. ისე როგორც ყველა ამქარს, დერჯიკებსაც თავიანთი მფარველი წმინდანი ჰყავდათ. ეს იყო ღვთისმშობელი, რომლის გამოსახულება მათ დროშას ამშვენებდა.



ჩიბუხი/ თბილისი  
ვერცხლი, სევადა

Pipe/Tbilisi  
Silver, Metal Inlay



ყარაჩოხელის ქუდი/ თბილისი  
კრაველი

Karachokheli's Hat/ Tbilisi  
Curly Wool/ Karakul

The finishing touch for Karachokheli's outfit was a hat made out of karakul fur, "bukhris kudi", a colorful handkerchief and a silver pipe with a purse for tobacco.

City Kinto's clothing was a kind of caricature of Karachokheli's clothes. Kintos ignored Karachokheli's dignity, they refused to wear the chokha. Their behavior and way of life was completely different, and, of course, that was reflected in the manner of wearing their clothing. Kintos did not have a stable trade or craft, they kept to themselves and specialised in the resale of various items. While Karachokheli's were members of traditional artisan unions (amkari) and were very communal and helpful to each other.

In the 19<sup>th</sup> and the beginning of the 20<sup>th</sup> century in Georgia, most people wore traditional clothing. For this reason, there were many tailors, who made traditional clothing (Dertciki), they were especially busy in cities East Georgia (Tbilisi, Gori, Telavi, Signaghi, Akhaltsikhe) and in Western Georgia Kutaisi, Zugdidi and Sokhumi. Every union (amqari) had their patron saint. The tailors' union had a flag with the Blessed Virgin Mary's image on it.







ყარაჩოხელის ბალდადი/ თბილისი  
აბრეშუმში

Karachokheli's Handkerchief/ Tbilisi  
Silk


დერციკები ამზადებდნენ ქართულ ტანსაცმელს: ჩოხა-ახალუხებს, ხონჯრიან განიერ შარვლებს, ქულაჯებს, ყაბალახებს, ქუდებსა და სხვ. ქალაქელი დერციკები აქტიურად იყენებდნენ ქალების შრომას, რომლებიც, ძირითადად, ამზადებდნენ ტანსაცმლისათვის საჭირო სხვადასხვა ელემენტს: ბაბთა-არშია-ზონრებს, სირმებს, ბუზმენტებს, ზორტებს, ფოჩებს, ბაბთებს, ზეზებს, მოქარგულ არშიებსა და სხვ. ქალები ასევე დაკავებულნი იყვნენ ლეჩაქების დაბასმვით, შუბლსაკრავებისა და სარტყელ-გულისპირების დაქარგვით. საოჯახო წარმოების ასეთი ფორმა ტრადიციული იყო საქართველოსათვის. თუ ქალი კარგად ფლობდა ჭრაკერვას, მას ოსტატი ეწოდებოდა და განსაკუთრებით ბევრი მოსწავლე ჰყავდა. ტანსაცმლის ელემენტების დამზადებასთან ერთად ოსტატი დიდ დროს ანდომებდა გაფორმებასაც. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ქართული კაბის შესამკობელი ელემენტების – სარტყელ-გულისპირებისა და თავსაბურავ-შუბლსაკრავების დაქარგვას.

Tailors (dertciki) used to make Georgian garments: chokha-akhalukhi, wide trousers tied with silk strings, kulaja, kabalakhi (headbands) and hats. They actively used women labor, who mainly prepared elements and details for dresses such as lace, borders, galloons, braids, strings, and pearls. Women were also busy with decoration lechaki (tire), embroidering belts, shublsakravi (head-dresses), Gulispiri (chest covers). This kind of family production was very common in Georgia at that time. Women who were good at dressmaking were called "Ostati" (master) and had many apprentices. Dressmakers spent considerable amounts of time making decorations as well as many elements and decorative pieces. Dressmakers spent most of their time embroidering items for Georgian women's dress like belts, gulispiri (chest covers), and shublsakravi (head-dresses).





ქართული ქარგულობა უძველესი დროიდან იყო განთქმული. ქარგვას, ისევე როგორც ხელსაქმის სხვა სახეობებს, ქალს ბავშვობიდანვე ასწავლიდნენ. ძვირფასი მასალით, მისი სიძვირის გამო, ძირითადად, მაღალი წრის ქალბატონები ქარგავდნენ ეკლესია-მონასტრებსა და დიდგვაროვანთა სახლებთან არსებულ სახელოსნოებში, თუმცა აქ სოციალურად დაბალი წრის ქალებიც იყვნენ დასაქმებულნი. მქარგველნი ნაქარგში ასახავდნენ თავიანთ ნიჭსა და გემოვნებას. ხელსაქმისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ყველა ფენისა და წოდების ქალთა ნამუშევრებში შეინიშნება. ქარგვის ხელოვნების სრულყოფას ხელს უწყობდა საქართველოში აბრეშუმის წარმოების უძველესი ტრადიცია, ამასთანავე, იმპორტული აბრეშუმის შემოღინება. ოქრომკედისა და ვერცხლმკედის გარდა, ქარგულობაში დიდი ადგილი ეჭირა აბრეშუმის ფერადი ძაფით ქარგვას. ხელსაქმის ოსტატებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთა ნაწარმი საექსპორტოდ გაჰქონდათ. ქართველ ქალთა ოსტატობა განსაკუთრებით გამოვლინდა ფეოდალური ხანის საეკლესიო ნაქარგობასა და საერო სამოსის მოქარგვა-გამშვენებაში.

A white garment, possibly a shawl or dress, is displayed against a light background. The garment features intricate gold embroidery, including floral and leaf patterns. A section of the garment, likely a sleeve or hem, is decorated with a black and white geometric pattern and long, white fringe. The text is overlaid on the left side of the image.

Georgian embroidery has been popular since ancient times. Every woman was thought to use a tambour (embroidery frame) and do other needlework from a young age. Only aristocratic women were able to use expensive materials for embroidery. Others used to work in special workshops at monasteries or at big houses of rich noblemen. A master's work represented her talent and taste. No matter which social group a woman belonged to, there were peculiar attitudes toward needlework. The old tradition of silk making and constant import of it helped a lot to develop the art of embroidery. Coloured silk thread was widely used as well as gold and silver lace. Some Georgian artists were so talented that their works were taken abroad for display. The talents of Georgian women particularly blossomed in the feudal era which was exhibited in ecclesiastic embroidery and in the decorations of secular clothing during that time period.



ოქრომკედის ხელობის მცოდნეთ სრული ხელობის ოსტატებს უწოდებდნენ. ოქრომკედი ორი სახის ძაფის ერთობაა. გაბრტყელებული ოქროს თმა ეხვეოდა საშუალო სიმსხო აბრეშუმის შლილ ძაფს, ანუ მკედს. მიღებული ძაფით იქარგებოდა როგორც საერო, ისე საეკლესიო დანიშნულების ნივთები. ძაფის სტრუქტურიდან გამომდინარე, ქარგვისას მისი გაყრა არ ხდებოდა ქსოვილში. ის ზემოდან მაგრდებოდა აბრეშუმის იმ ფერის ძაფით, რომელიც შეესაბამებოდა ოქრომკედსა თუ ვერცხლმკედს. ქართულ წერილობით წყაროებში ნახსენებ ტერმინ ოქრონემსულს მოგვიანო ხანის ძეგლებში ოქრომკედით ნაკერი შეესატყვისება. ისტორიულ ჰერეთში, საინგილოში, ოქრომკედით ნაქარგს ზარბაზს უწოდებდნენ. ძვირფას ქსოვილებზე ოქრომკედით ნაქარგ სახეებში ხშირად ურთავდნენ მარგალიტს, ფერად მძივებსა და პატიოსან თვლებსაც. XIX ს-ის დამდეგს ირანსა და ოსმალეთში გატანილი ქართული ოქრომკედული ნაქარგობა საუკეთესო ნახელავად ითვლებოდა მთელ აზიაში და ყველაზე ძვირად ფასობდა.

Knowledge of Okromkedi meant that you were a professional embroideress. Okromkedi used a mix of two types of threads, gold and silk (gold thread was wrapped on silk thread). Ecclesiastic and secular goods were decorated with this kind of thread. Because of the thread's structure it was not lost inside the cloth but attached on its surface with the same coloured silk thread corresponding to the colours of the embroidery. Georgian written sources mention the term 'Okronemsuli' which was later changed to "Okromkedi". In historical places of Hereti and Saingilo, okromkedi embroidery was called zambabi. Okromkedi embroidery was often decorated with pearls, beads, and precious stones. In the beginning of the 19<sup>th</sup> century, Georgian embroidered art was imported to Iran and Turkey and it was considered the finest and most expensive work from the region.

მანდილოსნის თავსაფარი/ თბილისი  
აბრეშუმი, ოქრომკედი, კილიტები

Women's Head Scarf/ Tbilisi  
Cotton, Silver Thread, Sequins



მანდილოსნის თავსაფარი/ თბილისი  
ბლონდი, ოქრომკედი, კილიტები

Women's Head Scarf/ Tbilisi  
Silk, Gold Thread, Sequins







საფულე/ თბილისი  
ხავერდი, აბრეშუმი, ვერცხლმკედი, ოქრომკედი


Purse/ Tbilisi  
Velvet, Silk, Silver Thread, Gold Thread

დიდ ქალაქებსა და დაბა-ქალაქებში სპეციალური ადგილები იყო გამოყოფილი, სადაც ამუშავებდნენ ტყავს. ამ ადგილს დაბახანა ეწოდებოდა. ტყავის დამამუშავებელ სახელოსნოთა შორის განსაკუთრებით განთქმული იყო თბილისური დაბახანები, რომლებიც განლაგებული იყო გოგირდის ბუნებრივი თბილი წყლების ახლოს, დღევანდელ აბანოთუბანში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. დაბახანა ნახევრად ღია, ფარდულის ტიპის, ხის შენობა იყო. მასში განთავსებულ ხის ან ქვის დიდ აუზებში ტყავს ალბობდნენ, ამუშავებდნენ და გამოიყვანდნენ. ხელოსან მეტყავეს დაბალი, ანუ მეპატრაკე ეწოდებოდა. საქართველოში მესაქონლეობის განვითარებამ ხელი შეუწყო დიდი რაოდენობით ტყავის დაგროვებას. აქედან გამომდინარე კი, მედაბლეობის მდიდარი ტრადიციის გაჩენას. მედაბლეობა გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში. თბილისი კი ამიერკავკასიის ქალაქებს შორის ძველთაგანვე გახდა მედაბლეობის წამყვანი ცენტრი. მედაბლეთა ამქარი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო. თბილისელ დაბალთა მიერ დამზადებული ტყავი სრულად აკმაყოფილებდა მენაღებების, მეჩექმეების, ქართული, აზიური, ევროპული ფეხსაცმლის მკერავთა და მეუნაგირეთა მოთხოვნებს.


დაბალებთან იყო დაკავშირებული, გარკვეულწილად, ბენვეულის მკერავთა – ჭონების საქმიანობა. საქართველოს ქალაქებში ჭონების ამქრული გაერთიანებებიც არსებობდა დამახასიათებელი ყველა ატრიბუტით.

There were places that were designated for leather treatment in big cities and smaller towns. They were called dabakhana. The most famous among them were located in the capital, Tbilisi, around the sulphurous waters, today's bath houses district on the right embankment of the Mtkvari river. It was a semi-opened wooden constructions, where in stone or wooden basins leather was soaked and processed. The person working with leather was called dabagi which means a tanner. The fast progression of leather-making was a consequence of cattle-rearing and live-stock farming development. Workshops were widely-distributed in Eastern Georgia. Dabakhanas were in almost every town. Tbilisi was a leading centre for the tanning industry in the whole of Transcaucasia. Trade unions of tanners were one of the strongest unions and their products met Asian or European standards.

The development of the tannery industry had some connection with the growth of fur-skin production or peltry. They also had strong trade unions in many towns of Georgia.



Кожовишесъ и шапопшесъ — Tanneur et bonnetier  
Тифлисъ - Tiflis



საქართველოში ოქრომჭედლობას მელითონეობის უძველეს პერიოდში ჩაეყარა საფუძველი. ამიტომ ის უდიდესი ტრადიციის მქონე ერთერთი მნიშვნელოვანი დარგია ქართული ხელოვნებისა.

საქართველოში ოქრომჭედლობას აღმავალი ხასიათი ძვ.წ. II ათასწლეულში მიეცა. მისი განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო გვიანანტიკურ ხანაში. ქართულმა ოქრომჭედლობამ დიდი წარმატება მოიპოვა ჭედურობასა და მინანქრის დამუშავებაში. ჭედურობის ხელოვნება განსაკუთრებით გამოიკვეთა შუა და გვიანი საუკუნეების საეკლესიო და საერო დანიშნულების ოქრომჭედლობის საუკეთესო ნიმუშებში. ქართველ ოსტატთა დახვეწილი გემოვნება და მაღალი ოსტატობა გამომჟღავნდა საბრძოლო იარაღებშიც, რომლებიც, პირველადი დანიშნულების გარდა, ქართველი მამაკაცის სამოსის სამშვენიის ფუნქციასაც ასრულებდა. კავკასიური იარაღი უაღრესი დახვეწილობითა და ორიგინალობით ხასიათდება. ოქრომჭედელთა ოსტატობა გამოვლინდა ხმალ-ხანჯლებისა და თოფ-დამბაჩების მორთულობაშიც. სწორედ ამან განაპირობა იარაღ-საჭურვლის უმნიშვნელოვანესი ცენტრების გაჩენა კავკასიაში, რომელთაგან თბილისი გამორჩეული იყო. თბილისში იარაღ-საჭურვლის სამჭედლო სახელოსნოები რამდენიმე ქუჩას მოიცავდა, სადაც ერთმანეთს შეერწყა კულტურის სხვადასხვა ელემენტი და ჩამოყალიბდა ოქრომჭედლობის ე.წ. თბილისური მიმდინარეობა. ოქრომჭედლობის ასევე მნიშვნელოვანი ცენტრები იყო ქუთაისი, ახალციხე, სენაკი, ზუგდიდი, თელავი, სიღნაღი და სხვ.

სარტყელის ლილები/ თბილისი  
ვერცხლი, ოქრო, სევადა

Buttons on a Belt/ Tbilisi  
Silver, Gold, Metal Inlay

გულმკერდის სამკაული/ თბილისი  
ოქრო, ვერცხლი

Accessory for Chest Fastened on Shoulders/ Tbilisi  
Gold, Silver



სანჯღლები და სარტყელი/ თბილისი, ზუგდიდი  
ოქრო, ვერცხლი, სევადა, ფოლადი,  
ტყავე, სპილოს ძვალი

Daggers and Belt/ Tbilisi and Zugdidi  
Gold, Silver, Metal Inlay, Steel, Leather, Ivory



Georgian jewelry making has its foundation in early metallic epoch. That is why it is one of the most important fields of Georgian art and has a long tradition.

The development of the ancient Georgian jeweler's art was raised to its highest level in 2<sup>nd</sup> century B.C. and reached a new stage later. Georgian goldsmiths crafted fine examples both from ecclesiastic or temporal shows a success in two directions; embossing and enamel work. Georgian weapons can also demonstrate masters' talents and refined tastes. Weapons were used in battles, but also to decorate national clothing.

Caucasian weapons are characterised by their exquisiteness and originality. Embellishment of these weapons: sabres, pistols, and daggers show their master's high capability. There were armament centres in the Caucasus region and in Tbilisi they were distinguished. In Tbilisi, these workshops occupied several streets. Different cultural confluences gave a foundation to the original style of a goldsmith's craft in Tbilisi (Tbilisian style). There were craft centres in other towns such as Kutaisi, Senaki, Akhaltsikhe, Zugdidi, Telavi, and Signaghi.






ყანწები/ თბილისი  
რქა, ვერცხლი, სევადა

Drinking Horns - Kantsi/ Tbilisi  
Horns, Silver, Metal Inlay





ოქრომჭედლების ნახელავთაგან გამოირჩეოდა და პოპულარული იყო ღვინის ტრადიციული სასმისები: ვერცხლის თასები, დოქები, სურები, ყანწები. აზარფეშა – კოვზისებური ვერცხლის სასმისი ფართო პირითა და გრძელი ტარით, კულა – ხისაგან დამზადებული სასმისი ოვალური ტანით და გრძელი ყელით. სასმისებს ამკობდნენ ორნამენტებით, ლხინისათვის შესაფერისი სამახსოვრო წარწერებით. სასმისებზე შესრულებული წარწერები ქართული კალიგრაფიული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებია. ქართული ლხინისა და თამადის ფენომენი, მრავალგვარი მასალისაგან დამზადებული სასმისები საქართველოში ღვინის კულტურის უძველესი ტრადიციების დასტურია.

ქართული ყოფის ერთ-ერთი კომპონენტი ტრადიციული ლურჯი სუფრაა, რომელსაც ამზადებდნენ ბამბის ან სელის ქსოვილისაგან. სხვადასხვა მცენარეული ორნამენტის, ადამიანების, თევზების, ფრინველების, არცთუ იშვიათად, ჭურჭლის გამოსახვლებანი მასზე დაჩითვის წესით იბეჭდებოდა. მათ, დეკორატიული დანიშნულების გარდა, სარიტუალო დატვირთვაც ჰქონდათ.

The highest demand for a goldsmith's work was on the traditional vessels for wine drinking: silver jugs, horns for wine, bowls, cups, azarpesha (spoon shaped bowl) with a wide mouth and long handle, kula (wooden vessels with oval body and long neck). Usually they were decorated with ornaments and inscriptions suitable for banquets. Those inscriptions are fine examples of Georgian calligraphic art. A large variety of vessels, Georgian feast and the phenomenon of the Tamada confirms existence of old traditions of the wine making culture in Georgia from ancient times.

One of the important components of Georgian lifestyle is the traditional blue tablecloth which was made of cotton or linen. Different images (plant ornaments, people, fish, birds, even if rarely, tableware) were printed on it. Besides a decorative purpose, it also has a great significance in Georgian culture because the Georgian table is the centre of family life and the community.





აზარფეშა/ თბილისი  
ვერცხლი

Wine Ladle and Cup - Azarpesha/ Tbilisi  
Silver





ლურჯი სუფრა/ დეტალი/ თბილისი  
ბამბა

Blue Table Cloth/ Detail/ Tbilisi  
Cotton

XIX ს-ში ევროპული გავლენა ტანისამოსზეც აისახა. ტრადიციულ სამოსთან ერთად ფართოდ გავრცელდა ევროპული ტანსაცმელი. მალევე გამოჩნდნენ ევროპული სამოსის მკერავები და მათმა ნახელავმა სიაფისა და პრაქტიკულობის გამო, დიდი პოპულარობა მოიპოვა. კომპანია ზინგერის მიერ წარმოებულმა საკერავმა მანქანებმა მნიშვნელოვნად შეცვალა ხელოსანთა შრომის რიტმი. პარიზისა და ლონდონის მოდის ტენდენციები უსწრაფესად ვრცელდებოდა თბილისში. საინტერესოა ქართული ტრადიციული ტანსაცმლისა და ევროპული სამოსის თანაარსებობა და ურთიერთზეგავლენა. სამწუხაროდ, XX ს-ის დასაწყისიდან, კომუნისტური ეპოქის დადგომისთანავე, ეროვნული ტანსაცმელი სხვა ტრადიციებთან ერთად დრომოჭმულად გამოცხადდა. კომუნისტური იდეოლოგია ახალ ადამიანს ქმნიდა ცხოვრების შესაბამისი წესით. თანდათან იკლო მოთხოვნამ ტრადიციულ ტანსაცმელზე, შემცირდა ხელოსანთა რაოდენობაც. XX ს-ის მეორე ნახევრიდან იშვიათად ნახავდით ეროვნული სამოსით შემოსილ მოქალაქეებს. ქართულმა ტრადიციულმა სამოსმა ყოფიდან სცენასა და ეკრანზე გადაინაცვლა.

Nineteen century Georgia, had European influences, which were reflected in the manner in which people dressed. Old traditional clothing was still worn, but people were beginning to wear European style clothing as well. European clothing was cheaper and more practical, so it did not take long for it to become popular. Sewing machines by the Singer Company changed the Georgian tailors` work speed. Fashion trends from London and Paris was spreading fast in Tbilisi. It was an interesting coexistence of both European and Georgian styles. Unfortunately, in 20<sup>th</sup> century, with beginning of the Communist period, national style and many other traditions were called outdated. By their ideology, Communists aimed to create a new man with new attitude of life. Demand for national costumes reduced slowly and with it reduced the number of tailors of traditional dresses. It was very rare to see citizens in national dress from the second half of the 20<sup>th</sup> century. Georgian national dress from everyday life was only seen on stage and screen.



